ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №37 (1667) | 22-25 მაისი, 1998წ. | ფასი 50 თეთრი

## რაც ვიცი



მეექვსე გვერდი

## დიდი სომხეთი თუ დიდი საქართველო?
### ანუ ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი ისტორიის გამყალბებლები იყვნენ?

მეხუთე გვერდი



## პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

მეორე გვერდი



## არასამთავრობო ორგანიზაციები პატიმრებს აბუნტებენ?!.

### ინტერვიუ მინისტრთან
## გვჭირდება მეტი წესრიგი და მხარდაჭერა

მეორე გვერდი



# თამაზ აგლაძე: გვჭირდება მეტი წესრიგი და მხარდაჭერა

ბატონი **თამაზ აგლაძე** სულ რაღაც ცხრა თვეა, რაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს მრეწველობის სამინისტროს. პირველი დღიდანვე დაიწყო მუშაობა ამ სფეროს რეანიმაცია-რეაბილიტაციისათვის. ამჟამად მისი ავტორობით შექმნილია რამოდენიმე პროექტი. მათ შორის გამოვყოფთ „საქართველოს მრეწველობის პოლიტიკის კონცეფციის ძირითად დებულებებს“, რომელიც სულ მალე მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე იქნება გატანილი.




მართალია, ბატონმა მინისტრმა თავი აარიდა საკუთარ დამსახურებებზე ლაპარაკს, მაგრამ მაინც შევიტყვეთ, რომ იგი მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო აკადემიების წევრია. ეწევა აქტიურ სამეცნიერო მუშაობას და როგორც მან თქვა, სანამ მრეწველობის მინისტრი გახდებოდა, საკმაოდ არასტანდარტული გზა განვლო.

**— ბატონო თამაზ, რა მდგომარეობაა საქართველოს მრეწველობაში?**

— ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდში. დღესდღეობით ლაპარაკია, როგორც მრეწველობის სტრუქტურაზე, მოცულობაზე, ასევე იმაზეც, თუ რა ადგილს დაიჭერს ეს დარგი ეკონომიკაში. დღევანდელი გადასახედიდან მრეწველობის გარკვეული დარგები, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულს ეყრდნობოდნენ, ფაქტიურად გადარჩა. ეს ძირითადად ის წარმოებებია, რომელთა მუშაობაც მანგანუმის მადანზე იყო აგებული. ამასწინათ ვიყავით ზესტაფონის რაიონში, ასევე ჭიათურაშიც. იწყება ფართომასშტაბიანი პროგრამების შესრულება. გამოცოცხლდა ედემის. წარმოება რუსთავში. ასევე გადარჩენილად შეიძლება ჩაითვალოს სპილენძის გადამუშავებაზე მომუშავე ობიექტებიც. ესე იგი, ჩვენი ქვეყნის სამთო და მეტალურგიული კომპლექსი გადარჩა. რაც შეეხება ქიმიურ კომპლექსს, უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ცოტა სირთულეები არის, მაგრამ ამასაც მალე დავძლევთ.

ამჟამად, მძიმე მრეწველობის ძირითადი სუბიექტები ემზადებიან ფართომასშტაბიანი სამრეწველო პროგრამების შესასრულებლად. ყველაფერი ეს ინვესტიციების ხარჯზე ხდება. ამ საკითხების ირგვლივ ეხლაც ვაწარმოებთ მუშაობას. მე უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან სწრაფი ტემპებით მიიწევს წინ პროექტი, რომელიც მიჰყავს ჩვენს სამინისტროს. ეს ეხება სამთომეტალურგიული კომპლექსის რეაბილიტაციას და ორასორმოცდაათი მილიონი დოლარის ფარგლებში ჯდება. ამ სამუშაოების სტრატეგიული ინვესტორები ისრაელი და იაპონიაა. პროექტი უკვე განხორციელების პროცესშია. ვენაში შედგება საერთაშორისო კონგრესი სამთომეტალურგიის საკითხებზე. იქ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებთან ერთად მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებიც იქნებიან და ივნისის ბოლოსათვის უკვე ინვესტორებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. თუ ჩვენ ამას წარმატებით გავართვით თავი, შეიქმნება ელექტროენერგიის დიდი წყარო და მთელი ზესტაფონი-ჭიათურის კომპლექსი, შეიძლება ითქვას, გამოცოცხლდება.

მეორე საკითხად გამოვყოფდი შიდა ბაზრის მომსახურებას. უპირველესად, პრობლემატიკას წარმოადგენს ის სამრეწველო ობიექტები, რომლებიც მუშაობენ ნავთობსადენის მაგისტრალებზე — ვგულისხმობ „ტრანსეკას“ პროექტს. ჩვენ უკვე გვაქვს დიდი ერთობლივი ნუსხა იმ საკითხებისა, რომელზეც რკინიგზის დეპარტამენტთან ერთად ვმუშაობთ. ეს იქნება სამშენებლო მასალა, თუ ბეტონის კონსტრუქციები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაკვეთებს ქუთაისის ავტოქარხანა ასრულებს. ესე იგი, ტრანსპორტის სფე-

გაგრძელება მერვე გვერდზე

# არასამთავრობო ორგანიზაციები პატიმრებს აჯანყებენ?!

რამდენიმე დღის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გივი ყვარელაშვილმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც პატიმართა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს კოლონიაში შესვლა ეკრძალებათ. აღნიშნული განცხადების მიზეზად დასახელდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებების მიერ კოლონიებში ამბოხების მოწყობის მცდელობა. ცნობილია, რომ პატიმართა უფლებები დიდი ხანია შელახულია, თუნდაც იმ საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რომელშიც ისინი დღეს იმყოფებიან; ერთი თვის წინ ლაპარაკი იყო მძიმედ დაავადებულთა განთავისუფლებაზე. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კორუფციაც. გაურკვეველია, ვინ სად სცოდავს: ხელისუფლება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ელემენტარულად იმას, რომ ადამიანები შიმშილითა და სიბინძურით არ დაეხოცოს საპატიმროებში, აღმასრულებელი დეპარტამენტი, რომელიც საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებას კისრულობს, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებითა და ინტრიგანული წაქეზებით ცდილობენ ჯიბის შესქელებას. კომენტარისათვის საქართველოს პარლამენტის პენიტენციალური სისტემისა და რეფორმების ქვეკომიტეტის თავმჯდომარეს, ქ-ნ **ელენე თევდორაძეს** მივმართეთ.




— რასაკვირველია, პარლამენტი სცოდავს, ჩვენ ვერა და ვერ დავიწყეთ მუშაობა სასჯელთა აღსრულების კოდექსზე, სადაც ჩაიდება ყველა ის უფლება, რომელიც პატიმარს პრაქტიკულად მიცემული აქვს იმიტომ, რომ დეპარტამენტი აძლევს ასეთ მითითებას, ე. ი. იურიდიული ბაზა არ არსებობს. სასჯელთა აღსრულების კოდექსი დაარეგულირებდა ადმინისტრაციისა და პატიმრების ურთიერთობას. ჩემი ბრძოლის შემდეგ შევიტანეთ საგაზაფხულო სესიის გეგმაში და 6 მაისს უნდა დაწყებულიყო კანონპროექტის განხილვა. სამწუხაროდ, იგი დღესაც კანცელარიაში დევს და პრეზიდენტის ხელმოწერას ელოდება, რის შემდეგაც უნდა შემოვიდეს ჩვენთან განსახილველად. მე მგონია, ამით იურიდიული ძალა ექნებოდა ორივე მხარეს თავისი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. ახლა ჩვენ, პრინციპში, დამოკიდებულები ვართ დეპარტამენტის ხელმძღვანელობაზე, რასაც ის მიუთითებს კოლონიის უფროსს, ის ან იღებს პასუხისმგებლობას მის გაკეთებაზე, ან — არა.



**— ყვარელაშვილის განცხადებას თუ აქვს იურიდიული ძალა?**

— ამის არანაირი იურიდიული უფლება ბ-ნ გივი ყვარელაშვილს არა აქვს. ჯერჯერობით არც სასჯელთა აღსრულების კოდექსში არ არის აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილი, მაგრამ, როცა კანონპროექტის განხილვა დაიწყება, აქ, პარლამენტში, ჩვენ მივუთითებთ და მოვუნახავთ მათ ადგილს. ახლა ყვარელაშვილის სურვილზეა დამოკიდებული, ისინი კოლონიებში შევლენ თუ არა. ერთხელ, ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლის პრეზიდენტია ლალი აფციაური, ჰუმანიტარული დახმარების გზით წამლები შეიტანა დეპარტამენტში, რომლებიც ვადაგასულობის გამო ექიმებმა ვერ გამოიყენეს. მაპატიეთ, მაგრამ ამის გარდა, მსგავსი ორგანიზაციების მხრიდან არანაირი საგნობრივი დახმარება არ მინახავს. მე თვითონ პრაქტიკულად ვერაფერში ვეხმარები დაჩაგრულ ხალხს, მაგრამ ასეთ არასამთავრობო დაწესებულებებს აუცილებლად წინააღმდეგობას გავუწევ.

**— თქვენი აზრით, რატომ უნდა აძლევდეთ ხელს არასამთავრობო ორგანიზაციებს პატიმრების აჯანყება, რით შეიძლება ისინი დაინტერესებული იყვნენ?**

— ძნელია კომენტარის გაკეთება. ორი წლის წინ, როცა ქუთაისის იზოლატორში მივდიოდი, გზაში გამვლელმა ქალბატონებმა მითხრეს ასეთი რამ, თურმე ყოველთვე დადიან წარმომადგენლები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ხალხში აგროვებენ 1 ლარს, ამბობენ, რომ ეს არის პატიმართა დახმარების ფონდი. ეს ჩემთვის ბომბის გახეთქვის ტოლფასი იყო. იმიტომ, რომ არცერთი თეთრი ჰუმანიტარული დახმარების სახით, არანაირი ორგანიზაციიდან არ შესულა საპატიმრო ადგილებში. გამოდის, რომ ვილაცა ასე უნამუსოდ ატყუებს ხალხს, საბოლოოდ ფული მიდის მათ ჯიბეში. მე მათ კეთილსინდისიერებას ვეღარ დავუჯერებ.

**ხათუნა ხატიაშვილი**

**P. S. გაზეთი ასაწყობად მზად იყო, როცა პარლამენტში ქ-ნი ელენე თევდორაძის ფულადი დაჯილდოვება შედგა. მას 20000 დოლარი გადაეცა იმ ჩატარებული მუშაობის გამო, რასაც ის ეწევა ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში. ვულოცავთ მას საერთაშორისო აღიარებას და ვუსურვებთ, ჩვეული ენერგიითა და გულისხმიერებით გაეგრძელებინოს ქალდენ რთული და ჰუმანური საქმიანობა.**

# საქართველოს პრეზიდენტის პასუხად

ა. წ. 19 მაისის რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ „შიშველი, დაუსაბუთებელი და უსუსური“ უწოდა იმ ბრალდებებს, რომელთაც მე მას პრესაში ვუყენებ, როცა პუბლიკაციის საშუალება მეძლევა. ჩემი ქვეყნისა და მისი ყველა ერთეული მოქალაქისდა სამწუხაროდ, არც ერთი ამ ბრალდებათაგანი „შიშველი“ ანუ უსაფუძვლო არ არის. დავასახელებ პრეზიდენტის იმ ნაბიჯებს, რომლებიც მე ამ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე პრესაში ვახსენე როგორც საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული და, ამდენად, მიუტევებელი. რა თქმა უნდა, მზად გახლავართ ჩემი შეფასების დასაბუთებისათვის ნებისმიერი არბიტრის წინაშე.




1. არც ობიექტური ვითარება, არც სამართლებრივი ნორმები, ე. წ. უფლებადაცვითი ანუ ადამიანის უფლებებისა და უმცირესობის უფლებების დამფიქსირებელი დოკუმენტების ჩათვლით, არ აიძულებს საქართველოს, თავისი მიწა-წყალის ოთხიათასი კვადრატული კილომეტრი „ოსეთად“ ცნოს მხოლოდ იმის გამო, რომ 30 ათასი მკვიდრი ქართველის გარდა იქ 60 ათასი (ძირითადად, ამ ბოლო 155 წლის მანძილზე შემოსახლებულთა შთამომავალი) ოსი ცხოვრობს. შევარდნაძე, წინააღმდეგ ქართველი ერის ნებისა, ილვნის, რათა შექმნას და დააკანონოს საქართველოში ასეთი ერთეული (ყველა მისი ნაბიჯების ჩამოთვლა, რაც დღემდე გადაიდგა, აქ ზედმეტია) და მით ამზადებს ან საქართველოს მიერ ამ ტერიტორიის დაკარგვას, ან ახალ დიდ სისხლისღვრას და ქვეყნის შემდგომ დანაწევრებას საგარეო მტრის სასარგებლოდ (სხვათა შორის, ცხინვალი რუსეთს პლაცდარმად სჭირდება იმისთვისაც, რომ ცხინვალი-ახალქალაქის მონაკვეთის დაძლევით დასავლურ-აღმოსავლური „დერეფნის“ გადაჭრის და, მაშასადამე, მუდმივი დიქტატის საშუალებაც მოიპოვოს). მე (და არა მხოლოდ მე) ამას კვალიფიკაციას ვაძლევ როგორც სახელმწიფო ღალატს და როგორც საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას, და მზად ვარ ეს დოკუმენტურად დავასაბუთო.

2. ვვარაუდობ (და ვარაუდის სახით გამოვთქვამ), რომ აფხაზეთის ომის დაწყება 1992 წელს შევარდნაძისა და არძინბას კოორდინირებული მოქმედებითაა მომხდარი, და უდავოდ ვთვლი, რომ ეს ომი საქართველოს მიერ მთავარსარდლობისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ღალატის შედეგადაა წაგებული, რომლის ყველაზე მკაფიო (მაგრამ არა გამონაკლისი) ეპიზოდებია საქართველოს შეიარაღებული ძალების რამდენჯერმე არგაშვება ტყვარჩელის დასაკავებლად და სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანა 1993 წლის ივლის-აგვისტოში. ან მძიმე დანაშაულებრივ შეცდომად, ან დანაშაულად ვრაცხ სოხუმში ქართული მოსახლეობის დაბრუნებას 1993 წლის აგვისტოში. უდავო დანაშაულად ვრაცხ ჯერ გაგრის დაცემის, ხოლო შემდეგ — სოხუმის დაცემის გამოძიების ბლოკირებას სახელმწიფოს მეთაურის შევარდნაძის მიერ. მისსავე დანაშაულად ვრაცხ, რასაკვირველია, სამეგრელოს რაიონების მრავალგზის დარბევას აფხაზეთის ფრონტზე ქართული პოზიციის შესუსტების მიზნით და ამ სამოქალაქო „ომში“ უცხო ქვეყნის (რუსეთის) შეიარაღებული ძალების გამოყენებას, რაც კლასიკური საფუძველია იმ სასჯელისათვის, რომელიც, მაგალითად, ლუი XVI-სა და მის მეუღლეს მიუყენეს. წინასწარგანზრახულ დანაშაულად, რომელიც რუსეთის ინტერესების სამსახურშია ჩადენილი, მიმაჩნია რუსების „სამშვიდობო“ ჯარის ჩაყენება ენგურზე და ყველა ამ ეპიზოდთა დაგვირგვინების სახით — საქართველოს შეყვანა „ესენგეში“ პარლამენტის ე. წ. „მორჩილ-აგრესიული უმრავლესობის“ ნაკომუნისტარი და უცხო სამსახურთა მიერ ანგაჟირებული ხროვის გამოყენებით.

3. ეკონომიკის დარგში წინასწარგანზრახულ დანაშაულად მიმაჩნია პრეზიდენტის მიერ საქართველოს საძარცვავად კრიმინალური კლანების დაუსჯელად მიშვება იმ მოსაზრებით, რომ მათთან დაკავშირებული ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის და ახალი გუნდის პოლიტიკური ერთგულება მოიპოვოს. ამ დანაშაულის ნაყოფია ეკონომიკის უპერსპექტივო სტაგნაცია და მოსახლეობის უპერსპექტივო სიღატაკე, აგრეთვე უსახსრობის გამო სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სისტემების პარალიზება, როგორიცაა სამხედრო მშენებლობა, განათლება და ჯანდაცვით უზრუნველყოფა.

4. დასასრულს, დანაშაულად მესახება ეკონომიკისა და პოლიტიკის გადაკვეთაზე მდებარე პოზიცია საქართველოს ჯიუტი დატოვებისა რუსეთის სამხედრო სივრცეში ჩვენს ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ბაზების დატოვების სახით. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ეკონომიკური შედეგი ისაა, რომ მისით ბლოკირდება დასავლეთის ნამდვილი, მოკავშირული დახმარება საქართველოს მიმართ, რომელიც ტექნოლოგიურ დახმარებასაც და მრეწველობის სტიმულირებასაც მოიცავს. რჩება მხოლოდ ის, რაც საერთოდ განვითარებადი ქვეყნებისთვის და ე. წ. „პოსტსაბჭოური“ სივრცისთვისაა განკუთვნილი — ლარის სრულებით ხელოვნური ყოველდღიური დასტაბილება და შემოტანილი პროდუქტებით კვება საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარების იმედის გარეშე.

მე მგონი, ჩემი ყველა სხვა „ბრალდება“ პრეზიდენტის მიმართ ამ პუნქტებშია შესული. თუ არა, მზად ვარ მათზედაც ჩემი არგუმენტაცია წარმოვადგინო.

**ნ. ნათაძე**

# ხარიტონ შავიშვილის არქივი დღემდე უცნობ უნიკალურ ცნობებს ინახავს

საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების სიაში ემიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, გურამ შარაძის წიგნს „ერის ისტორიის მეხსიერების დაბრუნება“ და შვეიცარიაში ერთა ლიგის პირველი და უკანასკნელი ქართველი წარმომადგენლის, ხარიტონ შავიშვილის არქივის საიუბილეო პრეზენტაცია, რომელიც 26 მაისს პარლამენტის შენობაში, პირველი რესპუბლიკის დარბაზში შედგება.

1934 წლამდე ხარიტონ შავიშვილი გაეროს წინამორბედ ერთა ლიგაში, რომლის შტაბბინა ჟენევაში მდებარეობდა, 1919 წლიდან ასრულებდა საქართველოს ელჩის მოვალეობას, რადგან მანამდე ერთა ლიგა არ ღებულობდა თავის წევრად საბჭოთა კავშირს, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოს. როდესაც სსრკ-მ მოახერხა გაწევრიანება, შავიშვილს ავტომატურად მოეხსნა სტატუსი, მაგრამ მან გააგრძელა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა. ერთა ლიგის შენობაში არსებული ბიბლიოთეკა ინახავს შავიშვილის 50 ყუთის მოცულობის საარქივო მასალას. როგორც ბ-ნი გურამი ამბობს, მან მოახდინა კატალოგიზაცია და ინვენტარიზაცია, რის შემდეგაც საარქივო მასალების გარკვეული ნაწილის ქსეროასლები უკვე ჩამოიტანა კიდეც. აღმოჩენილია მრავალი უნიკალური ცნობა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ემიგრაციული საქმიანობის შესახებ. აქვე აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძის ყველა რომანის სარეკლამო გერმანული ბეჭდური ფურცლები ამონაჭრები გაზეთებიდან, სადაც აღნიშნულია გრ. რობაქიძის შეფასება გერმანული სალიტერატურო კრიტიკაში. ერთ-ერთი ამონაწერი ასეთია: „რობაქიძემ შექმნა ახალი გერმანული სალიტერატურო ენის ისეთი დონე, როგორც თავის დროს გოეთემ და რილკემ“.

— სულ მიკვირდა, „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ ავტორი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორ მიიღო ნეიტრალურმა შვეიცარიამ, დაუნიშნა მას პენსია და გარდაცვალებამდე ინახავდა მეუღლესთან ერთად. გაირკვა, რომ ეს ხარიტონ შავიშვილისა და მისი ავტორიტეტის დამსახურება ყოფილა. მას აუწრიალებია შვეიცარიის ჰუმანიტარული ორგანიზაციები და მოუთხოვია, ინტელექტუალური დევნილის სტატუსით შემოეშვათ იგი ქვეყანაში. რობაქიძის გარდაცვალების შემდეგ მთავრობამ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა, რის მიხედვითაც მას მწერლის შენახვა 80000 ფრანკი დასჯდომია. ამ თანხის ფასად დარჩა რობაქიძის არქივი ჟენევის საკუთრებად.




გურამ შარაძე აღიარებს, რომ მსგავსი ინფორმაცია მას ჯერ არსად არ შეხვედრია. იგი გულწრფელ მადლობას სწირავს საქართველოს პრეზიდენტს, რადგან მისი მეგობრული წარსული გაეროს გენერალური მდივნის პირველი მოადგილის ვლადიმერ პეტროვსკისთან ძლიერ დაეხმარა მას ჟენევის არქივში შესაღწევად.

ხარიტონ შავიშვილის ავტორიტეტი იმდენად დიდია ჟენევაში, რომ მისი ბიუსტი ამშვენებს დღეს მისივე სახელობის სკვერს, ხოლო შვეიცარიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატი წევრი ჟან ელგლერი მის მოწაფედ თვლის თავს.

**ხათუნა ხატიაშვილი**

# ვისაც „მიქარული“ აქვს, მიაკითხოს ეროვნული თანხმობის ხელშემწყობ კომისიას...

ჩვენ სულაც არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს საპარლამენტო კომისია ყველას „აღსარებას“ მიიღებს და ვისაც კი „მიუქარავს“, ოთარ ფაცაცია (კომისიის თავმჯდომარე) ინდულგენციას გამოუწერს.

ეროვნული თანხმობის ხელშემწყობმა კომისიამ ოფიციალური სახე ერთი თვის წინ მიიღო და როგორც ოთხთალია, ვერავინ ვერავის პირად უშიშროებას ვერ პირდება, მაგრამ ის რად ღირს, რომ მათ აღარ ერქმევათ „ტყეში გასული ზვიადისტი“. მოკლედ, ეს კომისია ზვიადისტების „ტყიდან“ „გამორეკვას“ და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის ფერხულში ჩაბმას აპირებს. კომისიაში ყველა ფრაქციისა და პარტიის წარმომადგენლები გაერთიანდნენ.



შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე გვაცნობეს, შერიგების მსურველთა ორმოცი განცხადება უკვე მიღებულია. ორმოც ადამიანს, რომელთაც „მიქარეს“, სურს შემოურიგდეს სახელმწიფოსა და სახელმწიფოც ხელგაშლილი ხვდება. მართალია, სამწუხაროა ის, რომ ამ ერთ მთლიანს დააკლდნენ ლეიბორისტები და სოციალისტები (ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი სახელმწიფოებრივად ვერ აზროვნებენ), მაგრამ ეს დანაკლისი ხელს სულაც არ უშლის იმას, რომ კომისიამ პროდუქტიულად იმუშაოს. იგი სულაც არ აპირებს რწმენა და მრწამსი შეუცვალოს ვინმეს. „მათ სწამდეთ ის, ვინც სწამთ და თუ ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში“. ხომ ხედავთ, რამდენად ჰუმანურია ჩვენი ხელისუფლება. „მიქარვას“ ივიწყებს და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებასაც კი აძლევს მათ, ვინც ხელისუფლებას გვერდით დაუდგება.

ხელისუფლების ჰუმანურობაში მას მერე არ გვეპარება ეჭვი, რაც ჩვენი ექსმინისტრები უამრავი „მიქარვის“ მიუხედავად პრეზიდენტის მრჩევლებად გადაიყვანეს. პრესკონფერენციის მსვლელობისას, ერთ ჟურნალისტს ეჭვი შეეპარა ხელისუფლების ჰუმანურობაშიც და შესაძლო შერიგებაშიც, რადგან „წმიდა ილია მართლის საზოგადოების“ წევრი ზაზა დავითაია ნეკნებჩამტვრეული მიუყვანიათ საავადმყოფოში (ო, ეს ჟურნალისტები). კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ეს ინფორმაცია და დაგვპირდნენ, რომ ამ საკითხს შეისწავლიდნენ. მიაქცევდით ალბათ ყურადღებას, რომ ჩვენს პარლამენტსა და საპარლამენტო კომისიებს საოცრად უყვართ საქმის არსში ჩაწვდომა, ზერელედ არაფერს აკეთებენ და ამისათვის ყოველთვის საქმის შესწავლას ამჯობინებენ.

ამიტომაც შერიგების (შემოკლებით ასე ვუწოდოთ) კომისია ატარებს და მომავალშიც ჩაატარებს რაიონებში გამსვლელ სხდომებს, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო ახლოს გამართონ დიალოგი „აბრაგებთან“. ის ფაქტი, რომ კომისიას უნევს შემოსარიგებელთა ნათესავებთან ურთიერთობა და მოლაპარაკება მრავლისმთქმელია. იგრძნობა შორსმჭვრეტელი გონების ძალა, რომელმაც გაითვალისწინა ის, რომ საქართველოში ნათესაობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ძლიერია. ასევე ძალზე გონებამახვილურად განიჭვრიტა ისიც, რომ კომისიის ხელმძღვანელი სწორედ იმ კუთხის წარმომადგენელია, სადაც მრავლად არიან „ზვიადისტები“ და ე. ი. ბევრ „მიქარვას“ აქვს ადგილი. ასეა, წინასწარ როცა განსჯი და განჭვრეტ, საქმეც შედეგიანი იქნება უცილობლად.

გარდა იმისა, რომ ეროვნული თანხმობის ხელშემწყობი კომისია ქვეყანაში ეროვნულ თანხმობას უწყობს ხელს, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ და დაახლოებით ერთ თვეში კომისიას ექნება მთლიანი სურათი იმ პრობლემებისა, რაც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, თუ დახმარებით არ დაეხმარება, გაიზიარებს მაინც ხალხის გასაჭირს.

რაც მთავარია, კომისია არ აპირებს მუშნი ზარანდიას მეთოდებით მუშაობას და მიილტვის ერთიანი თანხმობის სანუკვარი დროისკენ. ეს დროც ალბათ მალე დადგება მაშინ, როცა ჩამოჰკრავს ზებოს ზარი და ყველა ერთად, მთელი საქართველო ერთიანი ძალით შეუდგება დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას.

**ნანა მოლოდინი**

# ახალი ამბები

## „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“



„კახა თარგამაძე დიდი ხნის წინ უნდა მოეხსნათ, მაგრამ თუ პრეზიდენტი პრინციპს - „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ - მიჰყვება, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“ - განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას.

ედპ-ის ლიდერის თქმით, თარგამაძის შემცვლელ მინისტრს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური, მაგრამ არა პარტიული ორიენტაცია უნდა ჰქონდეს. სარიშვილი-ჭანტურია თვლის, რომ პოლიტიკური ორიენტაცია ხშირად კორუფციასთან კავშირს განაპირობებს, რისი მაგალითიც კახა თარგამაძეა. რაც შეეხება შს მინისტრის პოსტზე წარსადგენ სავარაუდო კანდიდატებს, სარიშვილი-ჭანტურიას თქმით, მას რამდენიმე მისაღები პიროვნება ეგულება, რომელთა დასახელებისგან იგი მათთვის პრობლემების შექმნის შიშით, თავს იკავებს.

**გეა**

## გალში დატრიალებული მოვლენების გამო ზურაბ ჟვანიამ თურქეთში ვიზიტი შეწყვიტა და სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ, რომელიც თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიწვევით ოფიციალური ვიზიტით თურქეთში იმყოფება, გალის რაიონში შექმნილი უმძიმეს მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, გადაწყვეტილება მიიღო შეეწყვიტა ვიზიტი და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ზურაბ ჟვანიამ მადლობა მოახსენა მასპინძლებს გულთბილი დახვედრისთვის. პროგრამით გათვალისწინებული იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სტუმრობა საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის რაიონებში, ოშკისა და ხახულის მონახულება. გარდა ამისა, თურქეთის მხარის მიწვევით და დაფინანსებით ანკარაში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის საფეხბურთო გუნდი, მაგრამ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც აფხაზეთში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არძინბას ბოევიკებმა ტერორი გააჩაღეს, იღუპებიან მშვიდობიანი ადამიანები. საფეხბურთო მატჩის გამართვა არაეთიკური იქნებოდა.

**გეა**

## დაესმება თუ არა წერტილი სისხლისღვრას?

გუშინ, 21 საათსა და 20 წუთზე ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილეს ბატონ ნუგზარ ბაბუციძეს ბოლო პერიოდში გალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უახლოესი ინფორმაციის მიღების მიზნით.

კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა ამ წუთებში გალის რაიონში, და როგორ უმკლავდებიან მომხვდურებს ქართველი პარტიზანები, მან გვიპასუხა: „პრაქტიკულად მდგომარეობა ჯერჯერობით არ შეცვლილა და ისეთივეა, როგორიც დღეს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს. გაცნობებთ, რომ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა, თავდაცვის სამინისტრომ და რა თქმა უნდა, უშიშროების სამინისტრომ, აბსოლუტურად ყველამ იმუშავა იმისათვის, რომ იქ დამატებით სისხლი არ დაღვრილიყო. თავდაცვის მინისტრს ჰქონდა შეხვედრა მეორე მხარესთან და გარკვეული შეთანხმებები მიღწეულია.

— ფაქტიურად იქ განლაგებულია სამშვიდობო ძალების შენაერთები და რომ არა მათი დახმარება აფხაზი ბოევიკები გალის რაიონში შემოსვლას ვერ მოახერხებდნენ. შეგიძლიათ თუ არა ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთოთ?

— ოფიციალური განცხადებებისაგან მინდა თავი შევიკავო. მითუმეტეს, თქვენ გაგაჩნიათ ინფორმაცია, რომ ჩვენი თავდაცვის მინისტრი შეხვდა მეორე მხარეს, და მათი მხრიდან გარკვეული ნაბიჯებიცაა გადადგმული სიტუაციის სტაბილიზაციისათვის. ამიტომ მე არ მინდა ჩემმა სიტყვებმა ვილაცის გაღიზიანება გამოიწვიოს და სიტუაცია გამწვავდეს. რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ბრძანდებით, რომ არა მათი გარკვეული მხარდაჭერა, წარმოუდგენელი იყო მოვლენების ასეთნაირი განვითარება, მაგრამ ხელისუფლებამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა და შეიძლება ითქვას, მათი მხრიდან დღეს რაიმე გართულებებს ადგილი არ ჰქონია. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერმა ამან გარკვეული შედეგი გამოიღო და სისხლისღვრა შეჩერებულია.

ესაუბრა
**კობა კაპანაძე**

## სეკპ-ის ოფისში ჩხრეკა მიმდინარეობს



საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი ჩხრეკას აწარმოებს სეკპ-ის ოფისში. ჩხრეკის მიზანია რაიმე კავშირის აღმოჩენა პანტელეიმონ გიორგაძესა და მის ვაჟს, საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს, ამჟამად ძებნაში მყოფ იგორ გიორგაძეს შორის, რომლის ინტერვიუებიც უკანასკნელ დროს რუსეთის პრესაში გაჩნდა, კერძოდ, გაზეთ „ზავტრაში“.

როგორც ცნობილია, ორშაბათს სეკპ-ის ლიდერი, პანტელეიმონ გიორგაძე საბერძნეთში გაემგზავრა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე, ასე რომ, ჩხრეკა მის ოფისში მის დაუსწრებლად მიმდინარეობს.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს პროკურატურაში აცნობეს, სეკპ-ის ოფისის ჩხრეკის ორდერი საბურთალოს რაიონის სასამართლომ გასცა.

**გეა**

## გალის რაიონში აფხაზებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს

გალის რაიონში ბრძოლები ჯერ-ჯერობით მიწყნარდა. როგორც გეა-ს ზუგდიდიდან აცნობეს, ქართველების მხრიდან 5 დაჭრილია და 6 დაღუპული, მათ შორის ერთი ექიმი. აფხაზთა მხრიდან, როგორც ამბობენ, დაღუპულთა რიცხვმა 30-ს მიაღწია. გეა-ს ზუგდიდელი კორესპონდენტის ინფორმაციით, სოფელ სიდაში ბრძოლებისას დაჭრილი აფხაზები ვერტმფრენით გადაიყვანეს ოჩამჩირის საავადმყოფოში, დანარჩენები გალის საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი. ამჟამად ბრძოლები შეწყდა, მაგრამ აფხაზებს თავიანთი ძალები კონფლიქტის ზონიდან ჯერაც არ გაუყვანიათ. უფრო მეტიც, როგორც ცნობილი გახდა, დღეს გალში აფხაზებმა 3 იკარუსით დამატებითი შეიარაღებული ძალები შემოიყვანეს.

**გეა**

## საბერიოში ქართული დროშა ფრიალებს

გალის რაიონის სოფელ საბერიოში ყოფილი სოფ.საბჭოს შენობის თავზე 19 მაისის დილიდან ქართული დროშაა აღმართული. როგორც გეა-ს ზუგდიდიდან აცნობეს, ჯერ-ჯერობით დროშის ჩამოხსნას აფხაზები ვერ ბედავენ.

**გეა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

## პრეზიდენტი მართალს ამბობს

პრეზიდენტი მართალს ბრძანებს — ან, სულ ცოტა, მართალ სულისკვეთებასა და სურვილს გამოხატავს — როცა აღნიშნავს:

„მანქანათმშენებლობა ნებისმიერი ქვეყნის სიამაყეა და მისი განვითარების განმსაზღვრელი." ხოლო შემდეგ ქუთაისის ავტოქარხნის ბედზე ამ სიტყვებს წარმოსთქვამს:

*„ქარხანაში 1500-1800 მუშამოსამსახურე შრომობს. საკმაოდ მაღალი ხელფასებიც აქვთ. შესანიშნავი პერსპექტივა არსებობს წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. მაშასადამე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი გიგანტი გადარჩენილია. იგი იმუშავებს ახალ პირობებში, ახალ საბაზრო პრინციპებზე და მომავალი საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ ბურჯადაც გადაიქცევა."*

იგივე სურვილი და, რაც მთავარია, იგივე სულისკვეთება და მიმართულება — საქართველოში წარმოების და, პირველ ყოვლისა, მრეწველობის ამუშავების კურსი — სუფევს ინტერვიუს მთელ იმ ნაწილში, რომელიც პრეზიდენტის მიერ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკის მონახულებას ეხება. კითხვა აქ რჩება მხოლოდ ერთი თემის — დიდი ანუ უნიკალური სამრეწველო ობიექტების მიმართ: იმ წესითაა ეს ობიექტები აქციონირებული, როოგორიც ჩვენი ქვეყნისათვის მისაღებია ან, მით უმეტეს, ოპტიმალურია? ყოველთვის ისაა არჩეული პარტნიორად (რუსული ფირმები), ვინც ჩვენთვის უხიფათოა. ანუ მართლაც მხოლოდ ეკონომიკური მოტივებით მოქმედებს?

## პრეზიდენტი ცდება

**ეკონომიკის დარგში**

პრეზიდენტი იმედოვნებს და გეგმავს კორუფციასთან შებრძოლებას. იგი ბრძანებს:

*„ბოლოს და ბოლოს, კორუფციის წყარო ყველა ქვეყანაში, სადაც კორუფცია არსებობს, ერთადერთია. სახელმწიფო ხაზინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფოს ჯიბე, სადაც ზოგიერთი ნამუსგარეცხილი მოხელე თუ ბიზნესმენი, მეწარმე დაუხმარებლად და თავხედურად აფათურებს ხელს, მაგრამ ამას ბოლო მოეღება. სულ მალე პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, რომლის შესაბამისად შეიქმნება, როგორც ადრე მითქვამს, სპეციალური ანტიკორუფციული კომისია აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტთან და რომელსაც უშუალოდ უხელმძღვანელებს პრეზიდენტი. მას საგამოძიებო უფლება და ფუნქციაც ეკისრება. მე არ მინდა დავაკნინო ანალოგიური საპარლამენტო კომისიის მნიშვნელობა. მან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლების ბუნებიდან, ხელისუფლებათა გაყოფის ფუძემდებლური საკონსტიტუციო დებულებიდან გამომდინარე, მას სხვა უფლებამოსილება ჰქონდა. საპრეზიდენტო კომისია კი გამოსაძიებელსაც გამოიძიებს და კონკრეტულ გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. რა თქმა უნდა, ანტიკორუფციული საპრეზიდენტო კომისიის შექმნას პარლამენტის მხარდაჭერა დასჭირდება და ამან კანონის ძალა უნდა მიიღოს".*

პრეზიდენტი ეგებ არც ცდება, როცა კორუფციის დაძლევას ჯოხის საშუალებით ფიქრობს. ჯოხი ამ საქმეს მართლაც უდავოდ სჭირდება გისოსის, კონფისკაციის და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით. მაგრამ საკითხავია, ვინ უნდა იხმაროს ეს ჯოხი? ცხადია, იმან, ვისაც ფულზე უფრო ძლიერი მიზნები ეგულება ამ ქვეყნად და ამიტომ ქრთამს არ დაჰხარბდება. მაგრამ ასეთი კაცი არ მივა ისეთ ხელისუფლებაში, რომელიც ცხინვალს „ოსეთს" არქმევს და არძინბას პარტნიორად იხდის, რითაც ხელს უწყობს მას, კანონს დაემალოს.




ამიტომ პრეზიდენტის იმედი, რომ კორუფციას მოერევა თუნდაც ჯოხით, სამწუხაროდ, უტოპიაა.

**პოლიტიკის დარგში**

კითხვისათვის, თუ რატომ გამოუცხადეს აფსუა სეპარატისტებმა უნდობლობა რუსეთის „სამშვიდობო" ძალებს, პრეზიდენტს მხოლოდ ერთი პასუხი აქვს:

*„მე მოკლედ გიპასუხებთ. ეს განცხადება მოწმობს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა დაიწყეს თავიანთი ელემენტარული მოვალეობის შესრულება — არ დაუშვეს საკონტროლო ზონაში დამსჯელი ექსპედიციები. მიუხედავად სხვადასხვა განცხადებებისა, რომლებიც, ჩემი აზრით, ფორმალური ხასიათისაა, სამშვიდობო ძალებმა უნდა დააჩქარონ მოსკოვის სამიტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, რისი იმედიც მე მაქვს".*

ამ კითხვას სხვა პასუხიც აქვს და სწორი, ჩვენის აზრით, სწორედ ეს მეორეა. არძინბას ხროვამ იმიტომ გამოუცხადა უნდობლობა რუსებს, რომ ეს რუსებმა დაავალეს, ხოლო რუსებმა დაავალეს იმიტომ, რომ აპირებენ სამხედრო და დივერსიული მოქმედების განახლებას, რისთვისაც უნდათ ოფიციალური პასუხისმგებლობა მოიხსნან. ყველაზე საშიშია, ეს დივერსია ენგურის კაშხალს არ შეეხოს ფოთის და ბათუმის მოსპობის (და ამით „დერეფნის" ხელშეშლის) მიზნით. „პრეზიდენტი ალბათ ვალდებულია ეს შესაძლებლობა გაითვალისწინოს და დროულად დააფიქსიროს პროფილაქტიკის მიზნით.

## პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

**ეკონომიკის დარგში**

როგორც ჩანს, გასული ორშაბათის ინტერვიუში პრეზიდენტმა მიზნად დაისახა თავისი ეკონომიკური პოლიტიკის არა საყოველდღეო, არამედ ზოგადი, გლობალური გამართლება და ამისთვის რამდენიმე წლის მაჩვენებლები დაიმოწმა. მთავარი რიცხობრივი მაჩვენებელი, რომელიც, პრეზიდენტის სიტყვით, განსაზღვრავს „ქვეყნის განვითარების, მისი ცივილიზებულობის, მისი კეთილდღეობის დონეს", არის მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელმაც გასულ წელს საქართველოში თითო სულ მოსახლეზე 1190 ლარი შეადგინა და ამით 23%-ით გადააჭარბა წინა წლისას. „ხარჯებმა და კრედიტებმა" თითო სულ მოსახლეზე შეადგინა 145,5 ლარი, ხოლო საბიუჯეტო შემოსავალმა (740 მლნ. ლარი) გასულ წელს შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 11%. ეს რიცხვები ერთმანეთს მიახლოებით ეთანადება და ოპტიმისტურად გამოიყურება. მაგრამ როგორ შევადაროთ ისინი იმ ფაქტებს, რომლებიც სხვა წყაროდან ვიცით, მაგალითად, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" (1998 წ. №5) პუბლიკაცებს, საიდანაც ვიგებთ, რომ „მოსახლეობის რიცხვმა, რომელმაც არ უნდა იარსებოს, 40% შეადგინა" (გვ. 19) (იგულისხმებიან ოჯახები, რომლებსაც ფიქსირებულ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვთ). ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სტატისტიკური მონაცემი — ოთხწევრიანი ოჯახის საშუალო შემოსავალი თვეში არის 163 ლარი" — (იქვე, გვ. 18) — თავის შიგნით ძალიან მკვეთრ კონტრასტს მოიცავს: საერთო. შემოსავლის ძალიან დიდი პროცენტი (სახელდობრ, რა პროცენტი — ამას პრეზიდენტი არ გვეუბნება) მოდის ძალიან მდიდრებზე. „ხარჯებისა და დაკრედიტების" რა პროცენტი მოდის ხარჯებზე, რომელშიც საერთო-სახალხო მნიშვნელობის ხარჯებიც შედის (თავდაცვა, განათლება, ჯანდაცვა და ა. შ.) და რა ნაწილი — „დაკრედიტებაზე", რომლის ლომის წილი, ცხადია, ხელისუფლებასთან დამეგობრებულ ბიზნესზე მოდის, ამას პრეზიდენტი არ აზუსტებს. აი, აქ არის სწორედ ის განუსაზღვრელი ზომის ხვრელი, რომელიც, დღესდღეობით, სახელმწიფო ჯიბეს აქვს. თუ დავუბრუნდებით „ხარჯებს", აქ კიდევ გასარკვევი რჩება, მათი რამდენი პროცენტი ხმარდება საქმეს და რამდენი თავსდება აურჩეველი ადმინისტრატორებისა და სხვა მოხელეების ჯიბეში. ასე რომ, პრეზიდენტის ინფორმაცია ფაქტობრივად ინფორმაცია არ არის. იგი შენიღბვაა (ვიმეორებთ: შენიღბვა და არა გაყალბება. გაყალბების ფაქტი ჩვენ არ ვიცით) იმ რეალური ვითარებისა, რომლის ერთ-ერთ მკვიდრ და მნიშვნელოვან ნაწილად ის რჩება, რომ მოსახლეობის 52% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

კიდევ ერთი კითხვა პრეზიდენტის ოპტიმისტური ინფორმაციის მიმართ ისაა, თუ როგორია იმ გაზრდილი „მთლიანი შიდა პროდუქტის" სტრუქტურა. რისი ნაყოფია ეს? სოფლის მეურნეობისა? მრეწველობის? მაღალტექნოლოგიური მეცნიერებატევადი წარმოებისა? კოკაკოლათი და სხვა შხამქიმიკატებით ვაჭრობისა? გენოფონდმკვლელი შემოტანილი პროდუქტებით სპეკულაციისა? პროსტიტუციისა? არაკონდიციური იმპორტული სიგარეტით მონოპოლიზებული ვაჭრობისა? ამ სტრუქტურის არდაკონკრეტება პრეზიდენტის მიერ ნიშნავს რადიომსმენელისათვის ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის არმიწოდებას ანუ მისგან სინამდვილის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილის დამალვას.

**პოლიტიკის დარგში**

პრეზიდენტი აშკარად და, ალბათ, შეგნებულად უგულებელყოფს ჭეშმარიტებას, როცა თავისი და ძასოხოვის მოლაპარაკებას, რომელზეც მხარეები ცხინვალის ზონაში „ოსეთის" შექმნას დათანხმებულან, „კომპრომისად" გვისახავს. საკითხავია: მეტი რის მოთხოვნა შეეძლოთ სეპარატისტებს ან რა დათმეს მათ ამ შეთანხმებით? ის, რომ მათ ამ ზონის საქართველოსაგან მოწყვეტა შეეძლოთ ან შეუძლიათ, ისეთი ბლეფია, რომელსაც ახალშობილი ბავშვიც არ დაიჯერებს. არც იმას დაიჯერებს, რომ 60 ათასიანი ოსი მოსახლეობისთვის ამ ზონაში, რომლის დიდი ნაწილი თავისი სულისკვეთებით სეპარატისტი არ არის, შეუძლებელია საქმის ნამდვილი არსის განმარტება და სეპარატისტ ავანტურისტებისაგან მისი ჩამოშორება — (თუნდ ამ ავანტურისტების კანონიერი მოთოკვის ფონზე) და რომ ეს სახელმწიფოს შესაძლებლობებს აღემატება. ასეთივე ბლეფია ის, რომ ამ კონფლიქტის ძირითადი ფაქტორის — რუსეთის ინსპირატორული გავლენის აღკვეთა წმინდა პოლიტიკური გზით — ძალიან ძნელია ან შეუძლებელია (თუკი საქართველოს სათავეში საკმარისად უნარიანი ხელისუფლება დგას). სეპარატისტებისთვის დათმობის პოლიტიკა ამ ზონაში სხვა არა არის რა, თუ არ რუსეთის გეგმის განხორციელება, რომელსაც ცხინვალში გამაგრებით საქართველოსთვის მუდმივი მუქარა და დასავლეთ-აღმოსავლეთის „დერეფნის" გადაჭრის მუდმივი შესაძლებლობის მოპოვება უნდა.

რაც შეეხება ბატონ ძასოხოვის როლს ამ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ გარიგებაში, აქ იბადება კითხვა: რა არის, პრეზიდენტის აზრით, ძასოხოვის სტატუსი ამ პროცესში? თუ იგი შუამავალია, მაშინ რატომ არ არის იგი ნეიტრალური პიროვნება — არც ქართველი, არც ოსი, არც ქართულის მცოდნე, არც ოსურის მცოდნე? ხოლო თუ იგი მხარეა (და არა არბიტრი ან შუამავალი), მაშინ იგი საქართველოში სავაჭროდ ყოფილა ჩამოსული — სავაჭროდ ისეთ საგანზე (ცხინვალის ზონის მიწა-წყალზე), რომელიც უვაჭრელად ჩვენია და მოლაპარაკების საგანი ვერ იქნება. ამავე დროს ძასოხოვის მხარედ ყოფნა ხომ იმის აღიარებაა, რომ ჩიბიროვი და მისი მოძმენი — საქართველოს მოქალაქეები — უცხო მოქალაქესთან ერთად ერთ მხარეს წარმოადგენენ საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში, მასზე ზეწოლასა და მასთან ვაჭრობაში და მაშასადამე, საქართველოს ხელისუფლების პოზიციის შევიწროებას ცდილობენ უცხო მოქალაქესთან ერთად! ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც არაერთხელ სხვა დროს, პრეზიდენტს იურიდიულ საკითხებში მომზადება ღალატობს.

პრეზიდენტი თვალში საცემად უგულებელყოფს ჭეშმარიტებას მაშინაც, როცა აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხების მიზეზზე ლაპარაკობს. აი მისი სიტყვები:

*„თქვენც კარგად გახსოვთ, რა ვთქვი მე, როცა აფხაზეთიდან გამოვედი და თქვენ იცით, როგორი იყო ჩემი განწყობილება და სულიერი განწყობა სოხუმის დაკარგვის შემდეგ. მაშინ მე განვაცხადე, რომ სამეგრელოში გართულებულმა მდგომარეობამ გაგვწყვიტა წელში, გაწყვიტა წელში საქართველო-მეთქი, ვინც გაართულა, ეს უკვე არა ერთხელ და არა ორჯერ ითქვა."*

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტი არ ახსენებს აფხაზეთის ომის წაგების ძირითად უშუალო მიზეზებს: ტყვარჩელის დატოვებას საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ზურგში და სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანას. გარდა ამისა, იგი არ ახსენებს იმ ხანგრძლივ მოქმედ ფაქტორს, რომელმაც წაგებისთვის ფონი და საფუძველი შექმნა: მიმდგომი რაიონების მრავალჯერად წინასწარ დარბევას მომავალი ომისათვის ზურგის მორღვევის მიზნით.

წინასწარგანზრახულს ჰგავს ჩვენი ქვეყნის მართლაც აქტიური მტრის, — სახელდობრ, ლიად კომუნისტური და ლიად ჩეკისტური ელემენტის — სახით იმ ზოგადი ხიფათის ესოდენ მკაფიო პერსონიფიკაცია, რომელსაც რუსეთის მიერ საქართველოს კვლავ დამორჩილების მცდელობა ჰქვია. განა ლია კომუნისტებისა და ჩეკისტების გარდა საქართველოში ოდნავ ფერშეცვლილ-შენიღბული და უმაღლეს თანამდებობებზე მოქცეულებიც არ არიან? განა გიორგაძის გარდა რუსეთს საქართველოში დღეს უფრო წონადი ფიგურებიც არა ჰყავს? ყურადღების კონცენტრაცია გიორგი გიორგაძესა და მის თანამზრახველებზე მიზნად ისახავს მსოფლიოში იმ არასწორი შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს დღევანდელი ნეოკომუნისტური ხელისუფლების კურსს დღეს საქართველოში ძველი ყაიდის კომუნისტები უპირისპირდებიან და არა ეროვნული და სხვა დემოკრატიული ელემენტები.

**შემატკივარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი სომხეთი თუ დიდი საქართველო?

## ანუ ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი ისტორიის გამყალბებლები იყვნენ?

ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე მას შემდეგ, რაც გავეცანი 1994 წელს ერევანში სომხურ ენაზე ხუთი ათასიანი ტირაჟით გამოცემულ სტეფან სტეფანიანცის წიგნს — „სომხური სამოციქულო ეკლესია სტალინური ტირანიის ხანაში." წიგნი ეძღვნება სომხური სამოციქულო ეკლესიის 1700 წლისთავს. მას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სრულიად სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქის, ვაზგენ I-ის სიტყვები: „სომეხი ხალხის წმინდა ეჯმიაწინით, წმინდა ეჯმიაწინი სომეხი ხალხით, აწ და მარადის" (ეჩმიაძინს სომხურად ეჯმიაწინი ქვია.)

ამ წიგნში საკამათო სხვა რამეც არის, მაგრამ ამჯერად ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ერთმა ადგილმა: „სომხური მიწების მათი ნამდვილი პატრონისადმი დაბრუნების საკითხის განუწყვეტლივ გადადება ხდებოდა. ამასობაში გამოჩნდნენ ახალი პრეტენდენტები, ამ საკითხში სომეხთა მოწინააღმდეგე ქართველი მეცნიერები. ბუნებრივია, რომ მათ მოთხოვნებს წარმართავდა და აქეზებდა რომელიღაც ძალა ცენტრიდან. ეს ძალა იყო საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური ი. სტალინი და მისი დამქაში, საქართველოს ყოფილი თავკაცი, კავშირის ხალხების ჯალათი ლ. ბერია. 1945 წლის ბოლოს საქართველოს ბოლშევიკების გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქართველოს აკადემიკოს-ისტორიკოსების, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სტატია — „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ." იგივე სტატია უკვე 20 დეკემბერს „პრავდაში" დაიბეჭდა.

თავიანთ „ნაშრომში" (ამ სიტყვის ბრჭყალებში ჩასმით ავტორს დიდი ქართველი მეცნიერების სახელის გატეხვა სწადია — ა. ა.). ქართველი ისტორიკოსები აკეთებენ წიაღსვლას შორეულ წარსულში და ამტკიცებენ, რომ ძველთაგანვე საქართველოს ეკუთვნოდა შავი ზღვის სანაპიროს ერთი ნაწილი, უფრო სწორად, კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორიები ქალაქ ტრაპიზონთან ერთად. დარწმუნებული იყვნენ რა თავიანთ სიმართლეში, ისინი წერდნენ, რომ ქართველთა მეფემ, დავითმა 979 წ. „აიძულა ბიზანტიის იმპერატორი, ბასილ ბულგართმმუსვრელი საქართველოსთვის დაეთმო მისგან ჩამოშორებული მხარეების ერთი წყება: კარინი, ქალაქ ერზრუმის მხარე, ხარქი და აპაჰუნიქი... 80-იან წლებში დავითმა დაიპყრო მოსაზღვრე დერჯანისა და ტარონის მხარეები, ხოლო 997 წ. დაიპყრო ქალაქი მანასკერტი. ამრიგად, საქართველოს სამხრეთის სასაზღვრო ხაზი გადაჭიმული იყო ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე."

მეცნიერები წერდნენ, რომ ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსების ყველა ლაშქრობაში თურქეთის წინააღმდეგ და რომ ქართველმა ხალხმა უნდა დაიბრუნოს თავისი მიწა-წყალი, არდაჰანი (არტაანი, არდაგანი — ა. ა.), ართვინი, ოლთისი, თორთომი, ისპირი (სპერი — ა. ა.), ბაიბურთი (ბედის ირონიაა, რომ ქ. ბაიბურთის მაგიერ „ვრასტანის" რედაქტორი ვ. ბაიბურთი შეგვრჩა ხელთ — ა. ა.), გიუმიშხანე, აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაპიზონისა და გერასუნის (ძველი სახელწოდებაა კერასუნტი — ა. ა.) მხარეების ჩათვლით. „ლაპარაკია არა უბრალო ტერიტორიულ დათმობაზე, არამედ ჩვენი ხალხის თვითმყოფადობის მიტაცებული აკვნის თაობაზე, დანაშაულის შესახებ, რომელმაც ჩვენი ცოცხალი ეროვნული ორგანიზმი ორად დაანაწილა." (ნაგულისხმევია საბჭოთა საქართველო და თურქეთის საქართველო; სტეფანიანცი იმოწმებს „პრავდაში" დაბეჭდილ ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილს — ა. ა.).

აი, ასე სომხურ საკითხს გვერდით დაუდგა სტალინის მიერ შეთხზული ახალი მოწინააღმდეგე. ვის აძლევდა ხელს ქართველი ისტორიკოსების სტატია? შესაძლოა, ეს გააკეთეს იმისათვის, რომ შეეშინებინათ თურქეთი — უკეთუ ომი დაიწყებოდა, თურქეთს უზარმაზარი ტერიტორიული დანაკარგები ექნებაო და ამით უნდოდათ ექციათ იგი უფრო მორჩილად და დამთმობად." (ს. სტეფანიანცი, დასახელებული წიგნი, გვ. 192-193).



უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სტეფანიანცი ტყუილად ცდილობს სტალინის ტირანობა და ბერიას ჯალათობა ქართველ ხალხს გადააბრალოს. მარქსიზმი, კერძოდ, მისი რუსული ნაირსახეობა საქართველოში არ წარმოშობილა, ის აქ გარედან შემოიტანეს. სტალინი და ბერიაც რუსეთის იმპერიის, ხალხთა საპყრობილის წიაღში იშვნენ, დავაჟკაცდნენ და ჩადგნენ განითლებული რუსული იმპერიის სამსახურში, რითაც სომხეთზე არანაკლები ზიანი მოუტანეს საქართველოს. განა სომეხ ბოლშევიკებს შორის არ მოიძებნებიან ტირანები და ჯალათები? სხვა ამბავია, რომ ისინი სტალინივით და თუნდაც ბერიასავით ძლიერები ვერ გამოდგნენ.

სტეფანიანცი თავის წიგნში დროშასავით აფრიალებს იუგოსლავიის კომუნისტების მამამთავრის, იოსიპ ბროზ ტიტოს სიტყვებს: „სომეხი ხალხი ორი ომის განმავლობაში ყოველთვის იდგა მოკავშირეების გვერდით და მუდამ ეწირებოდა მათ ინტერესებს. სომეხი ხალხის კანონიერ უფლებას წარმოადგენს, რომ ჰქონდეს დიდი სომხეთი." ვითომ იოსიპ ბროზ ტიტო ვინმეზე ნაკლები ტირანი იყო? მის მიერ შექმნილი იუგოსლავიაც დღეს დაახლოებით იგივე საშინელებებში არაა გახვეული, როგორც ლენინ-სტალინის მიერ „შედუღაბებული" საბჭოთა კავშირი? ამიტომ ვერც ბროზ ტიტოს მივიჩნევთ დიდ ავტორიტეტად, მით უფრო იმ საკითხში, ტაო-კლარჯეთი თუ ჯავახეთი არის თუ არა დიდი სომხეთის ნაწილი. სტეფანიანცი სწორედ იმიტომ ესხმის თავს ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს, რომ მას არზრუმის მხარე, ბასიანი (სახელწოდება წარმომდგარია ქართული ტომის, ფასიანების სახელისაგან), სპერი, ტაო, კლარჯეთი, არტაანი, ლაზისტანი (ტრაპიზონის ჩათვლით) უცილობლად დიდი სომხეთის საზღვრებში ეგულვება, ოცნებობს ამ დიდი სომხეთის აღდგენაზე და ქართველებს კადნიერებას, ისტორიის გაყალბებას უკიჟინებს იმის გამო, რომ მათ ტაო-კლარჯეთი და ლაზისტანი ქართულ მიწა-წყლად გამოუცხადებიათ.

რაც შეეხება ვანის ტბას, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს არ უთქვამთ, რომ ისიც საქართველოს უნდა დაუბრუნდეს, ხოლო დავით კურაპალატმა რომ ვანის ტბის მახლობლად მდებარე ქ. მანასკერტი გაანთავისუფლა მაჰმადიანთა უღლისაგან და იქ ქართველები და სომხები ჩაასახლა, ამის შესახებ დავითის თანამედროვე სომეხი მემატიანე (სტეფანოს ტარონეცი) იუწყება. თუ სტეფანოსმა იცოდა, რომ ვანის ტბის ნაპირებიდან მტრის განდევნა სომეხთათვისაც ხელსაყრელი იყო. სტეფანიანცს, სამაგიეროდ, ახლანდელ დამცრობილ საზღვრებში მოქცეული საქართველოს სულ ცოტა ნახევარიც სომხურ მიწა-წყლად მიაჩნია. იგი სომხურ სოფლებად აცხადებს ქვემო ქართლში მდებარე მუხათს, კოდას, ვაშლოვანს. ქვემო ქართლში სომხებიც თუ ცხოვრობდნენ, ეს იმიტომ, რომ ისინი თავიანთ სამშობლოში ვერ ძლებდნენ და თავს საქართველოს აფარებდნენ. ქვემო ქართლში სომხებზე მეტი თათარი ცხოვრობს, მაგრამ ხომ კარგადაა ცნობილი, როგორ და რა დროს გაჩნდნენ ისინი იქ? სტეფანიანცს საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, არც ახალქალაქი ეთმობა. საუბრობს რა 1945 წ. ამბებზე, იგი ჩამოთვლის სომხეთის მრავალ ქალაქს, რაიონს, სოფელს, და მათ შორის მარწუხებში მტკიცედ მოუქცევია ახალქალაქიც — ესეც ხომ სომხეთიაო.

მე კარგად ვიცი, რომ სომხები მრავალტანჯული ხალხია. სხვადასხვა ჯურის დამპყრობლები საუკუნეთა განმავლობაში ცდილობდნენ მათ განადგურებას და გადაჯიშებას. ამისთვის ყოველგვარ საშუალებებს იყენებდნენ. სომეხთა გენოციდზე აქ სიტყვას ვერ ჩამოვაგდებთ (ეს ისედაც ცნობილია) და ორიოდე სათანადო, ამასთან კურიოზული ფაქტის შესახებ ვიტყვი მოკლედ. XI ს-ში ბიზანტიის იმპერიის მესვეურებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მოესპოთ სომეხთა თვითმყოფადობა, გაებერძნებინათ სომხები. ამას შედეგად მოყვა ბერძენ-სომეხთა ურთიერთობის მეტისმეტად გამწვავება. საქმე იქამდეც მივიდა, რმ ერთ-ერთ ბერძენ მიტროპოლიტს თავისი ძაღლისთვის სახელად არმენი დაურქმევია და საერთოდაც, ყველა ძაღლს თურმე არმენს ეძახდა. ამის თაობაზე საუბარია XII ს-ის პირველი ნახევრის ცნობილი სომეხი მემატიანის, მათეოს ურჰაეცის „ჟამთააღმწერლობაში." იმის გამო, რომ სომხები ჩვენს საუკუნეშიც აქტიურად იბრძოდნენ (განსაკუთრებით საზღვარგარეთ) თავიანთი ეროვნული უფლებების დასაცავად, აშშ-ს ზოგიერთი ქალაქის მაღაზიების ვიტრინებზე გაჩენილა წარწერები: „ძაღლებს და სომხებს შემოსვლა ეკრძალებათ" (იხ. კრებული: „სომხები", ერევანი, 1991, გვ. 441, რუსულ ენაზე).

სომხებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ქართველები მათზე არანაკლებ მრავალტანჯული ხალხია და ფრთხილად უნდა წერონ ქართველ-სომეხთა ურთიერთობებზე, თორემ ჩვენ იძულებული ვხდებით თავი დავიცვათ მათი შემოტევებისაგან და ყოველივე ეს კარგს არაფერს მოიტანს. ამის დასტურად შეიძლება 1918 წ. დეკემბერიც გავიხსენოთ, როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ ჯარი შემოუსია საქართველოს და სხვადასხვა დროს ჩვენს ქვეყანაში შემოხიზნული სომხების დახმარებით აპირებდა ნახევარი საქართველოს, კერძოდ, ჩვენი დედაქალაქის, თბილისის მიტაცებას.

ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს, ცხადია, სრული უფლება ჰქონდათ განეცხადებინათ, რომ ტაო-კლარჯეთი, არტაანი, ლაზისტანი და სხვა მხარეები საქართველოს სისხლხორცეული ნაწილია და თუ მსოფლიოს პოლიტიკოსები ოდესმე სამართლიანობის პრინციპებით იხელმძღვანელებენ, მათ ეს ფაქტი უნდა აღიარონ. განა ძნელია იმის დანახვა და მიხვედრა, რომ ტაო-კლარჯეთი ქართული კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა და ქართველებმა ამ მხარის დასაცავად საუკუნეთა მანძილზე ზღვა სისხლი დაღვარეს? შოთა რუსთაველიც ხომ მესხეთში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში შექმნილი დიდი ქართული კულტურის წიაღიდან იშვა. ამიტომაც გიორგი ლეონიძე თავის ერთ მოთხრობაში თურქეთის საზღვრებში მოქცეულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩვენი ქვეყნის მოჭრილ ძუძუს უწოდებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ტაო-კლარჯეთი დღესაც, მართლაც, ჩვენი ეროვნული ორგანიზმის ნაწილია, ჩვენ განუწყვეტლივ ვგრძნობთ მასთან მჭიდრო კავშირს შოთა რუსთაველის და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეების თუ ჩვენ მამა-პაპათა დაღვრილი სისხლის მეშვეობით. ისიც ცნობილია, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან უამრავი ქართველი იძულებით გადმოსახლდა საქართველოს შიდა რაიონებში და მათი ნაშიერის სისხლის ყივილი წინაპართა მიწის არდავიწყებაში რომ გამოიხატოს, ეს განა ბუნებრივი არ არის?

ლაზების, ანუ ჭანების საკითხიც ყოველთვის მტკივნეული იყო და არის ქართველი ერისათვის. ისინი ტრაპიზონის მხარეში და უფრო დასავლეთითაც რომ ცხოვრობდნენ უძველესი დროიდანვე (ჭანების ზოგიერთ განაყოფს, მოძმე ტომს შეიძლება სხვა სახელიც ერქვა, მაგრამ ამას ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა), ამის თაობაზე უხვი მასალა არსებობს. თამარ მეფის დროს, ასევე, სხვა ეპოქებშიც ლაზისტანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოებრიობასთან. არაა შემთხვევითი, რომ ლაზურ ფოლკლორშიც თამარ მეფის შესახებ მრავალი გადმოცემა, თქმულება არსებობს. ვიწრო ტომობრივი თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ლაზთა ქართული ტომი მეგრელების განაყოფია. მეგრული და ლაზური ენები ერთი და იგივეა; მით უფრო, ასე იყო ეს ძველად, კერძოდ, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში. აქედან გამომდინარე, ნუთუ ქართველთა ეროვნული გმირი, მეგრელი ცოტნე დადიანი და მისი თანამოაზრეები ლაზისტანს საქართველოს ორგანულ ნაწილად არ მიიჩნევდნენ? ასეთები მრავლად იყვნენ მთელს საქართველოში. კერძოდ, ლაზისტანშიაც, სანამ ამ მხარეს თურქეთი დაიპყრობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში, ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნეში სომეხთა მეფეებმა შეძლეს არაერთი ქართული მხარის (ტაო, სპერი, ბასიანი და სხვა) მიტაცება. მაგრამ ქართველები საუკუნეთა მანძილზე თავდაუზოგავად იბრძოდნენ დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად და ხშირად წარმატებასაც აღწევდნენ. ცნობილია, რომ თბილისი ოთხას წელიწადს ჰქონდათ მიტაცებული მაჰმადიან დამპყრობლებს, მაგრამ დავით აღმაშენებელმა შეძლო მისი გამოხსნა ტყვეობიდან. რაც შეეხება სომხეთს, იგი ხანგრძლივად არასოდეს წარმოადგენდა ისეთ ძალას, რომ სამუდამოდ შეძლებოდა ქართული მიწა-წყალის მისაკუთრება. ტაო-კლარჯეთიც XVI ს-ში მოჰგლიჯა თურქეთმა საქართველოს და რა დააშავეს ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა ან სხვა ქართველებმა, თუ დღემდე ვერ დავივიწყეთ საქართველოს მოჭრილი ძუძუ?

თუ ოდესმე არსებობდა დიდი სომხეთი, არსებობდა დიდი საქართველოც. ძველ კოლხეთზე და სასპერებზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი იყო ფარნავაზის დროინდელი საქართველო ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს-ში. XI ს-ში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა სომხეთში, რომლის აღდგენაც 1918 წლამდე (დაშნაკებამდე) ველარ მოხერხდა. უფრო მეტიც, სომხეთი თანდათან დაიცალა სომხური მოსახლეობისაგან, სომხები სხვა ქვეყნებში გაიფანტნენ. საუკუნეთა მანძილზე სრულიად სომეხთა საკათოლიკოსოც სომხეთის საზღვრებს გარეთ იმყოფებოდა და მხოლოდ XV ს-ში გადმოიტანეს სომხეთში, ეჯმიაწინში. ასეთ ვითარებაში სწორედ დიდმა საქართველომ და მის ნანგრევებზე წარმოშობილმა ქართულმა სამეფო-სამთავროებმა გადაარჩინეს ქრისტიანობა კავკასიაში. ქართველებსაც რომ მიეტოვებინათ სამშობლო და სხვაგან გადახვეწილიყვნენ, მთელი ამიერკავკასია მაჰმადიანური გახდებოდა. სომხები თუ მაინც მოახერხებდნენ ეჯმიაწინის საკათოლიკოსოს შენარჩუნებას, იგი დაახლოებით იმ მნიშვნელობისა იქნებოდა, როგორიც იყო, მაგალითად, აისორთა საეკლესიო ცენტრი. ეჯმიაწინი ძალას ინარჩუნებდა მეზობლად ქრისტიანული საქართველოს არსებობის ფაქტორითაც და იმ გარემოებითაც, რომ სომხები სომხეთში, მართალია, თითქმის აღარ ცხოვრობდნენ, მაგრამ საკმაოდ მომრავლდნენ სომხეთის მომიჯნავე მხარეებში, ეჯმიაწინიდან არც თუ შორს. თუ ქართული სახელმწიფოებრიობა დაეცემოდა გარემომცველ მაჰმადიანურ ქვეყნებთან საუკუნეთა მანძილზე გაჩაღებულ უთანასწორო ბრძოლაში, მაშინ რუსეთის იმპერიაც XIX ს-ში ამიერკავკასიაში ფეხს ადვილად ვერ მოიკიდებდა (რუსეთმა ისარგებლა იმით, რომ საქართველო სხვადასხვა ჯურის მტრის ურდოების მიერ მძიმედ იყო დაჭრილი და მოყვრის ნიღბით მოსულმა დაიპყრო იგი) და სომხური მოსახლეობის დაბრუნებასაც ვერ შეძლებდა მაჰმადიანებით დასახლებულ სომხეთში. ამ საქმეში დასაყრდენად რუსეთმა საქართველო გამოიყენა. სამწუხაროდ, სომეხთა გარკვეულმა წრეებმა, სომხურმა ბურჟუაზიამ (სხვა ქვეყნებში გაფანტულმა სომხებმა მასობრივად მიჰყვეს ხელი ვაჭრობას) უმადურება გამოიჩინეს და რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა მხარდაჭერით (ესენი ვერ ურიგდებოდნენ ქართველთა სწრაფვას საკუთარი სახელმწიფოს აღდგენისაკენ) ნახევარი საქართველოს გასომხება მოინდომეს. სტეფანიანციც ამ სომეხთა რიცხვს ეკუთვნის. ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ მან თავის წიგნს ეპიგრაფად წარუმძღვარა ვაზგენ I-ის სიტყვები. საქართველოში გავრცელებულია აზრი (იხ. კ. ბუაჩიძის „შავი წიგნი" და „შავზე შავი წიგნი"), რომ ვაზგენ I-იც საქართველოს სომხეთის ნაწილად გადაქცევაზე ოცნებობდა და პრაქტიკულადაც ილწვოდა ამისთვის.

ვინაიდან ქრისტიანული ამიერკავკასიის გადარჩენაში დიდმა საქართველომ (ქართველები რომ დიდ ხალხად იქცნენ, ამას X ს-ში აღიარებდნენ კონსტანტინე პორფიროგენეტი და სომეხი მემატიანე უხტანესი) უფრო დიდი როლი შეასრულა, ვიდრე დიდმა სომხეთმა, ქრისტიანმა სომხებმა ოდნავ მაინც რომ მადლიერება გამოიჩინონ მარტო იმის გამო, რაც ქართველებს ღვაწლი მიუძღვით სომხეთის მკვდრეთით აღდგომის საქმეში (XI-XVIII სს-ში ქართველები იმისთვისაც იბრძოდნენ, რომ მაჰმადიან დამპყრობლებს საბოლოოდ, მტკიცედ არ მოეკიდებინათ ფეხი სომხეთში; სხვათა შორის, XVIII ს-ში სომეხ მოღვაწეებსაც კარგად ესმოდათ, რომ სომხეთი ვერ აღდგებოდა საქართველოს დახმარების გარეშე), მაშინ მათ სინდისის ქენჯნაც შეაწუხებდათ, როცა ლაზისტანს, ტაო-კლარჯეთს, კოლა-არტაანს, ჯავახეთს, ქვემო ქართლს, ქიზიყს, თბილისს... სომხურ მიწა-წყლად აცხადებენ და ქართველებს, კერძოდ, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს ისტორიის გამყალბებლად ნათლავენ.

**ალექსანდრე აბდალაძე**

# ნოდარ ნათაძე: რაც ვიცი

* * *

იმ აბსოლუტური რეალური უპერსპექტივობის პირობებში ამ ჯგუფის მიზანი იყო თვით ფაქტის შექმნა, რომ საქართველო არსებობს და იბრძვის, რომ საქართველო არ მომკვდარა და რომ ამ ქვეყნად ვიღაცა არის მისთვის ხელის გამომღები. ალეკო მელაძის ორგანიზაციის ეს მიზანი, სხვათა შორის, ზუსტად ასე დაგვიდასტურა თვით ალ. მელაძემ ამ რამდენიმე წლის წინ, როცა მანქანით მოვდიოდით რუსთაველიდან გ. ცინცაძის ძმის პანაშვიდიდან. მან თქვა, იმიტომ გვქონდა ორგანიზაცია, რომ საქართველოს მომავალი ისტორიის ინტერესი იყო, ვიღაცას ჰქონოდა ორგანიზაცია ამ დროს და ვიღაცა აღბეჭდილიყო ამ დროს საქართველოს მატიანეში როგორც დამოუკიდებლობის ნების განმასახიერებელიო.

რასაც აქ ვწერ, იმ „ხარკის" მხოლოდ ნამცეცებია, რომელიც ზემოთ ვახსენე. ყველაზე დიდი რეპრესიები, რომელმაც ქართველი ერის ბრძოლისუნარიანობა იმ მომენტისთვის წელში გადატეხა, მე მგონი, მაინც იყო 20-იან წლებში. იმ დროის რეპრესიები მხოლოდ თავისი რაოდენობით კი არ გამოირჩეოდა (37-ში რაოდენობა ოციანი წლებისაზე ბევრად ნაკლები არ იყო), არამედ თავისი მიზანმიმართულობით. 37-ში ადამიანებს იჭერდნენ იმისთვის, რომ ხალხი შიშით დაეთრგუნათ, 20-იან წლებში კი იმისთვის, რომ საუკეთესოები მოესპოთ. გიორგი ჯორჯანელს ჩემთვის ნაამბობი აქვს (ცხადია, გაგონილი. იგი იქაური იყო), რომ ქიზიყში ვიღაც დევდარიანი იყო, ჩეკისტი. ბაზარში ჩაივლიდა და ვისაც მხარბეჭიან ბიჭს ნახავდა, ახვრეტინებდა, ამას იარაღის აღება შეეძლებაო.

ალეკო მელაძის ორგანიზაცია 1948 წლის ოქტომბერში დაიჭირეს და ამის შემდეგ უნივერსიტეტში ყრუ სიჩუმისა და ტერორის შემზარავი ატმოსფერო განუყოფლად გამეფდა. მისი შემდგომი ბედის შესახებაც ორიოდე სიტყვას ვიტყვი, რადგან თქმად ღირს. ათი კაციდან ერთი გაცუდდა და რამდენიმე თვის შემდეგ გამოუშვეს. დანარჩენებს მიუსაჯეს 25 წელი და ნაწილი შუა აზიაში (ჯეზკაზგანში), ნაწილი კოლიმაში გადაასახლეს. როგორც ო. პაჭკორიამ მითხრა, მას ბრალი „აკისრებინეს" (ცხადია, საკუთარ თავზე და არა სხვებზე) არა წამებით, არამედ ანგარიშის შეთავაზებით: თუ არ იკისრებთ, აქ მოკვდებით ცემით, თუ იკისრებთ, 25 წელს მიიღებთ და წახვალთო. ეს როდი ნიშნავს, რომ წამება არ იყო. გიორგი ცინცაძეს უამბია ჩემთვის, რუხაძემ (საქართველოს სსრ უშიშროების პირველმა პირმა) ამოაყვანინა ჩემი თავი თავის კაბინეტში, დამსვა და მელაპარაკა. თან მეფერება ხელის ჩამოსმით სახიდან მკერდამდე და, როცა კისერს მიაღწევს, ცოტა ხნით შეფერხდება და ხელს ყელზე ოდნავ მომიჭერსო. ჩემგან ამას მხოლოდ ერთი კომენტარი დაემატება: რომ გ. ცინცაძე ფიზიკურად ერთი ყველაზე ნაზი აგებულების მქონე პიროვნება იყო იმ ბიჭებს შორის. თორემ ეს რომ ოტია პაჭკორიასათვის გაეკეთებინა, რომელიც ჩხუბზე თავს დებდა, ან თენგიზ ზალდასტანიშვილისათვის, ეს არსებითად იგივე იქნებოდა, მაგრამ შედარებით უფრო ბუნებრივად გამოჩნდებოდა.

1955 წელს რომ გამოუშვეს (მადლობა ღმერთს, ცხრანივე ცოცხალნი დაბრუნდნენ), ეს ბიჭები „მოაწყვეს" (თავთავის კურსზე დააბრუნეს). 1962 წელს ნ. ხრუშჩოვი რომ თბილისში ჩამოვიდა, ალ. მელაძემ და მეჭაბიშვილმა (თუ არ ვცდები, ოთარი ერქვა, მე მას არ ვიცნობდი. ალეკოს ჯგუფში იგი არ იყო) გადაწყვიტეს მისი აფეთქება დასჯის მიზნით იმ მასობრივი მკვლელობის გამო, რომელიც მისი ბრძანებით ჩადენილ იქნა თბილისში 1956 წლის 9 მარტს (დახვრიტეს 500-1200 დემონსტრანტი, რომლებიც სტალინის გაბიაბრუებასთან დაკავშირებული ანტიქართული კამპანიის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდნენ). ისინი დაიჭირეს, ალ. მელაძე ფსიქიატრიულ „ექსპერტიზით" დაიხსნეს (უფრო ზუსტად — საქმეს მოაცილეს, რადგან სახელმწიფო დაინტერესებული იყო ამ ხელყოფის ამბის გაუვრცელებლობით), ხოლო მეჭაბიშვილს დახვრეტა მიუსაჯეს. როგორც ვიცით, სასამართლო პროცესშიც და ძიებაშიც ცდილობდნენ მისთვის ბრალდება მოეხსნათ, მაგრამ მეჭაბიშვილი ჯიუტად ამტკიცებდა, დიახ, მოკვლა მინდოდაო — ცხადია, იმავე მოტივით, რომელიც ალ. მელაძეს თავისი ორგანიზაციისათვის ჰქონდა.. იგი შეიწყალა ხრუშჩოვმა, რომელსაც მეჭაბიშვილის დედა მანქანის ქვეშ ჩაუვარდა თბილისი-წყნეთის გზაზე და არზა გადასცა. მოსკოვში პატიმრობისას ცდილობდნენ მისთვის ბრალი მოეხსნათ და ისევ — ამაოდ. ბოლოს რამდენიმე წლის მერე გაანთავისუფლეს და თბილისში პუშკინის ქუჩაზე სარჩოდ ერთი პატარა მაღაზიის დირექტორობა მისცეს. მე მას არ ვიცნობდი. გავიგე, რომ გარდაცვლილა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ამას ყოველივეს იმიტომ ვწერ, რომ აწმყო და მომავალმა საზოგადოებრიობამ არაფერი ან თითქმის არაფერი იცის იმ უშიშარი, საქართველოსათვის თავგადადებული ადამიანების შესახებ. მათ შექმნეს ფონი, რომელზედაც შემდგომ, უფრო ადვილ წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მორიგი ტალღა დაიძრა. იყო სხვა ორგანიზაციებიც. იყო ძალიან ახალგაზრდების ორგანიზაცია ხევში, რომელმაც საბეჭდი მანქანა იშოვნა და ამ მანქანისთვის „ანტისაბჭოთა" ტექსტებს ეძებდა. ამ ტექსტების ძებნაში ყაზბეგის სასტუმროს რესტორანში გადაეყარნენ ერთ ფსევდომწერალს (მწერალთა კავშირის წევრს), რომელსაც



ენდნენ მისი ნაპატიმრობის გამო და რომელმაც ეს ჯგუფი ჩააგდო. ამ ჯგუფის შესახებ გვიამბო აწ განსვენებულმა განთქმულმა მთამსვლელმა და უბადლო მონადირემ ვახტანგ ქირიკაშვილმა. იყო და აყვანილ იქნა (ეს ყურმოკრით ვიცი) ახალგაზრდული ორგანიზაცია ხაშურში. იყო (ცოტა შემდეგ) ორგანიზაციები დასავლეთ საქართველოში. ზოგი მათგანი ჩავარდა, მაგრამ ყველა არა. შეგვიძლია შევაჯამოთ: ზემოხსენებულ სისხლიან ხარკს, რომელიც საქართველოს უნდა ეხადა თავისი ღირსებისა და ვინაობის შესანარჩუნებლად, ქართველი ერის შვილები აკურატულად და პატიოსნად იხდიდნენ.

მჟავანაძის ეპოქამ მთლიანობაში — შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ — ქართველი ერის მოდუნება გამოიწვია. ერთი, რომ 9 მარტის ურეპრესიოდ ჩამთავრებამ (იმ 500-1200 მსხვერპლის გარდა არავინ დაზარალებულა) ერთგვარი გადარჩენის („ეს რა შეგვრჩაო") განცდა გამოიწვია ერში იმ დიდმასშტაბიანი სასჯელების ფონზე, რომლებსაც შეჩვეული ვიყავით. (ამის შესახებ ვლაპარაკობ ჩემ ბროშურაშიც „სისხლიანი პარასკევი"). მეორე, საქართველოს დაუძინებელი მტერი, ხრუშჩოვი კი დარჩა სსრკ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ მასობრივ გასახლებებს ან სხვა მგავს რეპრესიებს ხალხი აღარ მოელოდა, რადგანაც ამ დროს უკვე ყველას თვალწინ იმპერიული სახელმწიფოს ნგრევის მექანიზმი ამოქმედდა, რეპრესიული აპარატის ქმედითობის მოდუნების ჩათვლით. მესამე — და მთავარი, — მიზეზი ის იყო, რომ საყოველთაო კორუფციამ და დაუსჯელმა ქურდბაცაცობამ ერი გარყვნა იმ ზომამდე, რომ არა თუ ყველა დიადი ზრახვა, არამედ ყველა რთული და ე. წ. ეგზისტენციალური პრობლემაც კი ადამიანის პირად ცხოვრებაში დავიწყებას მიეცა. დაუსჯელი და ადვილი ფულის კეთების ატმოსფეროს იქით უმრავლესობის თვალში არ ჩანდა, რომ ბოროტი სახელმწიფოს რღვევის ამ სასიხარულო პროცესს გვერდით ახლდა ჩვენი ეროვნული ნგრევის ნელი და უწყვეტი პროცესი, ჩვენი დემოგრაფიული პოზიციების შესუსტება და (უხილავად, მაგრამ არანაკლებ მწვავედ, მთლიანობაში ჩვენი მზარდი ჩამორჩენა განვითარების თანამედროვე მსოფლიო დონისაგან. ორგანიზაციები იყო (როგორც ვთქვი) და შეგნებაც იყო. მაგრამ იმათი წრე, ვისშიც ეს შეგნება ცხოვლად და მოქმედებისთვის გამომწვევად იყო განსახიერებული, ზემოხსენებული გარემოებების გამო კიდევ უფრო მეტად შეზღუდული იყო, ვიდრე ადრე.

ხრუშჩოვის შემდგომ ბრეჟნევის მოსვლით ეპოქა არ შეცვლილა. ის, რაც ითქვა, ამ ეპოქასაც ეხება, ჩვენი ქვეყნისათვის იმ არც თუ სასარგებლო განსხვავებით, რომ ბრეჟნევს აღარ მიეწერებოდა ქართველის წინააღმდეგ საგანგებოდ მიმართული მტრობა, როგორც ხრუშჩოვს. ამ ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში არსებითად სხვა არაფერი იყო, გარდა უმოძრაობისა და შინაგანი მზადებისა იმ დროის სამოქმედოდ, როცა მოქმედება საჭირო გახდებოდა. მოძრაობრის ხილული სახეობები (რომლებსაც, უნდა ითქვას, თითქმის ერთხმა მხარდაჭერა ჰქონდა საზოგადოებაში) მხოლოდ მეორეხარისხოვანი სიმწვავის მქონე ფორმებში გამოიხატებოდა.

მაგალითად, გაბატონებული იყო საქართველოს ინტერესების დაცვის საერთო სულისკვეთება მეცნიერულ პუბლიკაციებსა და დისკუსიებში, კერძო კამათში, ლექციებში, საზოგადოებაში საერთოდ. ეს ეხება, ცხადია, პირველ ყოვლისა მეცნიერულ და, საერთოდ, ინტელიგენტურ წრეებს, მაგრამ არა მხოლოდ მათ. ფართო საზოგადოება ფრთხილად ადევნებდა თვალს, თუ რა იწერება, რა ქვეყნდება, რა მტკიცდება და რა უარიყოფა ვინაიდან ამის პრაქტიკულ შედეგებს მოელოდა გაურკვეველ მომავალში. ამ საკითხთა სფეროში შედიოდა, რა თქმა უნდა, როგორც ისტორიის და ტერიტორიის, ისე სსრკ მოცემულ სისტემაში საქართველოს უფლებამოსილებებისა და პრაქტიკული შესაძლებლობების საკითხებიც, ვინაიდან ამ უფლებამოსილებათა თანდათანობით შეკვეცის ტენდენცია ყველასათვის თვალსაჩინო იყო. ამგვარი წინააღმდეგობის პროცესში, ცხადია, ქართველი ყველა ერთად იყო. ამ, შეიძლება ითქვას, უწყვეტ საზოგადოებრივ კამპანიას დიდი აღმზრდელობითი ძალა ჰქონდა (პირველ ყოვლისა — მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში), თუმცა მისი პრაქტიკული შედეგი შეგვიძლია უმნიშვნელოდ ჩავთვალოთ.

## თავი II. დისიდენტური მოძრაობა

„დისიდენტური" მოძრაობა ანუ „უფლებადაცვითი" მოძრაობა საქართველოში ჩამოყალიბდა სსრკ-ს ასეთივე მოძრაობის ერთდროულად და მის კონტექსტში, ხოლო სსრკ-ში იგი ჩამოყალიბდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ნებითა და ხელისშეწყობით. უნდა ვაღიარო, რომ მე ამ მოძრაობისათვის არასოდეს სერიოზულად არ შემიხედავს და, გარკვეული თვალსაზრისით (კერძოდ, პიროვნული ღვაწლისა და მორალური დატვირთვის თვალსაზრისით, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი წამყვანია), არც დღეს ვუყურებ, თუმცა კარგად მესმის, რა დიდი როლი ითამაშა მან, ობიექტურად, „ბოროტების იმპერიის" დაშლის პროცესში. რატომ არ ვუყურებდი? პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ყურს მჭრიდა მისი სახელი, რომელიც სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა „განსხვავებული აზრის მქონეს", „არათანახმას". საბჭოთა კავშირში იმის „არათანახმა", რაც ხდებოდა და რაც არსებობდა, ყველა ნორმალური ადამიანი იყო, ყოველ შემთხვევაში — ყველა ზნეობრივად სრულფასოვანი არარუსი მაინც. იმათი სპეციფიკა, ვინც ადამიანის უფლებათა დასაცავად იღებდა ხმას, ის კი არ იყო, რომ „არათანახმანი" იყვნენ ადამიანთა განადგურებისა, არამედ ის, რომ ხმის ამოღებას ბედავდნენ. მეორეც — და მთავარი: ამ მოძრაობის ტონალობაში, მის პირად შემადგენლობაში, როგორადაც მე მას არალეგალურ გამოცემებში მოთავსებული სტატიებიდან, ამ სტატიათა დონისა და მიმართულებიდან, ავტორთა სურათებიდან და ბიოგრაფიებიდან ვეცნობოდი, მე იმ სულისკვეთებას ვერ ვხედავდი, რომელიც ჩემთვის ყველაზე მიმზიდველი იქნებოდა. ეს ავტორები, ჯერ ერთი, ძირითადად, დაცული ადამიანები იყვნენ და მხოლოდ ამ თავისი დაცული პოზიციებიდან ილაშქრებდნენ რეჟიმის წინააღმდეგ. მეორეც, ილაშქრებდნენ არა იმ სიმწვავით, რომელსაც ეს რეჟიმი იმსახურებდა და რომლითაც მართლა შეიძლება დაეჩქარებინათ ხალხთა საპყრობილის ნგრევის პროცესი. კერძოდ, ისინი არ წერდნენ იმაზე, რომ ეს იყო ძალადობაზე აგებული იმპერიული „დერჟავა", რომელმაც ევრაზიის უზარმაზარი ტერიტორია ხალხთა — და არა მხოლოდ ადამიანთა — ერთ საკონცენტრაციო ბანაკად აქცია. ეს სახელმწიფო რომ ათეული მილიონობით ადამიანთა მონური შრომით შეიქმნა, ამას წერდნენ, მაგრამ იმას, რომ ეს იყო თავის მოსახლეობის ნახევრის მიმართ აგრესიული ზესახელმწიფო, ისინი არ წერდნენ. რა მეცნიერული სიღრმე უნდა მომეთხოვა ავტორებისაგან, რომლებთაც არ ესმოდათ ამ ზესახელმწიფოს ფეხზე დგომის ძირითადი და გადამწყვეტი მექანიზმი: ის, რომ ამ ზესახელმწიფოში რუსი მოსახლეობა მშვიდად ითმენდა პიროვნების, თავისუფალი აზროვნებისა თუ ეკონომიკური ინიციატივის დათრგუნვას, პიროვნულ დამცირებას, თვით ფიზიკური ხელყოფის მუდმივ შესაძლებლობასაც კი მხოლოდ იმის წყალობით, რომ მას იმ იმპერიის შენარჩუნება სურდა; ერთი გამორჩეული დისიდენტი — ალგებრაისტი-აკადემიკოსი შაფარევიჩი წერდა, სსრკ უნდა დარჩეს ერთ სახელმწიფოდ, ვინაიდან მის ხალხთა შორის ამ ხნის მანძილზე „რაღაც მისტიკური ერთობა" შეიქმნაო. ცხადია, ამ მოსაზრებას მე ვერც პრაქტიკულად, ვერც იდეურად ვერ გავიზიარებდი, მაშასადამე, ვერც იმ საკავშირო „დისიდენტურ" მოძრაობას მივემხრობოდი სხვაგვარად, თუ არა რაღაც კონკრეტული ტაქტიკური ჩანაფიქრით, რომელიც მომავალში საკუთარი გზის მონახვას გაითვალისწინებდა. სწორედ ამგვარი ჩანაფიქრით მისულად მივიჩნიე მე ამ მოძრაობაში ქართველი პატრიოტები, რომლებიც იქ დავინახე: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და დოდო (ვიქტორ) რცხილაძე. მათი მოღვაწეობა იმ სისტემაში მე მესმოდა, როგორც პოზიციების ერთგვარი მოსინჯვა და როგორც შემზადება მომავალში იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ნამდვილად ჩვენი იყო. მე მგონი, მათი ნაბიჯის ამგვარ ახსნაში არ შევმცდარვარ. აგრეთვე, მთელ საზოგადოებასთან ერთად ვაფასებდი მათ ქართულ პუბლიკაციას „ოქროს საწმისს", რომელიც თავისი შინაარსით „დისიდენტური" ჟურნალის ფარგლებს დიდად სცილდებოდა და, ფაქტობრივად, საქართველოში როგორც საერთოდ სიმართლის, ისე კერძოდ ქართული ინტერესის გამომხატველი ერთადერთი ორგანო იყო.

მე მგონი, სიტყვამ უკვე მოიტანა, და ამიტომ ერთი ჩემი მორალური შენიშვნა თუ შეფასება და მსჯავრი ახლავე უნდა გამოვთქვა. აღტაცება და მადლიერება, „ეს როგორ გაუბედეს და რას უბედავენ ამ კაციჭამიებსო", არ იყო საზოგადოების ერთადერთი რეაგირება ამ პუბლიკაციაზე. მასთან ერთად — ხშირად იმავე ადამიანებში — იყო ძალიან მწვავე კრიტიციზმი ჟურნალის დონის მიმართ, ერთის მხრივ, და სხვადასხვა დამნაშავე და ნახევრად დამნაშავე პიროვნებათა ხსენების მეთოდისა და ტონალობის მიმართ, მეორე მხრივ. მახსოვს, ჟურნალში „ოქროს საწმისი" დაიბეჭდა ერთი არც თუ ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები დრამატული ფორმით და ბევრმა თქვა, ამ პუბლიკაციამ „გააუფასურა" ამ ნომრის დანარჩენი, კარგი მასალაო. წინააღმდეგობას იწვევდა ზოგი სხვა პუბლიკაციის დაბალი დონეც. მე ბუნებრივად მიჩნდებოდა და მიჩნდება კითხვა იმ კრიტიკოსთა მიმართ: განა სავალდებულოა, რომ ის, ვინც მამაცია, ამავე დროს ლამაზიც იყოს? ან პირიქით? განა სავალდებულოა, რომ იმას, ვისაც სამშობლოში სიმართლის სათქმელად გული ერჩის, ამავე დროს, პოეზიის ნიჭიც ჰქონდეს და უნიჭო თხზულებას არ აქვეყნებდეს? იქნებ იმიტომ დაუბეჭდეს იმ ავტორს ის სუსტი პიესა თავის ჟურნალში, რომ ღამეებს ათენებდა ამ სახიფათო საქმის კეთებაში, ვთქვათ, ჟურნალის აკინძვაში ან ქაღალდის შოვნაში? უთხარით მადლობა ჟურნალის გამომცემელს, რომ ამ ვაჟკაცურ საქმეს აკეთებს, და დასჯერდით იმას, რასაც აკეთებს, სანამ თქვენ თვითონ არაფერი ამაზე უკეთესის გაკეთება არ გიცდიათ და არ გაგიბედავთ!". ასეთი არასამართლიანი რეაგირება სხვის სიკეთეზე, ჩემის აზრით, საერთოდ დამახასიათებელია ადამიანისათვის და მასზე სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი სხვა დეფექტზე, რომელიც საყოველთაო არ არის, მაგრამ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საზოგადოებისათვის კი ფრიად დამახასიათებელია. სახელდობრ, შემდეგზე: ზვიადისა, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად ყველას შურდა. ყველა ამბობდა თავის გულის სიღრმეში, „რატომ მაგან და მე არა?!", რადგან იმ საქმის სიწმინდეც და სიძნელეც, რომელსაც ის ეწეოდა, ყველას ესმოდა. ამიტომ ერთგვარი „დაცვითი რეაქცია" იქნა შემუშავებული: „ის რასაც აკეთებს, ეს მართლაც გასაკეთებელია, მაგრამ მაგის გაკეთებას რა უნდა? ყველანი ამის გამკეთებელნი ვართო." და იწყებოდა კრიტიკა — ყოვლად ულმობელი კრიტიკა რიდის, იმ, ჩემის აზრით, სავალდებულო დისტანციის დაუცველად, რომელიც ფილისტერს, ანუ პასიურ მოქალაქეს, უნდა აშორებდეს — და არ შეიძლება არ აშორებდეს — წმინდანისა და მოღვაწისაგან. ამ ფონზე




ადვილად ხდებოდა ე. წ. „აქცენტების გადაწევა": აღარც იმას ესმოდა ხაზი, რომ ის საქმე, რასაც ზვიადი აკეთებს, აუცილებლად გასაკეთებელია, და აღარც იმას, რომ ამის გამკეთებელნი „ყველანი ვართ", არამედ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ამ სამი კაცის საქმიანობას გააჩნდა. არცთუ იშვიათად ამ კრიტიციზმს ერთგვარი „განზოგადება" მოსდევდა: დავიწყებას ეძლეოდა ყველაფერი, გარდა ნაკლოვანებებისა, და იწყებოდა სინანული იმის გამო, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა „ეგეთების" ხელშია.

ამ ქვეცნობიერ გაღიზიანებას, რომლის რეალური მიზეზებიც უკვე აღვნიშნე, ფორმალურად საფუძველს აძლევდა ის, რომ „ოქროს საწმისის" გამომცემლებმა თავს უფლება მისცეს კონკრეტული ადამიანები სუკის აგენტებად მოეხსენებინათ. ფართოდ გახმაურდა „საქმის გარჩევა", რომელიც ამგვარი მოხსიენების გამო. გამომცემლებს ერთ ოჯახში მოუწყო ჭაბუა ამირეჯიბმა ჟურნალის გამოცემის ადრეულ ეტაპზე. იმ გარჩევას, რომელიც კონკრეტული შედეგების (მხარეთა, ასე ვთქვათ, შეთანხმებული დასკვნის) გარეშე დამთავრდა, ის ჩვენი საერთო მეგობარიც [illegible] ოჯახშიც ჟურნალის მასალები [illegible] ილი იბეჭდებოდა მანქანაზე. მისი შთაბეჭდილება იყო, რომ ჯობდა არც ის ბრალდება დაბეჭდილიყო და არც გარჩევა შემდგარიყო. მაგრამ, ვიმეორებ, ეს მოტივი ზ. გამსახურდიას და მისი ჯგუფის კრიტიკისა ამ წრეში, რომელიც ვახსენე, მაინც ზედაპირული იყო. ამ კრიტიკას, უფრო, ზემოხსენებული ფარული მოტივები კვებავდა (მე მიკვირდა (თუმცა ეს ზ. გამსახურდიასთვის არ მითქვამს), რატომ აირჩია მან „თუთაშხიას" ავტორის სულისკვეთების შესასწავლად, თუკი ამ უკანასკნელით დაინტერესდა, სასამართლო გამოძიების მეთოდი და არა ის, რაც მისთვის, როგორც პროფესიით ლიტერატორისთვის, ბუნებრივი იყო. „დათა თუთაშხიაში", თუ არ ჩავთვლით არასწორი ძველი ქართულით დაწერილ ეპიგრაფებს, ერთი ზნეობრივი „პრობლემა" დგას: „სუპერმენი" რომ ხარ და ადამიანის დამცირება-განადგურებას რომ ხედავთ, მას გვერდი უნდა აუაროთ თუ არა?" მსოფლიო ტოტალიტარიზმის ეპოქის რეალური ძირითადი არჩევანი, რომელიც ადამიანის წინაშე დგება: „იცხოვრო ისე, როგორც არ გინდა, თუ სულაც არ იცხოვრო?", ე. წ. „ექსტრემალურ სიტუაციებში" გაზრდილსა და ჩამოყალიბებულ გმირსაც და ავტორსაც მხედველობიდან გამორჩენილი აქვთ, ნუთუ დათა თუთაშხიას თავის შავ და ფერად გარემოცვაში არ შეხვდა ერთი-ორი მასშტაბური პერსონაჟი, რომელმაც ამ ტრაგიკულ არჩევანს სხვადასხვაგვარად უპასუხა, ემსხვერპლა, გაიმარჯვა, გაითელა, აღზევდა, მოწამის გვირგვინი დაიდგა და ა. შ.? ზვიადს შეეძლო კითხვის დასმა: ისეთი პასუხი ხომ არ გაეცა ამ უნივერსალურ პრობლემას ავტორის კონცეფციაში, რომელიც თავისი ბუნებით არაფოტოგენურია, ანუ სახალხოდ გამოსატანი ვერაა?).

საზოგადოების სამართლიანი პასუხი ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობაზე იმ წლებში, ჩემი ღრმა რწმენით, სხვა იქნებოდა. როცა გამოჩნდა კაცი, რომელმაც არსებულ რეჟიმს ბრძოლა გამოუცხადა, ჯანსაღი საზოგადოება, პირველ ყოვლისა, მადლიერებას გამოხატავდა ღიად და ხაზგასმით, ანუ იმას აღიარებდა, რომ კ. გამსახურდიას ვაჟმა (რადგან მამამისის პოპულარობას ზვიადის პოპულარობა, ცხადია, იმ დროს ვერ შეედრებოდა), გააკეთა ის, რაც ვერავინ სხვამ ვერ გააკეთა, და რომ ამისთვის იგი მაქსიმალურ აღიარებას, მოწონებას და თავის მოდრეკას იმსახურებს. ამ ფონზე — და მხოლოდ ამ ფონზე — მოხდებოდა მისი პუბლიკაციების ხარვეზთა კრიტიკა, ყველაზე დიდების ჩათვლით, ისიც — კრიტიკა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით, შემდეგი ლოგიკური სქემით: „აი, ამ ჯგუფის მუშაობას ესა და ეს აკლია და ამის შევსება მე შემიძლია" ან „ეს ჯგუფი არასწორი გზით მიდის. მოდი, მე ეხლა უკეთეს მეთოდიკას ვცდიო." და ა. შ.

მაინც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს არაადეკვატური რეაქცია, ზემოთ რომ ვახსენე, საყოველთაო არ იყო. იგი იზღუდებოდა იმ წრით, რომელსაც თვით ზვიადი და მისი თანამოსაგრენი ეკუთვნოდნენ სოციალურად და რომელსაც თავი, ასე თუ ისე, ელიტად მიაჩნდა და ამიტომ ზ. გამსახურდიას ქმედებაში ერთგვარ საყვედურს ხედავდა საკუთარი უმოქმედობის გამო. იმავე ელიტის ერთი ნაწილი, პირიქით, ცდილობდა ზვიადს შეძლებისდაგვარად რჩევით შესწეოდა და მისთვის სითბო და თანადგომა ეჩვენებინა. როგორც ვთქვი, „ოქროს საწმისის" მანქანაზე გადაბეჭდვა ძირითადად ერთი ჩვენი საერთო მეგობრის ოჯახში ხდებოდა, რომლის ხშირი სტუმარიც ზ. გამსახურდია იყო. ამ სალონის ძალიან მრავალცრიხოვანი მონაწილენი, რამდენადაც მახსოვს, ზ. გამსახურდიას იმ ეტაპზე მხოლოდ დიდი კეთილმოსურნეობით ხვდებოდნენ და მათი კრიტიკული შენიშვნებიც მხოლოდ გულითადად კეთილმსურველური იყო. რაც შეეხება ფართო წრეს, რომელსაც თვით ზ. გამსახურდიასთან არანაირი შეხების წერტილები არ ჰქონდა და მხოლოდ „გარედან მაყურებელთა" როლში იყო, იქ არც ჟურნალის ამ წვრილმან ხარვეზებს, არც გამომცემელთა ურთიერთობას „სუკის აგენტებად" მოხსენებულ პირებთან ყურადღება არ ექცეოდა. ჟურნალს კითხულობდნენ, ავრცელებდნენ, სასოებით ინახავდნენ და მის გამომცემლებს უყოყმანოდ აღიარებდნენ როგორც გმირებს და ერის გადარჩენისათვის ბრძოლის მედროშეებს.

ზემოაღნიშნული რეაგირება ზ. გამსახურდიას, ასე ვთქვათ, მშობლიური სოციალური წრისა მე კომპლექსის გამოვლენად მიმაჩნია და, ამგვარად, სიმახინჯედ — ძალიან მცირე სიმახინჯედ, მაგრამ მაინც, სიმახინჯედ. არ ვიცი, მოიქცეოდა თუ არა ამგვარადვე, ჩვენს მსგავს ობიექტურ პირობებში მყოფი, ყველა სხვა ქვეყნის საზოგადოება. შესაძლოა, მიექცეოდა კიდეც. მიუხედავად ამისა, ეს მაინც იმ რეაქციად რჩება, რომელმაც საქმეს ავნო და რომელიც, დარწმუნებული ვარ, გაითვალისწინა ულმობელმა და ცბიერმა მოწინააღმდეგემ, როცა შემდგომში (ცხადია, უცხოელ კონსულტანტთა მონაწილეობით) ზ. გამსახურდიას „მიშვება" და შემდეგ მისი დამხობა დაგეგმა.

მე მგონი ამ რეაქციამ ნაწილობრივ განაპირობა თვით ზვიადის ის ტენდენციაც (შემდგომში), რომ შინაურები „მომხრეებად" და „არამომხრეებად" გაეყო.

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(მე-6 გვერდიდან)

ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და ვ. რცხილაძის დისიდენტური მოღვაწეობა ცნობილია და მკითხველს მას აღარ გავახსენებ. ჩემი პირადი რეაქცია მათი მოღვაწეობის დაწყებაზე ენთუზიასტური იყო, მაგრამ ამავე დროს, მე მგონი, უილუზიო. ერთი შეფასება, რომელიც გუნებაში მივეცი ზვიადის საქმიანობას (მ. კოსტავას და ვ. რცხილაძეს მაშინ არ ვიცნობდი) იყო „ქართლის ცხოვრების" სიტყვების პარაფრაზი, რომლებიც ლუარსაბ პირველს ეხება: მან „ქართლს ხრმალი შეარტყა". ამ მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართველი საზოგადოებისათვის მართლაც ისეთი იყო, რომ — როგორადაც არ ჩანდეს იგი ავი თვალისათვის დღეს, — მისი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ეს იყო **წინააღმდეგობა** — წინააღმდეგობა იმისადმი, რაც (და ვინც) საქართველოს კლავდა, ხრწნიდა, თრგუნავდა და პატივს ყრიდა. ეს იყო **ბანაკის შექმნა**, რომელშიც ამიერიდან შეეძლო მისვლა იმას, ვისაც უნდოდა და გული ეროდა, და ეს იყო **ფრონტის ხაზის** გაჩენა „ჩვენსა" და „მათ" (ანუ იმპერიას) შორის. მაგრამ ბანაკის გაჩენის გარდუვალი შედეგი ისიც იყო, რომ ის მეორე მხარეც, რომელიც მანამდე მხოლოდ მტრულ გარემოდ ჩანდა, აგრეთვე კონტურებს იძენდა და თავის მხრივ, ბანაკად ცნობიერდებოდა. გონებაში იკვეთებოდა ყველა ის აურაცხელი პარამეტრები, რომელშიც მათი ძალა შეუდარებლად აღემატებოდა ჩვენსას, და ამ მოწინააღმდეგის დაძლევის ამოცანის დაკონკრეტება ამავე დროს მისი დაუძლეველი მოცულობის ლამის პანიკურ განცდასაც ბადებდა.

„ქართლის ცხოვრების" ამ გამოთქმის კოლოსალური წონა თითქოს მთრგუნავდა, რადგან მეტისმეტად აშკარა იყო, რომ ამ სიტყვებში გამოხატული ამოცანაც და სულისკვეთებაც თავის მასშტაბით სხვა იყო, ხოლო ჩვენი დღევანდელი ვითარება და სულისკვეთება — სულ სხვა. მეორე მხრივ, ვიცნობდი რა ზვიადს, სრულებით გულწრფელად მინდა ვთქვა, მასში ამოდენა საქმის შეჭიდების პოტენციას ვერ ვხედავდი. ვერც მე ვხედავდი და ვერც საზოგადოება, რომელიც მას თვალს ადევნებდა 17 წლის ასაკიდან, როდესაც მან მერაბ კოსტავასთან და რამდენსამე სხვა თანაკლასელთან ერთად არალეგალური პატრიოტული ორგანიზაცია შექმნა 1956 წლის 9 მარტის ამბების შემდეგ. ბიჭები მაშინ დააპატიმრეს და რამდენიმე თვის შემდეგ გამოუშვეს, თუმცა გამოუშვებდნენ თუ არა, ეს არავისთვის ცნობილი არ იყო. ეს ამბავი ძალიან გახმაურდა, რადგან კონსტანტინე გამსახურდიას შვილს ეხებოდა. ყველამ არ იცოდა კონსტანტინე გამსახურდიას მოქმედება ამ ეპიზოდში (კერძოდ, ის, რომ, როგორც „ხმა გავრცელდა" მას შესთავაზეს, თქვენ შვილს გამოვუშვებთო, და უარი მიიღეს, „თუ ყველას გამოუშვებთ, კი, ჩემი შვილისთვის გამონაკლისი არ მინდაო"), მაგრამ თვით კ. გამსახურდიას ყველა იცნობდა. ამის შემდეგ საზოგადოება, შეიძლება ითქვას, მუდმივად თვალს ადევნებდა, რას აკეთებს „გამსახურდიას ვაჟი", სად სწავლობს, რა სულისკვეთებითაა და ა. შ. ცნობილი იყო, რომ ლექსებს წერს, რომ მორწმუნეა, რომ მეცნიერებათა კანდიდატია (ფილოლოგი იყო), რომ დროდადრო მკაცრად ასკეტურად ცხოვრობს და სხვა და სხვა. მისი თარგმანები ინგლისურიდან ხანდახან ქვეყნდებოდა და შეუმჩნეველი არ რჩებოდა. ჭორაობდნენ, რომ ბერად შედგება და მომავალში კათოლიკოსობას აპირებს. საზოგადოების კეთილგანწყობა მისდამი, რა თქმა უნდა, მაქსიმალური იყო. მაგრამ ყოველივე ეს, ჯამში, პოლიტიკური ლიდერის სახეს არ ქმნიდა, სხვა თუ არაფერი, იმის გამო მაინც, რომ ეს პიროვნული შტრიხები არც მთლად გასაგები და „ჩვეულებრივი" იყო, ერთის მხრივ, და არც მთლად მიუწვდომელი და გაუგებარი, რიგითი ადამიანებისაგან მოწყვეტილი, როგორც ღმერთკაცისა, მეორეს მხრივ. მე მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ზვიადისადმი იმთავითვე ორგვარი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა და იმ ორივეში, ასე თუ ისე, აისახებოდა ის ორგვარი დამოკიდებულება, რომელიც საზოგადოებას მისი მამისადმი ჰქონდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიასადმი დამოკიდებულება საზოგადოებაში ორგვარი კი არ იყო, არამედ სამგვარი და, შესაძლოა, ოთხგვარიც. იყვნენ ისინი, ვინც მას მხოლოდ პიროვნებად იცნობდა. ესენი იყვნენ, ძირითადად, მისი თაობის ან ერთი თაობით უმცროსი ადამიანები. უცნაურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ამ უაღრესად ნიჭიერი და ორიგინალური ავტორის თხზულებებს არც კითხულობდნენ (მე მგონი, მის თაობაში, გარდა პროფესიონალებისა, „დიდოსტატის მარჯვენაც" კი ერთ-ორ კაცს თუ ექნებოდა წაკითხული). მათი ინტერესი და აზრის მიმართულება, უბრალოდ, სხვა იყო. იყვნენ ისინი, ვინც მას პირადადაც ხედავდნენ (პირადი ნაცნობობით ან შორიდან) და მის თხზულებებსაც კითხულობდნენ, ამასთან, რაც დრო გადიოდა, — უფრო და უფრო დიდი გულდადებითა და შინაგანი „აყოლით". ესენი, რომ არ გადავაჭარბო, 1920-იანი წლების დასაწყისში და ამის შემდეგ დაბადებული თაობები იყვნენ და არიან. ლიტერატურული გემოვნების ეს ევოლუცია გასაგებია და, თუ ღრმად ჩავხედავთ, ბუნებრივიც. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ დახშულ საბჭოთა გონებრივ და სულიერ სივრცეში თანდათან მიმზიდველობა მოემატა ისტორიას, როგორც სარკმელს, საიდანაც ადამიანს სუფთა ჰაერის შესუნთქვა შეეძლო) (ისტორიულ რომანებს სხვებიც წერდნენ, მაგრამ მათ მკითხველის ყურადღება არ მიუპყრიათ. ერთადერთი გამონაკლისი იყო ლევან გოთუა, რომელმაც მკითხველთა უკეთესი ნაწილი თავისი ძალიან ტრაგიკული ეროვნული პრობლემატიკით მიიზიდა). მთავარი იყო ის

# ნოდარ ნათაძე:

# რაც ვიცი

თანამედროვედ-ირაციაზალისტური და ამავე დროს ფხიზლად-სკეპტიკური აზროვნების წესი და ამავე დროს — გამომწვევი, ჯანსაღი ნაციონალიზმით აღბეჭდილი სულისკვეთება, რომელიც მის ისტორიულ რომანებშიც და „დიონისეს ღიმილშიც" ძევს და რომელშიც კულტურის თანამედროვე კრიზისგამოვლილი და ამ კრიზისიდან შემტევ პატრიოტად გამოსული პიროვნება იგრძნობოდა. დასასრულ, იყვნენ ისინი, ვინც კ. გამსახურდიას პიროვნებას არც იცნობდა და არც აინტერესებდა, ან ვინც მხოლოდ მისი თხზულებები იცოდა და ამ თხზულებებში ისტორიის გაკვეთილებს და ე. წ. „გრძნობათა აღზრდის" გაკვეთილებს პოულობდა. ესენი, ძირითადად, კიდევ ერთი თაობით უფრო ახალგაზრდანი იყვნენ. ამ სკეპტიციზმსაც, რომელიც, ბუნებრივია ხანდახან ირონიულად ეროტიულ სცენებშიც გადადის, და ამ გამომწვევ ნაციონალიზმსაც, რომელიც წეღან ვახსენე, რა თქმა უნდა, ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში თავისი მოძულე ჰყავს — მათ შორის საქართველოშიც, სადაც მამულიშვილობა, ტრადიციულად, ღირსების საზომია და ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ტვირთია. ამ სულისკვეთების მატარებლებს, ბუნებრივია, კ. გამსახურდია აღიზიანებდათ და ეს გაღიზიანებაც დაილექა საზოგადოების ცნობიერებაში, როგორც ერთერთი იმ მრავალ გაღიზიანებათა შორის, რომელიც ზვიადის და მისი ჯგუფის მოღვაწეობას შეხვდა. — სწორედ ისევე, როგორც მამამისის



თხზულებათა ეროვნული სულისკვეთებით მოხიბლულობა ზვიად გამსახურდიას მიმდევრობის ერთერთ მოტივად იქცა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ამ ეპიზოდზეც გავაგრძელებ საუბარს, კ. გამსახურდიას რომ შვილის შეწყალება შესთავაზეს და უარი უთხრა. ასეთი მეთოდი ქართველი ინტელიგენციისადმი მოპყრობისა (მასთან „მუშაობისა") მანამდისაც არსებობდა, თუმცა არ ვიცი, იგი შეგნებულად იყო მიღებული წითლების „შეიარაღებაზე" თუ ყველა შემთხვევაში მისი კვლავ აღმოჩენა ხდებოდა. ერთი შემთხვევა იყო, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ხელისუფლებას სთხოვა ვაჟა-ფშაველას ძის ლევან რაზიკაშვილის დანდობა, რომელსაც 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. მაშინ ორჯონიკიძისგან პასუხი მიიღეს: „აფსუს, რომ მამამისი ცოცხალი არაა, თორემ მასაც დავხვრეტდითო" და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ვაჟა ფშაველას 40 წლის ასაკში 22 წლის იოსებ ჯუღაშვილი ჰყავდა ნაცემი ერთ-ერთ რედაქციაში ეროვნულ ინტერესებთან დამოკიდებულებაზე უთანხმოების გამო. რა თქმა უნდა, ვაჟას შვილი დახვრიტეს. მაგრამ მეორე შემთხვევა იყო იმავე 1924 წელს, როცა უკვე გარდაცვლილი კიტა აბაშიძის 24 წლის გიორგი აბაშიძის დასახსნელად ხელისუფლებას კვლავ ინტელიგენციის ჯგუფი მიადგა. მაშინ დასახვრეტად ჯგუფის გაყვანის დროს გიორგი აბაშიძეს უთხრეს, თქვენ დარჩითო, მაგრამ მან იუკადრისა. არ დარჩა და დანარჩენებთან ერთად დაიხვრიტა. წითლების ამ „მეთოდს", რაღა თქმა უნდა, თავისი ლოგიკა ჰქონდა. ერთი, რომ იმას ყრიდნენ პატივს და ტეხდნენ, ვინაც ამ გზით ცოცხალი რჩებოდა. მეორეც, მასის თვალში თიშავდნენ ერთმანეთისაგან „ლიდერთა" კლასს, რომელსაც გადარჩენა შეეძლო, და „მრევლს", რომლისთვისაც ასეთი შესაძლებლობა არ არსებობდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, როგორც აღვნიშნე, მე ვგრძნობდი, რომ ამ დისიდენტური ჯგუფის შესაძლებლობათა მაქსიმუმი იყო მამაცურად და თავდადებულად ხმაურის შექმნა ამა თუ იმ მწვავე პრობლემაზე, ინდივიდუალური ღვაწლი, თუ გნებავთ — მარტვილობაც კი, მაგრამ არა თვით საქმის საჭის აღება და მისი წარმატებამდე მიყვანა. ამას ვიღაც **სხვა** უნდოდა და საქმე იმ **სხვას** ელოდა, რატომ არ იყო ის სხვა და როგორ (განსხვავებულად) უნდა ემოქმედა. ჩემი აზრით, იმ სხვას, ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ჩემი პირადი მოკრძალებული ზრახვა ზემოხსენებულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით ის იყო, რომ იქ მასალის გამოქვეყნებას ვაპირებდით იმ პროფილის მიხედვით, რომელშიც მე ვმუშაობდი, სახელდობრ, საინგილოს თემაზე. საინგილოში მაშინ, ისევე როგორც ეხლა, ორი კატეგორიის ქართველი მოსახლეობა იყო — ქრისტიანული და მუსლიმანური — და მის მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ორგვარი პოლიტიკა ტარდებოდა: მეორის მიმართ — ასიმილაციისა, პირველის მიმართ — ნელი გენოციდისა (ფიზიკური და ეკონომიკური შეზღუდვისა მისი შემცირების მიზნით). ჩვენი მუშაობა მდგომარეობდა ქართული სკოლისათვის მზრუნველობაში (განსაკუთრებით — მუსლიმანურ სოფლებში) და მამხილებელი პეტიციების წერაში, რომელიც, სხვათა შორის, საკითხის მსოფლიოში გატანასაც ისახავდა მიზნად. „ოქროს საწმისში" ვაპირებდით ამ თემის ფართოდ ასახვას. მაგრამ ის მასალა, რომლითაც ვაპირებდით საკითხის პუბლიკაციის დაწყებას — 160 ხელმოწერიანი ზემოთხსენებული პეტიცია — შემდეგ დავიწუნეთ ერთობლივად, რადგან მისი ტონალობა მოძველებული იყო. შემდეგი მასალის თავმოყრამდე „ოქროს საწმისმა" გამოსვლა შეწყვიტა.

ვშიშობ, იმ თავდაჭერილმა შეფასებამ, რომელსაც მე ქართულ დისიდენტურ მოძრაობას ვაძლევ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონტექსტში საერთოდ, უსწორო შთაბეჭდილება არ შექმნას, თითქოს მე ამით ამ მოძრაობაში მონაწილეობა ფსიქოლოგიურად იმ დონემდე ჩამომყავდეს, რომელიც ყოველდღიურობაში ჩართული ფილისტერისთვის (ობივატელისთვის) არის მისაწვდომი. მინდა ღიად ვთქვა, მე მესმის, რამოდენა ადამიანური მუხტი და პირადი გამბედაობაა ჩადებული იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწევით ადამიანის ადამიანურ უფლებათა სახელით და თუნდაც ერთი მსხვერპლის გამო. მე რომ მ. ნანეიშვილმა წამაკითხა (ჯერ კიდევ დაბეჭდვამდე) ის მასალები ცირეკიძისა და უმუხანოვის პროცესის შესახებ, რასაც ზ. გამსახურდია აქვეყნებდა თავის ჟურნალში, შემზარა თვით ფაქტებმაც და გამომქვეყნებლის გამბედაობამაც, რომელმაც წამების იმ შავბნელი სისტემის მხილება თავს იდო. (ცირეკიძე და უზუხანოვი იყვნენ „ნასედკები", რომლებსაც მამაკაცი პატიმრების ცემა და გაუპატიურება ევალებოდათ თბილისის ციხის იზოლატორში შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს). დიახ, ადამიანის უფლებათა დაცვის ამოცანა დღეს უფრო ადვილია, ვიდრე პატარა ქვეყნის დაცვის ამოცანა, ვინაიდან პირველისთვის ბრძოლის შემთხვევაში მსოფლიო გიდგათ გვერდით, მეორისაში კი — არავინ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ უშუალო და პირდაპირი შეჯახება ინდივიდუალურ ბოროტებასთან, რასაც პირველი შეიცავს, მარტივი საქმე იყოს!

ზვიადს რომ იჭერდნენ, გმირად ჩანდა დოდო (ვიქტორ) რცხილაძე. მასთან მქონდა ხოლმე შეხვედრები (მერაბ კოსტავას მაშინ არ ვიცნობდი). აქტიური იყო ძალიან. ჟურნალის ნომერიც გამოუშვა. მისი პუბლიკაცია დიდი სურათით აშშ-ს ერთ დიდ გაზეთშიც იყო სათაურით „ქართველი პატრიოტი ბრალს სდებს". ერთხელ რუსთაველის თეატრში ვნახე აკაკი ბაქრაძესთან მისული (აკაკი ბაქრაძე მაშინ თეატრის დირექტორი იყო) და წამოვედი შთაბეჭდილებით „ეს რა ბრწყინვალე პიროვნებაამეთქი". სამწუხაროდ, ეს „ბრწყინვალე პიროვნება" შიშმა მაშინვე დაფუშა. ამისთვის მას დაჭერაც კი არ დასჭირდა.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რომ დააპატიმრეს, იყო მითქმა-მოთქმა, ღელვა, შფოთვა, მაგრამ საზოგადოების მეტნაკლებად სერიოზული ინიციატივა მათს დასაცავად არ ყოფილა. ამ სამარცხვინო ფაქტის ნაწილობრივი ახსნისათვის (მაგრამ, რა თქმა უნდა, არა გამართლებისათვის)




ერთი გარემოება მინდა დავიმოწმო. როგორც დისიდენტობა იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედარებით გაიოლებული ფორმა, ისე განსაცდელიც, რომელიც ამ ორ კაცს ელოდებოდა, არ იყო სასიკვდილო განსაცდელი. ეს იყო რამდენიმე წლის პატიმრობა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალწინ). მაგრამ თუ ასეა, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: ის ხიფათი და უსიამოვნება, რაც ამ ორი კაცის გამომსარჩლებლებს ელოდათ, განა, თავის მხრივ, გაიოლებული ფორმა არ იყო იმ სასჯელისა, რაც კომუნისტების მიერ, განწირული კაცის გამოსარჩლებისათვის იყო განკუთვნილი მანამდე?

დისიდენტების ამ ჯგუფის პუბლიკაციების ძირითადი თემები იყო კორუფცია და დივერსია ეკლესიაში, კორუფცია ძეგლთა დაცვის სამმართველოში, გასახლებული მუსლიმანი ქართველების ცნობიერების მობრუნება და მათი დახმარება, გარეჯის კომპლექსის ნგრევა რუსეთის არტილერიით, ქართული ენის შეზღუდვა და ზოგი სხვა. ამ შედარებით წყნარ თემებს ახლდა, როგორც ვთქვი, მამაკაცთა კამერებში გამაუპატიურებელი „ნასედკების" თემა, რომელთაც შინაგან საქმეთა მინისტი შევარდნაძე „ოპერაციის" ჩატარების შემდეგ ხელს ართმევდა. ამ მასალის გამოქვეყნება ამ ჯგუფის მიერ მართლაც ზებუნებრივი მოქალაქეობრივი გამბედაობა იყო, რომლის წინაშეც მე ქუდს ვიხრიდი მაშინ და დღესაც ვიხრი.

გარდა „ოქროს საწმისის" და შემდეგ „საქართველოს" გამოცემისა, რასაც ეს ჯგუფი ახორციელებდა („საქართველო" ერთი ნომერი გამოვიდა და მეორეზე, თუ არ ვცდები, ზვიადისა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებამ მოუსწრო), ეროვნული გრძნობის კრისტალიზაციის მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ცენტრები იყო აკაკი ბაქრაძის საჯარო ლექციები უნივერსიტეტში, რომლებიც ახალგაზრდების ფართო აუდიტორიას იკრებდა (ძირითადად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისას), და აკადემიის ერთი-ორი ინსტიტუტი (პირველ ყოვლისა — ისტორიისა და ფილოსოფიისა). ჯგუფის დაპატიმრება მოხდა 1976 წლის აპრილში და ზვიადი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოუშვეს (მერაბ კოსტავა — უფრო გვიან). მაგრამ ეროვნული მოძრაობა არ შემწყდარა. უფრო მეტიც. არ შემწყდარა ამ მოძრაობის მუხტის ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრი გარეგნული გამოვლინებები, როგორიცაა არალეგალური ჟურნალის პუბლიკაცია, არ ყოფილა. კარგი ელიტის, ანუ ინტელექტუალური წრის რეაგირებაზე ზ. გამსახურდიას და მისი ჯგუფის მოღვაწეობის მიმართ ზემოთ უკვე ვილაპარაკე. ორი სიტყვა მინდა ვთქვა ცუდი ელიტის რეაქციაზეც ანუ იმათსაზე, ვინც პროფესიით ინტელექტუალურ ელიტას ეკუთვნოდა, მაგრამ არსით პარაზიტული წითელი ნომენკლატურას ან პოტენციური ნომენკლატურის ჯიშს ეკუთვნოდა. მათი იმ კომიკური საერთო სურათიდან, რომლის სრული დახატვაც ფსიქოლოგიური კარიკატურის გარკვეულ ნიჭს მოითხოვს, მოვიტან მხოლოდ ორიოდე შტრიხს. „ოქროს საწმისის" ხარისხის კრიტიკა მე ასეთთა წრიდან არც მსმენია, არც ამბად გამიგონია. მათი რეაქცია იყო, ერთის მხრივ, ინტელიგენტი და პატიოსანი სნობის პოზიციის სიმულაცია, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ სიტყვებით: „მერე რა მოხდა? განა ყველანი მაგ ჭკუაზე არა ვართ? ეს ხომ ყველამ ვიცითო" („მაგრამ სხვას ვამბობთო", ცხადია, აღარ უმატებდნენ), ან ირონიულად თავმდაბლობა „რა ვქნა, არ მაქვს პატივი ზვიადს ვიცნობდე" და „რა ვქნა, მის შემოქმედებაში მთელი სიღრმით ვერ ვერკვევიო". მაგრამ მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა, მათ გულებში ამ ორიოდე წლის მანძილზე ყოვლად დაუნდობელი სიძულვილი ილექებოდა ზვიადის მიმართ იმისთვის, რომ მათ საჭმელ ვარცლს შეეხო (ეს მოტივი ყველაზე ნაკლებ როლს თამაშობდა), რომ „ტუზებს" ვისთანაც ამათ მთელი სიცოცხლის მანძილზე მლიქვნელობა უწერიათ, სხვანი აბუჩად იგდებენ, და რომ (რაც მთავარია) აქვე, საქართველოში ჰორიზონტზე ახალი ადამიანების კონტური ჩანს, რომლის გვერდითაც თვითონ მასხარებად გამოჩნდა უწერიათ თანამედროვეებისა და შთამომავლების თვალში.

ასე იყო თუ ისე, „ოქროს საწმისის" ინფორმაციულ ღირებულებას ეჭვის ქვეშ ვერავინ აყენებდა. არავინ არც მალავდა, არც ცდილობდა მიეფუჩეჩებინა, რომ მხოლოდ ამ პუბლიკაციებიდან შეიტყვს კრატიშვილის მიერ ეკლესიის გაძარცვა, გარეჯის პოლიგონზე ქართული ისტორიული ძეგლების ნგრევა, ძეგლთა დაცვის სამმართველოში კორუფციის ბატონობა და მრავალი ანალოგიური მსხვილი და შედარებით წვრილი წყლული ჩვენი ცხოვრებისა. ზ. გამსახურდიას და მის ჯგუფს მათს მოქმედებას საზოგადოება გმირობად უთვლიდა, აკ. ბაქრაძეს, მისი მოქმედების ლეგალურობის გამო — მხოლოდ მოღვაწეობად. მახსოვს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მოაზროვნე ისტორიკოსი — იმ დროს ახალგაზრდა გურამ ყორანაშვილი — აღტაცებით ამბობდა „ხედავ, რა ბოკვერი გამოზარდა კონსტანტინე გამსახურდიამო". საინტერესო ისაა, რომ „ნომენკლატურის" ბანაკიდან ამ აზრს და ამ პოზიციას ვერავინ ედავებოდა. ეს იყო ყოველგვარი რევოლუციურობისათვის გარდუვალად დამახასიათებელი თაფლობის თვე ან, თუ გნებავთ, ოქროს ხანა — მოკლე დრო, როცა არსებულის ყველასთვის ცნობილი უვარგისობის (სიდამპლის) გამოთქმა უკვე დაწყებულია, მაგრამ „რევოლუციური" და „კონტრრევოლუციური" ძალების თვითშემეცნება და ბარიკადის აქეთ-იქით განლაგება, ისევე როგორც რევოლუციური თუ პოზიტიური ამოცანების მთელი მასშტაბით გაცნობიერება, ჯერ არ მომხდარა.

კაკო ბაქრაძეს ლექციებისთვის საწარმო-დაწესებულებებში იწვევდნენ, მათ შორის — აკადემიის ინსტიტუტებში — და მისი მოსვლა ყველგან მოვლენა იყო. ეროვნული პოლიტიკური გათვითცნობიერების ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, უნივერსალური იყო: თბილისში მის გარეთ რჩებოდა ქართველი მოსახლეობის მხოლოდ ყველაზე ჩამორჩენილი ელემენტი, ერთის მხრივ, და დიდი საწარმოები, [illegible] ფლება დაუძინებელი სიფხიზლით დარაჯობდა, მეორეს მხრივ (მაგრამ, [illegible] თად, წარუმატებლად დარაჯობდნენ. ამ პროცესისგან ქარხნების იზოლაცია, შეიძლება ითქვას, ვერ შეძლეს). ისტორიის ინსტიტუტში კარგა აქტიური ჯგუფი იყო, რომელიც ინსტიტუტის თითქმის მთელ ახალგაზრდობას და უფროსების კარგა მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. დღეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ჯგუფის ყველაზე აქტიური ელემენტი და, შეიძლება ითქვას, ლიდერი იყო გურამ მამულია. ეროვნული მოძრაობის მუხტისა და მასშტაბის ზემოხსენებული ზრდა, შეიძლება ითქვას, კანონზომიერად მისდევდა იმპერიის რყევის ზოგად პროცესს.

რეზონანსის მასშტაბითაც და რადიკალობითაც ყველაზე ძლიერი ჯგუფი ამ დროს, უდავოდ, იყო სამი სტუდენტი გოგონა თამრიკო ჩხეიძის წინამძღოლობით. ეს ჯგუფი, თუ არ ვცდები, ერთის მხრივ კაკო ბაქრაძის ლექციებზე სიარულის პროცესში იყო ჩამოყალიბებული, გარეთ კი ყველაზე მეტი კონტაქტი გურამ მამულიასთან ჰქონ-




[illegible] ში დავრჩე და მოვლენათა ანალიზში პროპორციები ზუსტად დავიცვა. მე არ ვლაპარაკობ ინდივიდუალურ ადამიანთა მიერ საკუთარი სიცოცხლის გაწირვაზე (ეს ფაქტები იყო და ამას ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი ეპიზოდებიც მოწმობს. დავსძენ, რაკი სიტყვამ მოიტანა: ჩემი მეგობარი გურამ კანკავა შეესწრო, მერაბ კოსტავა რომ ნაცნობ ბიჭებთან საუბარში ქუჩაში თავისი გზის არჩევანს იმით ასაბუთებდა, — დაჭერამდე სულ ცოტა ხნით ადრე; — ვიღაცამ მაინც ხომ თავი უნდა გაწიროსო). ვლაპარაკობ ინდივიდის მიერვე იმ გადაწყვეტილების მიღებაზე, რომ ერი უნდა წავიდეს მსხვერპლზე და რომ ერის თავგანწირვისა და მსხვერპლის დრო არის მოსული. ასეთი გადაწყვეტილების დრო ქართველი ერისათვის ის დრო არ იყო (და მე ვერც ვიტყვი კატეგორიულად, რომ რომელიმე ერისთვის ასეთი დრო როდისმე არსებობს). მაგრამ ინდივიდებისთვის, რომელთაც ერის გადარჩენა უნდათ, ასეთი დრო იყო და ყოველთვის არის. ქართველი ერისთვის იგი მაშინაც იყო. (ეს ორი თავდადება სულ სხვადასხვა რამ გახლავთ). მიუხედავად ამისა, იმგვარი ორგანიზაცია, ზემოთ რომ ვთქვით, საქართველოში ამ დროს არ შეიქმნა. ზემოთ ისიც ვთქვი, რომ ქართული ეროვნული პოზიციის მეორე ფუნდამენტურ ნაკლოვანებას ქვემოთ ვახსენებ. ეს ნაკლი გახლავთ მოვლენათა განვითარების (თუ გნებავთ, მაღალფარდოვანი გამოთქმა ვიხმაროთ — ისტორიის) ის დეტერმინისტული გაგება (არსებითად — ანტიმეცნიერული გაგება, რომელიც ჩვენმა თაობებმა, მარქსიზმის მემკვიდრეობისგან შეითვისა), რომლის თანახმადაც მოვლენათა მსვლელობის „ობიექტურად" განსაზღვრული ხაზი არსებობს და მოსახდენი ჩვენ-ჩვენი განსაკუთრებული აქტივობის გარეშეც ხდება. ასე არ ხდება! ისტორიამ კი განაგო, რომ „სოციალისტური" ცხოვრების წესმა თავისუფალ ეკონომიკაზე დაყრდნობილთან ბრძოლაში დამარცხება განიცადოს, მაგრამ მას არ განუგია, ვისმა დროშამ იფრიალოს სოხუმში, ზაქათალაში თუ ყარაბაღში. ვისაც ამგვარი საკითხების თავის სასიკეთოდ გადაჭრა სურს, იგი „ობიექტური" ვითარების იმედზე ვერ იქნება. ქართველ ელიტაში რომ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ეს ფხიზელი ცნობიერება ყოფილიყო, ჩვენი საქმე დღეს, ალბათ, ბევრად უკეთ იქნებოდა.

(გაგრძელება იქნება)

# თამაზ აგლაძე: გვჭირდება მეტი წესრიგი და მხარდაჭერა

მეორე გვერდიდან

როსადმი მომსახურება გახდა ჩვენი საწარმოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი დაკვეთის წყარო.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ენერგეტიკის დარგის აღმავლობისადმი ხელშეწყობა. ეხლა ჩვენ, ორი სამინისტრო ვმუშაობთ გეგმაზე, თუ რა შეიძლება საქართველოში გაკეთდეს ამ კუთხით. ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ მსუბუქი მრეწველობის გამოცოცხლება, რომელიც ამ ბოლო ხანებში, საკმაოდ იგრძნობა, დამაიმედებელია. თუ კარგად დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ შეიმჩნევა ტენდენცია იაფი და დაბალხარისხიანი უცხოური პროდუქციის ჩვენი შიდა ბაზრიდან გაძევებისა და მის ადგილს სამამულო პროდუქცია იკავებს. ამ პროცესს ვეღარავინ ვერ შეაჩერებს. ასე რომ, მსუბუქი მრეწველობის მუშაობის ტემპები ძალიან კარგია. მე არ მინდა ჩვენ ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება შევუქმნათ, თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ გარდატეხა ნამდვილად მოხდა. ეხლა ჩვენ გვჭირდება მეტი წესრიგი და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა.




აუცილებელია, რომ შეიქმნას მრეწველობის მხარდაჭერის ფონდი. ცნობილია, რომ მრეწველი კრედიტს ვერ იღებს დიდი პროცენტული დანარიცხის გამო, ამიტომაც საჭიროა ჩვენ ჩვენი ფონდი გვქონდეს და აუცილებლად უნდა ვთხოვოთ მთავრობას მომავალი წლის ბიუჯეტში მრეწველობის მხარდაჭერისათვის გამოყოს ოთხი მილიონი ლარი, რომელიც გარანტად დაუდგება ჩვენს მეწარმეებს. ამით შევძლებთ მრეწველობის გადახალისებას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ შემთხვევაში მრეწველი ბევრ ისეთ რამეს გააკეთებს, რაზედაც დღეს ლაპარაკიც არ შეიძლება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრიორიტეტებში აგრეთვე შედის სოფლის მეურნეობის სამრეწველო მომსახურება. ჩვენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივად უკვე შევიმუშავეთ პროგრამა. ამ დარგში თანდათან იკვეთება მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია. როგორც იტყვიან, მოდაში შემოდის ბუნებრივი მასალები და სამომავლოდ ჩვენს ნატურალურ აბრეშუმზე ალბათ მოთხოვნილება იქნება.

მინდა გამოვყო აზოტოვანი სასუქების წარმოების საკითხიც. ჩვენ ფაქტიურად, თვეში ოცდაათ ტონაზე მეტს ვამზადებთ და მთლიანად ვაკმაყოფილებთ ქვეყნის მოთხოვნილებას. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენ იაპონელებთან ერთად უკვე შევქმენით „შარდოვანას" წარმოების პროექტი. იგი უფრო ძლიერი პროდუქტია, ვიდრე „გვარჯილა". ეს პროექტი ოთხმოცდაათ მილიონდოლარიანია.

ყველა წინა პირობა არსებობს საქართველოში, რომ ცემენტის წარმოება დავიწყოთ. პროექტს ამუშავებს მრეწველობის სამინისტრო და ასოცი მილიონი დოლარი ჯდება. შემოდიან ძალიან ძლიერი დანიური თუ დასავლური კომპანიები და ჩვენ ვფიქრობთ, რომ შევძლებთ კონსორციუმის შექმნას, რომელიც შეძლებს ამ პროექტის განხორციელებას. ესე იგი, ასოცი მილიონი ტონა ცემენტის წარმოებაა დაგეგმილი ამ ახალ წარმოებაში. ნავთობის სატრანსპორტო მაგისტრალები, ჩვენი პორტების რეკონსტრუქცია ითხოვს მაღალხარისხოვან ცემენტს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროდუქცია ეკოლოგიურად ძალიან სუფთა იქნება.

**— ბატონო თამაზ, ხომ არ აჯობებდა, ჩვენ იაპონიის მაგალითი გადმოგვეღო და თვითონ სახელმწიფოს დაეფინანსებინა მრეწველობის პრიორიტეტული დარგები?**

— ამის საშუალება რომ გვქონდეს, ალბათ ძალიან ბედნიერები ვიქნებოდით. ცხადია, ამის საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნია. ასოცი მილიონი რომ ცემენტის ქარხნისათვის გამოვყოთ, სამაგიეროდ პენსიებსაც და სხვა სოციალურ საკითხებსაც ვერ მოვაგვარებთ. მაგრამ სახელმწიფომ გარკვეულწილად ხელი უნდა შეგვიწყოს და ოთხი მილიონი მაინც უნდა გამოყოს.

იგივენაირად შეიძლება მივუდგეთ დიფერენცირებულ გადასახადებს. მიკროეკონომიკაზე უნდა გადავიდეთ, მაკროეკონომიკურად ჩვენ ყველაფერს უკვე მოვუარეთ.

დღესდღეობით მართლაც სტაბილური მდგომარეობაა, ინფლაცია ძალიან დაბალია. ლარი კარგ კურსს ინარჩუნებს, მაგრამ ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. მე ისევ კონცეფციას დავუბრუნდები და აღვნიშნავ, რომ ჩვენ რაც პრიორიტეტებად გამოვყავით, აუცილებლად დახმარება უნდა გავუწიოთ. მართალია, ჩვენ არა ვართ იმ მდგომარეობაში, რომ ტოტალურად აღვადგინოთ მთელი მრეწველობა, მაგრამ დახმარების გაწევა ხომ შეიძლება?!

**— ბატონო თამაზ, როდესაც საკმაოდ მსხვილი მეწარმეები, ბიზნესმენები თუ კომერსანტები ხმამაღლა აცხადებენ, რომ საქართველოში არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, საინტერესოა, რამდენად დაცულია სახელმწიფოს მხრიდან მრეწველების ინტერესები?**

— თქვენ შეეხეთ ისეთ საკითხს, რომელიც მე ძალიან მაწუხებს. ჩვენ დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ. ამ ბოლო ხანებში დამკვიდრდა ტენდენცია, რომ თუ ლაპარაკია საბაზრო ეკონომიკაზე, მთავარია კერძო საკუთრება. მართალია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სავსებით არასაკმარისი. არსებობს აზიის ბევრი ქვეყანა, სადაც კერძოობაა, მაგრამ იქ არ შეიმჩნევა ეკონომიკის აღმავლობა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კერძო საკუთრება ეს არის მხოლოდ გარკვეული ნაწილი. თუ არ იარსებებს თავისუფალი კონკურენცია, მაშინ ყველაფერი აზრს კარგავს. არც პროგრესი იქნება და არც საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები ამუშავდება. სამოცდაათწლიანმა ისტორიამ, შეიძლება თქვას, ძალიან ცუდი სამსახური გაგვიწია. ხალხი მიეჩვია, რომ პარტიის სხდომებზე თეორიულად სხვანაირად 'უნდა გესაუბრა, შემდეგ კი მოლაპარაკებებით ჩაგეწყო საქმე. ეს ყველაფერი ჩვენში მენტალურად დამკვიდრდა. ასე რომ, აუცილებლად უნდა იყოს კონკურენტუნარიანი გარემო და არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელსაც უნდა მოვარგოთ ჩვენი საქმიანობა და საქმე ვაკეთოთ კანონის ფარგლებში და არა კლანური მოლაპარაკებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სისტემა არავითარ შემთხვევაში წარმატებას არ მოგვიტანს. ფორმალურად გადავალთ კაპიტალიზმზე, ფაქტიურად კი ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუ არ იქნა კონკურენტუნარიანი გარემო, ჩვენი გეგმა ვერ განხორციელდება.

ჩვენს მიერ შემუშავებულ კონცეფციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს. მისი როლი უნდა შემოიფარგლოს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით. ამის მიღწევის მექანიზმები უნდა იქნეს შემუშავებული კანონით, რომლის მიღებასაც ჩვენ ვითხოვთ. ამასთანავე, თვითონ საზოგადოება უნდა დაირაზმოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ, რომ არ მოხდეს ამა თუ იმ ჯგუფების მიერ გარკვეული სფეროს უზურპაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავაგებთ თავისუფალ საზოგადოებას და ღია ბაზრის ეკონომიკას.

ყველაფერი აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს და ბაზარი უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ საზოგადოება უნდა დაირაზმოს. რა ფორმით?**

— იგივე ფორმით, როგორიც საზღვარგარეთაა. ამისათვის არსებობს თავისუფალი პროფკავშირები, მეწარმეთა კავშირები და რა თქმა უნდა, თავისუფალი პრესა. მაგრამ საჭიროა არ მოხდეს პრესის დისკრედიტაცია. ხშირად მიზანი კარგია, მაგრამ მასალა არასწორადაა დამუშავებული და უფერულს ხდის მას. ასე რომ, მარტო სურვილი ბევრს არაფერს ნიშნავს. თან უკვე იმდენი გაზეთია, ხალხიც დაიღალა და ეძებს ისეთს, სადაც იცის, რომ არ მოატყუებენ. უკვე ხდება დიფერენციაცია. ამიტომ იქ, სადაც სერიოზული, კვალიფიციური ანალიზია, ხალხსაც იმისი სჯერა.

**— ბატონო თამაზ, თქვენ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე წარსადგენად მზად გაქვთ საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის კონცეფცია. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

— აქ ჩამოყალიბებულია ჩვენი ხედვა, თუ რა როლს თამაშობს სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის გატარებაში. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით იმ საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში, სადაც სახელმწიფო თვითონ იყო ერთადაერთი მენეჯერი და ყველაფერს თვითონვე აკეთებდა. გადავდივართ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე, სადაც სახელმწიფოს როლი უნდა განისაზღვროს, როგორც მარეგულირებელი გარემოს შემქმნელი, რადგანაც ამ ეტაპზე ჩვენ გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით და გარკვეულწილად სახელმწიფოს ჩარევა მაინც საჭიროა.

ჩვენ ვადგენთ პრიორიტეტებს. ამასთანავე სახელმწიფომ უნდა იფიქროს, თუ რისი გაკეთება შეუძლია და შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენოს. ეს იქნება სამამულო ნედლეული, გამოცდილება, ტრადიციები, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, გეოპოლიტიკური მდგომარეობა თუ სხვა.

კონცეფცია განსაზღვრავს სწორედ ამ მიდგომებს, რომელსაც შემდგომში უნდა მოჰყვეს მოკლევადიანი პროგრამა, რომელიც სექტემბერ-ოქტომბრისათვის უკვე დამუშავებული იქნება. ჯამში ეს დოკუმენტები ქმნის ჩვენი სამრეწველო პოლიტიკის ერთიან არსს. რაც შეეხება დოკუმენტის ზოგად ნაწილს, შეიძლება ითქვას, იგი უნივერსალურია. ამ ეტაპზე პრიორიტეტები დავადგინეთ იმ სექტორებში და დარგებში, რომელსაც კურირებს ჩვენი სამინისტრო. სახელმწიფო მინისტრთან ჩატარებულმა თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პრიორიტეტები ყველა სექტორიდან იქნას შევსებული. ივნისის შუა რიცხვებში დაგეგმილია მთავრობის გაფართოებული სხდომა, სადაც განიხილავენ აღნიშნულ კონცეფციას. მას უნდა მოჰყვეს პრეზიდენტის ბრძანებულება ფონდების შექმნის, მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებისა და ანტიმონოპოლიური გარემოს შექმნის შესახებ. ჩვენ თუ არ შევიტანეთ გარდატეხა, მსუბუქი მრეწველობა წელში ვერ გაიმართება. ამისთვის საჭიროა ნიჭიერ ხალხს ხელი არ შევუშალოთ. ყველანაირად დავეხმაროთ და პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ. აუცილებელია აღნიშნული კონცეფციისა და კანონების მიღება, ფონდების შექმნა.

პრეზიდენტი ამ საქმეში მხარს გვიჭერს.

მინდა აღვნიშნო, რომ ფართო საზოგადოებაში მოხდა გარდატეხა. მახსოვს, როდესაც მე მოვედი მინისტრად, იდგა საკითხი — გვინდოდა თუ არ გვინდოდა მრეწველობა. ასეთნაირი მიდგომა მე მაშინაც არასწორად და გაუმართლებლად მიმაჩნდა.

დღესდღეობით მრეწველობის სამინისტრო ამუშავებს ოთხ დიდ პროექტს, ჯამური ფასით ნახევარი მილიარდი. ყველა თუ არა, ორმოცდაათი პროცენტი ხომ მაინც გამოვა. ეს თანხა არც თუ ისე ცოტაა, იგი ბიუჯეტის მეოთხედს შეადგენს. ავდგეთ და ეს თანხა ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და ახალი სიმძლავრეების დანერგვას მოვახმაროთ. მაშინ მრეწველობას გაუჩნდება ახალი სტიმული. მე მზად ვარ ცოტა ხნის შემდეგ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს და გადავამოწმოთ, თუ რა გამოგვივიდა. მზად ვარ ანგარიში ვაგო თქვენს წინაშე.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, კონცეფციასთან დაკავშირებით გამოითქვა გარკვეული შენიშვნები. პრიორიტეტებთან დაკავშირებით თუ იყო რაიმე პრეტენზიები?**

— რა თქმა უნდა, შენიშვნები იყო გამოთქმული, მაგრამ ოთხმოცდაათი პროცენტი აღნიშნულ კონცეფციას იწონებს, როგორც დოკუმენტს და მრეწველობის განვითარების საფუძველს.

**— გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.**

ესაუბრა **კობა კაპანაძე**

## მსოფლიოს გარშემო

### ჩეჩნეთმა მოსკოვს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება შესთავაზა

ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტ ასლან მასხადოვის დავალებით წერილი გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი პრიმაკოვს, რომლითაც შესთავაზა ჩეჩნეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დედაქალაქებში დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნით.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ 1997 წლის 12 მაისს ჩეჩნეთმა და რუსეთმა ხასავიურთის ხელშეკრულებების განვითარების ფარგლებში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მშვიდობისა და ურთიერთობების პრინციპების შესახებ, რომლის შესაბამისადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება „შემდგომი ურთიერთობების განვითარების შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დონეზე." გროზნოს აზრით, ამ სახით, რუსეთმა ფაქტიურად ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ცნო.

### დაღესტანში კვლავ რთული ვითარებაა

გასულ ღამეს მაჰაჩყალაში ბანდიტებმა დაცხრილეს მილიციელთა განწესი. ერთი მილიციელი დაიღუპა, სამი დაიჭრა, ერთი მათგანი მძიმედ.

დანაშაულის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა შეაგროვეს კალაშნიკოვის ავტომატის, თთ და „მაკაროვის" ტიპის პისტოლეტების 200 ვაზნა. მილიციის თანამშრომლებმა ბლოკადაში მოაქციეს სახლი, რომელიც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, ნადირშაჰ ხაჩილაევს ეკუთვნის და რომელსაც თავს აფარებენ დამნაშავენი. მილიციელებს მიუტანეს დამატებითი საბრძოლო კომპლექტები და ჯავშანჟილეტები. ამ სახლისაკენ მიიწევენ აგრეთვე სავაჭრო ფარდულების მეპატრონეები და ხაჩილაევის ნათესავები დაღესტნის ნოვოლაკის რაიონიდან. მდგომარეობა მკვეთრად გართულდა. დღეს დილით უკვე მოხდა სროლები სახლში გამაგრებულებსა და მილიციელებს შორის. ბანდიტებს ალყის გარღვევა სურდათ. შემდეგ 100-მდე შეიარაღებული ადამიანი ალყაში მოქცეული სახლის ეზოში შევიდა. მილიციამ ამ ადამიანებს ხელი არ შეუშალა, რათა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა და კონფლიქტი არ გაეფართოვებინა. შემთხვევის ადგილთან გამოძახებულნი არიან სასწრაფო დახმარების მანქანები, მაგრამ დაჭრილთა და დაღუპულთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით უცნობია.

### პრეზიდენტის იმპიჩმენტზე ლაპარაკი სატკლაცუნოებით თამაშია

ბორის ელცინი თვლის, რომ კომუნისტები პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაზე იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ თავიანთი პარტიის ყრილობის წინ იმიჯი აიმაღლონ და ამ ლაპარაკს რუსეთის პრეზიდენტმა „სატკლაცუნოებით თამაში" უწოდა.

როგორც ცნობილია, გენადი ზიუგანოვმა გუშინ განაცხადა, რომ კომუნისტებმა უკვე დეპუტატების 150 ხელმოწერა შეაგროვეს იმპიჩმენტის პროცედურის მხარდასაჭერად.

### ისრაელის ავიაციამ ჰეზბოლას შეუტია

ისრაელის ავიაციამ ლიბანის სამხრეთში მუსულმანი ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია „ჰეზბოლას" მებრძოლთა პოზიციები დაბომბა.

„ჰაერი-მიწა" ტიპის ორი რაკეტა ესროლეს ქვეყნის სამხრეთში, იქლიმ ათ-თუფახის რაიონში გამაგრებული „ბოევიკების" ბანაკებს, სადაც ისინი პარტიზანულ ომს აწარმოებენ ისრაელის წინააღმდეგ. ეს ისრაელის ავიაციის მეორმოცე საბრძოლო რეიდი იყო უკვე მიმდინარე წლის დასაწყისიდან ამ რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სათქმელს ბოლომდე ვიტყვი

*გაგრძელება. დას. იხ. „საქართველო" №36*

ჩვენს შორის ურთიერთობის გაუარესება კარგა ხანია დაიწყო. როცა 1970 წელს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველი ტომი გამოვიდა, რომლის რედაქტორიც აკად. გ. მელიქიშვილი გახლავთ, მის შესახებ რეცენზია დავწერე და წარვადგინე დასაბეჭდად „მაცნეში", რომელსაც იმხანად იგი რედაქტორობდა. რეცენზიაში გამოთქმული მქონდა რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება კერძოდ აკად. გ. მელიქიშვილისეულ ნაწილზე. რასაკვირველია, რეცენზია „მაცნეს" არ დაუბეჭდავს. მაგრამ მისგან „საპასუხო სვლებს" არ დაუხანებია. სულ მალე აკად. გ. მელიქიშვილმა შემომთავაზა გადასვლა ძველი ისტორიის განყოფილებიდან (სადაც ვმუშაობდი და რომლის გამგეც თვითონ იგი გახლდათ)... საბჭოთა პერიოდის შემსწავლელ განყოფილებაში. ამაზე მე, ცხადია, უარი განვაცხადე. ამის შემდეგ, როცა გაიგო, რომ უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე დავიწყე მუშაობა (საათობრივი ანაზღაურების წესით), აკად. გ. მელიქიშვილმა მირჩია იქ გადასვლა. რაკი მისი წინადადება არც ამჯერად დამიჯდა ჭკუაში, მან მირჩია ინსტიტუტში დარჩენა ნახევარ შტატზე, ხოლო ნახევარზე — უნივერსიტეტში. რაკი ამაზედაც უარი განვაცხადე, ამის შემდგომ შემომთავაზა მუშაობის დაწყება ეგვიპტოლოგიაში. მაგრამ მე ამ დროისათვის სულაც არ მიმაჩნდა თავი დამწყებ და, მითუმეტეს, გზააბნეულ მეცნიერმუშაკად, საკმაოდ კარგად მქონდა გაცნობიერებული ჩემი მომავალი სამუშაო სფერო და ამიტომაც უარი ვთქვი ეგვიპტოლოგიაში სპეციალიზაციაზე. მოგახსენებთ იმასაც, რომ 1973 წელს დავწერე კრიტიკული რეცენზია ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების" პირველ წიგნზე, რომლის ერთ-ერთი რედაქტორიც აკად. გ. მელიქიშვილი იყო; ცხადია, ამ გარემოებამაც დაძაბა ჩვენ ორს შორის ურთიერთობა.




მოგახსენებდით, რომ ჩემს მოწოდებად ვთვლიდი ისტორიის ინსტიტუტში მუშაობისას შემევსო ის ხარვეზი, რაც დღევანდელ ქართულ ისტორიოგაფიას გააჩნია ისტორიის თეორიის, კერძოდ მეთოდოლოგიის ხაზით. დიდად სამწუხაროდ, აღვნიშნავ, რომ დღევანდელ ქართველ ისტორიკოსებს ეს საკითხი არ აწუხებთ და მათ ამას ისევე ვერ გააგებინებ, როგორც ერთ დროს რუსი პოლკოვნიკი ვერ აგებინებდა აკაკის მამას როსტომ წერეთელს საჭადრაკო თეორიის აუცილებლობას (იხ. „ჩემი თავგადასავალი"). ბევრისგან განსხვავებით, აკად. გ. მელიქიშვილისათვის აღნიშნული საკითხი ცხადი უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მას არაფერი (ამ მხრივაც!) ულონია.

ჩემი პირველი წიგნის („გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში") გამოცემა ძალზე გაჭიანურდა. ვთხოვე აკად. გ. მელიქიშვილს, რომ ინსტიტუტის მეშვეობით დამხმარებოდა მის გამოქვეყნებაში, რაზედაც უარი მივიღე (განმიცხადა, რომ წიგნის გამოცემის საქმე ძალიან ძნელი იყო. (შეგახსენებთ, რომ ამ დროს უკვე 6 წელი იყო, რაც ინსტიტუტში ვმუშაობდი). ორი წლის შემდეგ ბატონ ხუტა ბერულავას რჩევით აკად. გ. მელიქიშვილს ვთხოვე რედაქტორობა გაეწია ჩემი მეორე წიგნისათვის, რაზედაც კვლავ უარი განმიცხადა. გამოვტყდები, რომ ამან ძალიან გამაკვირვა, რადგან გარკვეულ ზოგად საკითხებში ერთნაირი აზრი გვქონდა (უარი იმით დამისაბუთა, რომ ჩვენ რევიზიონისტები ვართ და წიგნში ერთად გამოჩენა არ შეიძლებაო). მისგან კვლავ უარი მივიღე ჩემი საისტორიო-მეთოდოლოგიური კრებულის გამოცემის წინადადებაზე.

თითქმის ექვსი წელიწადი გამიჭიანურეს სადოქტორო დისერტაციის დაცვის საქმე. აკად. გ. მელიქიშვილი თითქოს დიდი გულისყურით მეკითხებოდა დაცვის საქმის პერიპეტიებზე, მაგრამ საკმარისი იყო, რომ მას ეთქვა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ბატონ დავით ჩხიკვიშვილისათვის (რომელიც იმხანად ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა ნახევარ შტატზე) რათა დავეშვი დაცვაზე, რომ შესაბამისი პროცესი ექვსი წლის მანძილზე არ გაიჭიმებოდა. მაგრამ ნურას უკაცრავად! მეტიც, თუმცა ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვა ერთობ დრამატულად წარიმართა (იყვნენ მსურველები მისი ჩაგდებისა) და მას ესწრებოდა აკად. გ. მელიქიშვილიც, მაგრამ ამ უკანასკნელს ერთი სიტყვაც კი არ ამოუღია დაცვის დროს.

მალე უარესი მოხდა. 1980 წლის შემოდგომაზე, „ვაკ"-ის მიერ ჩემი დისერტაციის დამტკიცების შემდეგ, აკად. გ. მელიქიშვილს ვთხოვე დამხმარებოდა მის გამოქვეყნებაში. პასუხად მივიღე სრული დუმილი. ასე, როგორც ყრუ-მუნჯნი, ვისხედით დირექტორის კაბინეტში მთელი 15-20 წუთის განმავლობაში. რაკი კაბინეტს მოეძალნენ მთხოვნელნი, მე შემრცხვა ამგვარი მდგომარეობისა და გარეთ გამოვედი. ერთი წლის შემდგომ კვლავ იგივე სიტუაცია გამეორდა. გავიდა სამი თვე და აკად. გ. მელიქიშვილისაგან პასუხი არ მიმიღია. მაშინ კი მივმართე საქართველოს აკადემიის იმჟამინდელ პრეზიდენტს, ბატონ ევგენი ხარაძეს. დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ბატონმა ევგენიმ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაშინდელმა აკადემიკოს-მდივანმა, ბატონმა ანდრია აფაქიძემ გულთან ახლოს მიიტანეს ჩემი თხოვნა და დამპირდნენ წიგნის გამოცემას. მაგრამ ამისათვის საჭიროდ ცნეს ისტორიის ინსტიტუტის გრიფის მიღება, რაზედაც აკად. გ. მელიქიშვილი დიდად გაჯიუტდა - აცხადებდა, რომ რამდენადაც ჩემი ნაშრომი ფილოსოფიური ხასიათისა გახლდათ (შეგახსენებთ, რომ იგი ეხებოდა წინაკაპიტალისტურ ფორმაციებს და შესრულებული იყო სწორედ ისტორიის ინსტიტუტში), გრიფი მიეცა ფილოსოფიის ინსტიტუტსაც. აკად. გ. მელიქიშვილისეული გათვლა ფრიად გამჭვირვალე იყო: იმხანად ბატონ ნიკო ჭავჭავაძესა და ჩემს შორის ურთიერთობები დაძაბული იყო და, ასეთ პირობებში, ცხადია, იგი არ დათანხმდებოდა გრიფის მოცემას. ან რატომ უნდა მოეცა? ჩემი ნაშრომი გამოვიდა 1988 წელს, რასაც დიდად ვუმადლი ბატონ ევგენი ხარაძეს და ბატონ ანდრია აფაქიძეს. მასში გატარებული აზრები, რაღაც პუნქტებში საერთოობის გარდა დიდად განსხვავდება აკად. გ. მელიქიშვილისეული შეხედულებებისაგან. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ ამ საკითხის შესახებ იგი ამჟამად მაინც ამოიღებდა ხმას და რეცენზიით (თუნდაც უაღრესად კრიტიკულით) გამომეხმაურებოდა. მაგრამ დღემდე არაფერი ამის მსგავსი არ გაუკეთებია. გეტყვით იმასაც, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, აღნიშნული საკითხის შესახებ აკად. შ. მელიქიშვილმა მცირე მოცულობის წიგნიც კი ვერ დაწერა. თანაც თუ ერთ დროს კარგად დაიწყო, შემდეგ ისეთი შეხედულებები განავითარა, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

„მაცნეს" ისტორიის... სერიაში რედაქტორობის ბოლო წლებში აკად. გ. მელიქიშვილმა არ დამიბეჭდა სტატიები: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისის საკითხი მეცხრამეტე საუკუნეში", „კლასობრივი ბრძოლის პრობლემა საქართველოს წინაკაპიტალისტური ხანის ისტორიაში" და „ეთნიკური ფორმების მონაცვლეობის საკითხი საქართველოს ისტორიაში". ამაში, ჩემს მიმართ ანტიპატიების გარდა, თავი იჩინა აკად. გ. მელიქიშვილის ერთგულებამ საბჭოური სტერეოტიპული იდეებისადმი. სხვათა შორის, აღნიშნულ სტატიათაგან ორი „მაცნეში" დაიბეჭდა ახალი რედაქტორის — ბატონ როინ მეტრეველის მოსვლის შემდგომ.

მოგახსენებთ აკად. გ. მელიქიშვილის „უცნაური" ქცევის ერთ მაგალითსაც. ისტორიის ინსტიტუტში 1961 წლიდან არსებობდა ბატონ ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით დაფუძნებული სპეციალური განყოფილება, რომელსაც ევალებოდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ისტორიოგრაფიის ისტორიის შესწავლა. ინსტიტუტის ისტორიის დირექტორის ბრძანებით 1987 წლის ოქტომბერში განყოფილება გაუქმებულ იქნა მისი გამგის — ბატონ პროკოფი რატიანი თბილისში არყოფნისას (მსგავსი ქმედების მოტივი ნათელია. ჯერჯერობით ერთზე მოგახსენებთ: აკად. გ. მელიქიშვილი პირადად ვერ იტანდა განყოფილების გამგეს). როცა ბატონი პროკოფი რატიანი თბილისში დაბრუნდა, მან აღადგენინა დირექტორის მიერ აშკარად ვოლუნტარისტულად გაუქმებული განყოფილება. სამიოდე თვეც არ იყო გასული და გარდაიცვალა ბატონი პროკოფი რატიანი. ამჯერად კი განყოფილება განწირული აღმოჩნდა გასაუქმებლად. ჩემს პროტესტზე, თუ რატომ აუქმებს განყოფილებას დირექტორი, ამ უკანასკნელმა განმიცხადა, რომ სისუსტის გამო. ამაზე ვუპასუხე, რომ ამ თვალსაზრისით მაინცდამაინც არც სხვა განყოფილებები გამოირჩეოდნენ და საჭირო იყო არა სუსტი გაწყოფილების გაუქმება, არამედ მისი გაძლიერება, რომ განყოფილებაში უნდა შეგვესწავლა ახალი და უახლესი ხანის საზღვარგარეთული მოწინავე ისტორიოგრაფია. იგივე გავიმეორე საინსტიტუტო კრებაზე 150-მდე თანამშრომლის თანდასწრებით, მაგრამ ამაოდ. აკად. გ. მელიქიშვილის ასეთი ქცევის მოტივი გახლდათ შემდეგი: მას არ სურდა, რომ განყოფილების გამგე მე გავმხდარიყავი. ისე, სხვათა შორის, ისტორიის ინსტიტუტებში წელს აღდგენილ იქნა გაუქმებული განყოფილება. მიზეზი ამისა სულაც არ გახლავთ ახალი, უფრო ძლიერი კადრების მოსვლაში, არამედ ის, რომ დირექტორმა იგი უწყალობა სასურველ, დირექტორის მოადგილეობიდან განთავისუფლებულ და ამდენად „დაზარალებულ" პიროვნებას. მაგრამ ათ წელზე მეტი ხნის ინტერვალმა რომ უარყოფითი შედეგები გამოიწვია? სად გავექცევით იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ ქართველ ისტორიკოსებს ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიაც ვერ დაუწერიათ?

ასეთი გახლავთ ჩემს მიმართ აკად. გ. მელიქიშვილის ქმედებათა რიგი. აქედან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს ისიც, თუ რატომ გაისარჯა ასე დიდად იგი, რათა ჩემთვის გრანტი საერთოდ არ მოეცათ. ამ საქმეში მას მხარი აუბა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთმა ნაწილმა (საბედნიეროდ, უმრავლესობამ არა!). ამას დაუმატეთ ისიც, რომ საქართველოს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში აღმოჩნდნენ სხვა, ჩემდამი მტრულად განწყობილი ძალებიც. საქმე ის არის, რომ მე რამდენჯერმე, პრესის საშუალებით, ვამხილე შესაბამისი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ტიპური ბიუროკრატიული ქცევის გამო. მას კი, ცხადია, განყოფილებაში ჰყავს გადამკვდარი მხარდამჭერები. საერთოდაც ხშირად ვწერ და საჯაროდ ვლაპარაკობ ჩვენი სამეცნიერო აკადემიის არსებული სახით ანაქრონიზმად გადაქცევაზე, მის ბიუროკრატიაზე, თანაც გერონტოკრატიის ფორმით. ამგვარ თავისუფალ ქცევასა და აზროვნებას, რასაკვირველია, ბიუროკრატები არავის აპატიებენ, მითუმეტეს — დღევანდელ საქართველოში, სადაც არნახული განუკითხაობა და უპასუხისმგებლობა სუფევს. ამ ფონზე უნდა იქნეს განხილული კერძოდ აკად. გ. მელიქიშვილისა და ჩემი ურთიერთობის საკითხი. ჩემს აღშფოთებას იმდენად მაღალტიტულოვანი ადამიანის ჩემდამი მომართული ქმედებანი კი არ იწვევს, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი ინერტიული, გულგრილი საზოგადოება, რომელიც ატროფირებულია აღშფოთების გრძნობისაგან, — კერძოდ ისტორიისა და ეთნოგრაფიის თანამშრომელთა უმრავლესობა, რომლისთვისაც უსამართლობის ჩადენა არაფერს ნიშნავს.




აქ მინდა დღევანდელი დეგრადირებულ-დაცემული საქართველოდან, სადაც ძირითადად მხოლოდ გამდიდრების სურვილი ბატონობს, სხვანაირ საქართველოში — ილიასა და სხვა ჩვენი დიდებული წინაპრების ქვეყანაში გადავინაცვლო და მოგაგონოთ, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ილია ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მიერ საქართველოს ისტორიის დაწერის მცდელობას. კარგი, ილია აღარ გვყავს, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს საზოგადოებრიობა, რომელსაც გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ჩვენი ისტორიის ახლებურად დაწერის საჭიროება!

დაბოლოს, ვფიქრობ, რომ ჩემი „კეთილმოსურნენი" ქვეცნობიერად გრძნობენ, რომ შემიძლია დასმული ამოცანის აღსრულება, თუ არა და მაშინ ისინი მე მადროვებდნენ (მოვიგონოთ ერთი პასაჟი ელდარ შენგელაიას მშვენიერი ფილმიდან: „რომ გაფრინდნენ?!").

და, სულ დაბოლოს: რასაკვირველია, აკადემიის ბიუროკრატთა მსგავსი ქმედებით მატერიალურ მხარეზე მეტად ჩემი პიროვნების ღირსების გრძნობაა შელახული. მაგრამ მორალურ რეაბილიტაციაზე მეტად ჩემთვის უფრო მთავარია საზოგადოებრიობამ გაიგოს, თუ რა ხდება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ქართველი ისტორიკოსთა წრეში და მთლიანად აკადემიაში, რომელსაც „მეცნიერების შტაბად" წარმოუდგენია თავი. მიუხედავად ჩემი „ფათერაკებისა", ცხადია, დასახულ მიზანს არ მოვეშვები და მას აუცილებლად აღვასრულებ.

**გურამ ყორანაშვილი**

## გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით

უახლოეს მომავალში პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებულია აღნიშნულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის განხილვა. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს ყველა დონის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების სრულიად ახალ წესს. სახელდობრ, ცვლილებების პროექტის თანახმად, საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლების დანიშვნის უფლება წართმეული აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, რაც დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად გამორიცხავს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას საერთოდ. კომისიების დაკომპლექტება ნავარაუდევია ძირითადად სახელმწიფო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო რეფორმა საქართველოში ჯერ დაწყების სტადიაშია, მათი დემოკრატიულ ინსტიტუტად წარმოდგენა ჯერ-ჯერობით ნაადრევია. საქართველო ბევრი მიზეზების გამო ჯერ არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ ქვეყანად, ამდენად დასავლეთის გამოცდილების ხელოვნური გადმოტანა დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაში ჯერ ნაადრევია.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი თვლის, რომ ზემოთაღნიშნული მოსალოდნელი ცვლილებები პირდაპირ მიმართულია ეროვნული და სხვა დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების გამოთიშვისაკენ საარჩევნო კომპანიიდან და დღევანდელი მმართველობის რეჟიმის გახანგრძლივებისაკენ.

მოვუწოდებთ პარლამენტს, მხარი არ დაუჭიროს აღნიშნული ცვლილებების შეტანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი პარტია და იმედია, მთლიანად ეროვნული და სხვა დემოკრატიული ძალები, გაჰვერთიანდებით ანტიდემოკრატიული ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, რამეთუ აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს საქართველოში ერთპარტიული ანტიეროვნული რეჟიმის დამკვიდრებას.

***სგრპ-ის ეროვნული კომიტეტი***

SPORT სპორტის სამყარო SPORT

# აბა რა გეგონათ რუსებო

საქართველოს ნაკრებს უკვე მეორედ მოუხდა ყველაზე საჭირო მატჩის გამართვა რუსეთის ნაკრებთან. ამ თამაშს მარტო სპორტული მნიშვნელობა რომ არ ჰქონოდა ყველას კარგად მოეხსენება. ალბათ ბედის ირონიაა ასეთ პრინციპულ მატჩში რუსეთის ნაკრები რომ შეგვხვდა.

შეხვედრის წინ რუსებს მცირე შანსი თუ ჰქონდათ ქვეჯგუფიდან გასვლისა. მათ ჩვენი ნაკრები უნდა დაემარცხებინათ და აუცილებლად სამი ლელო. რაც ჩემი აზრით თითქმის შეუძლებელია საქართველოს ნაკრები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა ჯგუფიდან გასასვლელად მათ იტალიის ნაკრების დახმარება სჭირდებოდათ. საქმე იმაშია, რომ იტალიას სათამაშებელი აქვს ხორვატიის ნაკრებთან მატჩი. იტალია თუ მოუგებდა ხორვატიას მაშინ, ჩვენებს კარგი შანსი უჩნდებოდათ ჯგუფიდან გასვლისა, სამწუხაროდ, იტალიელთა თხოვნით ეს მატჩი გადაიდო.

შედგებოდა თუ არა ეს მატჩი, ჩვენ მაინც ჩვენი საქმე გვქონდა გასაკეთებელი და როგორ გავაკეთეთ ამას ქვემოთ მოგახსენებს.

თამაში რუსების შეტევებით დაიწყო. იგრძნობოდა, რომ რუსები ამ თამაშისთვის საგანგებოდ იყვნენ მომზადებულები, მაგრამ ჩვენები მომხდურთ მედგრად დაუხვდნენ. როგორც ეტყობა რუსებს თავიდანვე ჰქონდათ განზრახული მატჩის დასაწყისში თუნდაც ერთი ლელო გაეტანათ, ჩვენმა მორაგბეებმა უკუაგდეს რა მოწინააღმდეგე გუნდი, თავად სცადეს შეტევების წამოწყება, და რამდენიმე ტაქტიკური შეცდომები დაუშვეს. რაც ჯარიმების ფასად დაუჯდა ჩვენს გუნდს. რუსებმა ორი ჯარიმის რეალიზაცია შეძლეს და ანგარიში ექვსით ნოლი გახდა სტუმართა სასარგებლოდ.

სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა ჩვენი ბიჭების ფიზიკური და ფსიქოლოგიური უპირატესობა. თითქოს ასეთ ანგარიშს ელოდნენო, საქართველოს ნაკრებმა ნელნელა დაიწყო თამაშის დალაგება.

შეტევაზე გადასული ჩვენი ბიჭების შეკავება რუსეთის ნაკრებს ძალზე გაუჭირდა და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, გახშირდა ჯარიმები. რუსეთის ნაკრების მსგავსად ჩვენებმა ორი ჯარიმა გამოიყენეს. ანგარიში გაყაიმდა. თამაშს ეტყობოდა რომ ჩვენი ბიჭები ამ ანგარიშზე გაჩერებას სულაც არ აპირებდნენ, სამწუხაროდ მათ დრო არ ეყოთ პირველ ტაიმში, თორემ წინ გასვლასაც მოახერხებდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჩვენებმა მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაიტანეს თამაში. სულ უფრო და უფრო გაუჭირდა რუსების ნაკრებს. ჩვენი ბიჭები თამაშის გაშლას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, სტუმრებმა ამის საშუალება არ მისცეს. ყოველივე ამის გაკეთებას ისინი ჯარიმების ხარჯზე ახერხებდნენ, მხოლოდ რუსებს ერთი გარემოება გამორჩათ მხედველობიდან, ჩვენ გუნდში ხომ იმ დღეს ჯარიმების ოსტატი თამაშობდა. მანაც ჩვეული ოსტატობით სამიდან ორი ჯარიმის რეალიზაცია შესძლო და საქართველოს ნაკრები ექვსი ქულით დაწინაურდა. თითქოს რუსები გამოფხიზლდნენო, რამდენიმე შეტევის განხორციელება სცადეს. ჩვენები კვლავ ცდილობდნენ მოწინააღმდეგე გუნდის ნახევარზე თამაშს. სამწუხაროდ ერთ-ერთი შერკინების დროს ჩვენმა მორაგბეებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და კინაღამ დავისაჯეთ. ინიციატივა რუსების ხელში გადავიდა. იგრძნეს რა თამაშის გარდატეხა გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს. ჩვენს ბიჭებს თითქოს ლელოს გატანასაც არაფერი უკლდა, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი ბიჭების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ჩათვლის მოედანთან თითქმის ერთ მეტრში იმყოფებოდნენ რუსები. ბურთი ხან მარცხნივ გადაიტანეს, ხან მარჯვნივ როდესაც არაფერი გამოუვიდათ, ცენტრიდან დააპირეს ძალისმიერად ჩათვლის მოედანზე შეღწევა, აქაც ივარგეს ჩვენმა ბიჭებმა და მოწინააღმდეგე გუნდს ერთი მტკაველიც არ დაუთმეს. ეს იყო ყველაზე მძიმე წუთები ამ მატჩში.

ჩვიდმეტ წუთიან მონაკვეთში რამდენიმე ჯარიმა დაინიშნა რუსების სასარგებლოდ. ისინი პრინციპულად არ ურტყამდნენ ჯარიმებს და ცდილობდნენ ყველანაირი ხერხებით ბურთის ჩათვლის მოედანზე შეღწევას. ჩვენდა საბედნიეროდ მათ ეს ვერ მოახერხეს. ერთ-ერთ ეპიზოდში ხაზთან მისულ რუსს ბურთი ხელიდან გუვარდა. სწორედ ეს გახდა გარდატეხის მომენტი. თამაშმაც ნელ-ნელა ცენტრში გადაინაცვლა, როგორც ეტყობა ამ სათამაშო ეპიზოდმა რუსები ძალზე გადაღალა. შერკინების დროს ვერ უძლებდნენ ქართველების მიწოლას და ჩაწოლილნი შლიდნენ შერკინებას.

ქართველემა უფრო და უფრო მედგრად შეუტიეს და თავის ნახევარზე მიაჯაჭვეს მეტოქე. უკვე ცხადი გახდა, რომ ამ თამაშის დამთმობი ჩვენი ბიჭები აღარ იყვნენ. აღსანიშნავია აგრეთვე გულშემატკივართა მხარდაჭერა ჩვენი ნაკრების მიმართ. მართალია, თამაშის დროს გვარიანად წვიმდა, მაგრამ არცერთ კაცს სტადიონიდან ფეხი არ მოუცვლია. მათი შეძახილები კი ერთი ორად მუხტავდა ჩვენს ბიჭებს. რაგბი ისე როგორც სპორტის სხვა სახეობები მაყურებლებისთვის რომ არსებობს, ამაში ორი აზრი არ არსებობს. იმ დღეს კი ჩვენი მაყურებელი გუნდთან ერთად ებრძოდა მოწინააღმდეგე გუნდს. მათი დიდი დამსახურებაა ჩვენმა ბიჭებმა ასე ეშხიანად რომ ითამაშეს, ყველაზე მთავარი კი გამარჯვებაა, გამარჯვება ძლიერ გუნდზე და თანაც რა საჭირო დროს. საქართველოს ნაკრებმა სათანადო ადგილი მიუჩინა რუსეთის ნაკრებს.

პრესკონფერენციაზე ჩვენი გუნდის კონსულტანტმა მაღალი შეფასება მისცა თამაშს და აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრებმა ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელი აქვსო. მან აქვე აღნიშნა, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ შემდეგი სიმაღლეების დასაძლევად რათა საქართველოს ნაკრებმა ღირსეული ადგილი დაიკავთოს მსოფლიო რაგბის ოჯახში.

რაც შეეხება რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მისი განცხადებით თურმე ჩვენთვის დაუმიათ თამაში. მან ეს იმით ახსნა, რომ რუსეთის ნაკრებს სამი ლელო უნდა გაეტანა და ვინაიდან მათ ეს ვერ შეძლეს თამაშის დასაწყისში, ამიტომ ქართველებისთვის დაუთმია გზა.

უცნაური განცხადებაა. როგორც ეტყობა მას უკან დაბრუნებულს მაგრად მოხვდება და აქედანვე იზღვევდა თავს.

სამაგიეროდ ჩვენმა კონსულტანტმა იუმორით აღნიშნა: რუსები რომ თავაზიანი ხალხი იყო ადრეც ვიცოდიო, მაგრამ ასეთი თავაზიანები თუ იყვნენ ნამდვილად არ მეგონაო. ასე იყო თუ ისე, ღირსეულად გავიმარჯვეთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ რომ ჩვენ საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს.

ვუსურვოთ ჩვენს მორაგბეებს კიდევ ბევრი გამარჯვებები და უფრო მეტი სიხარული მოეტანოთ ქართველი ხალხისათვის.

## შესწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „ენთუზიაზმს მხარში ამოდგომა უნდა, თორემ?!“ გაიპარა შეცდომა. უნდა იყოს:

სპარტაკ სახოკიას აქვს შავი ქამრის პირველი დანი, და ამ საფეხურის მფლობელები საქართველოში მხოლოდ ორნი არიან.

აშიჰარა ბუდი კაიკანი არ არის აშიჰარა კარატეს განხრა, ეს აბსოლუტურად იგივეა.

ამ სახეობის საქართველოში ფუძემდებელი და მისი ლიდერი არის მირიან ჟღენტი!

# სამეფო გუნდის ბოლო აკორდი

## რეალი – იუვენტუსი
## 1 0

**რეალი:** ილგნერი, იერო, სანჩისი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, რაული (ამავისკა), კარამბუ, ზეედორფი, რედონდო, მიატოვიჩი (შუკერი), მორიენტესი (ხაიმე).

**იუვენტუსი:** პერუცი, ტორიჩელი, მონტერო, იულიანო, დილივიო (ტაკინარდი), დეშამპი (კონტე), დევიდსი, პესოტო (ფონსეკა), ზიდანი, დელ პიერო, ინძაგი.

**გოლი:** მიატოვიჩი

ამ გამარჯვებას მადრიდული კლუბი 30 წელი ელოდა. ამსტერდამში იყო



ყველაფერი, რაც დიდი საფეხბურთო სპექტაკლის შემადგენელი ნაწილია — დიდებული თანამედროვე სტადიონი „ამსტერდამ არენა“, სავსე ტრიბუნები, გულშემატკივართა შეძახილები და მინდორზე მოპაექრე ჩემპიონთა ლიგის შესაფერისი ორი სუპერ კლუბი, რომლებიც არაერთხელ გამხდარან ამ ჯილდოს მფლობელნი. იუვენტუსი ბოლოს



ჩემპიონთა თასს 1996 წელს ფლობდა. რეალი კი სულაც 1966 წელს. ორივე გუნდის გულშემატკივრებს ეს კითხვები აწუხებდათ. შეძლებდა „იუვე“ შარშანდელი დორტმუნდში განცდილი მარცხისათვის რეაბილიტაციას თუ რეალი აიღებდა თასს მეშვიდედ. ერთმანეთის პირისპირ მართლაც თანაბარი ძალის, ვარსკვლავებით გაძეძგილი გუნდი იდგა. თამაში თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო. მცირე ტერიტორიული უპირატესობა იტალიელების მხარეს იყო, მაგრამ გუნდს აშკარად ეტყობოდა გადაღლა. ზიდანი სათანადოდ ვერ ირჯებოდა, ინძაგი და დელ პიერო მარტონი ცდილობდნენ მომენტების შექმნას. მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. „რეალმა“ თამაში თანდათან გაათანაბრა და საკმაოდ მწვავეთაც შეუტია. მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა „იუვენტუსი“ ცდილობდა თამაშის დალაგებას და შეტევების განხორციელებას, „რეალი“ კი ზუსტად მოქმედებდა დაცვაში სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა „იუვეს“ და მეტოქის შეცდომას ელოდა. ეს დროც დადგა. რობერტო კარლოსის ძლიერი დარტყმა იტალიელთა საჯარიმოში „იუვეს“ ჯერ ერთ მერე მეორე მცველს მოხვდა და კარის სიახლოვეს მდგომ მიატოვიჩს მიუვიდა. მანაც დიდოსტატურად დაამუშავა ბურთი, პერუცი დაჯაბნა და კარის დაუცველ კუთხეში დაარტყა. „იუვენტუსს“ დარჩენილ დროში შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. თამაშის მიწურულს დევიდსი შეიჭრა რეალის საჯარიმოში, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო მაგრამ ჰოლანდიელი ლეგიონერის დარტყმა ილგნერს პირდაპირ ხელებში მიუვიდა. ეს იყო და ეს. გერმანელი არბიტრის ჰელმუტ კრუგის სასტვენმა ესპანელთა გამარჯვება დააფიქსირა. „იუვენტუსი“ ზედიზედ მეორედ დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ესპანელთა სამეფო გუნდმა კი სეზონი მართლაც მეფურად დაასრულა. მეშვიდედ დაეუფლა სანუკვარ თასს. ნამდვილად ფანტასტიური შედეგია.

# რუსებთან ერთად ლობანოვსკის მვესტუმრება

უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ 30 მაისს თბილისში საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა გაიმართება. უკვე ორივე ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა გამოაცხადეს ის ფეხბურთელები, რომლებიც მოემზადებიან ამ მატჩისათვის. საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა შესახებ ჩვენი გუნდი უკვე ინფორმირებულია. რაც შეეხება რუსებს, ისინი შემდეგი შემადგენლობით ჩამოვლენ:

**მეკარეები:** ალექსანდრე ფილიმონოვი (სპარტაკი), სერგეი ოვჩინნიკოვი (ბენფიკა), სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი).

**მცველები:** იური კოვტუნი (დინამო მოსკოვი), არტურ პაგაევი (ალანია), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო), ომარ თეთრაძე (რომა), იგორ ჩუგაინოვი (ლოკომოტივი), დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), ალბერტ ბორზენკოვი (როტორი).

**ნახევარმცველები:** ალექსეი გერასიმენკო (დინამო კიევი), ანდრეი ტიშკოვი (სპარტაკი), დმიტრი ალენიჩევი (სპარტაკი), ვლადიმერ რადიმოვი (სარაგოსა), სერგეი სემაკი (ცსკა), ილია ციმბალარი (სპარტაკი).

**თავდამსხმელები:** ვლადიმერ ბესჩასტნიხი (რასინგი), დენის ზუბკო (როტორი), იგორ სიმუტენკოვი (რეჯანა).

გარდა ამისა, როგორც ჩვენმა კიეველმა კორესპონდენტმა გვაცნობა, 30-ში თბილისში გვეწვევა კიევის დინამოსა და უკრაინის ნაკრების მწვრთნელი, ვალერი ლობანოვსკიც. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის და უკრაინის ნაკრებები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ერთ შესარჩევ ქვეჯგუფში მოხვდნენ და ლობანოვსკის მიზანს თავისი მომავალი მეტოქის ხილვა და მისი თამაშის გაანალიზება წარმოადგენს. თუმცა ვალერი ვასილიჩის ვიზიტს სხვა დატვირთვაც აქვს. როგორც მან კიეველ ჟურნალისტებს განუცხადა, კიევის დინამო დაინტერესებულია რიგის სკონტოს და საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა მცველით, დავით სილაგაძეთი და გამოცდილ უკრაინელს აინტერესებს, თუ როგორ ითამაშებს სილაგაძე ესოდენ მაღალ დონეზე.

# მეჰმედ შოლს ბაიერნში თამაში აღარ სურს

სახელგანთქმული გერმანული კლუბის, მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველს, მეჰმეთ შოლს აღარ სურს მიუნხენში დარჩენა და გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. ამის მიზეზია ის, რომ ფეხბურთელის თქმით მას ბაიერნში არც თუ კარგად ეპყრობიან. შოლისთვის მიმდინარე სეზონი მეტად რთული გამოდგა. მის ტრავმას ზედ დაერთო ოჯახური პრობლემები, რაც მეუღლესთან გაყრაში გამოიხატა. შოლის აზრით, მისთვის უკეთესი იქნება, თუ იგი სხვაგან გადავა. არადა, გერმანელი ნახევარმცველით ორი ესპანური გიგანტი, ბარსელონა და რეალი არიან დაინტერესებული, რომლებსაც ჯერ კიდევ შარშან სურდათ შოლის გადაბირება.

თუმცა სხვა კლუბების და თავად მეჰმეთ შოლის სურვილი არ არის საკმარისი. როგორც ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, გუნდი არ აპირებს შოლის გაყიდვას. რუმენიგეს თქმით: „შოლს ბაიერნთან 2002 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი. ჩვენთან ამხელა ვადიანი ხელშეკრულება არცერთ ფეხბურთელს არა აქვს გაფორმებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ ძვირფასია შოლი ჩვენთვის.“

**გვერდი მოამზადა**
**გიორგი დოლიძემ**

# ვის წყევლიან „თურქეთში მოღვაწე“ ქართველი ქალები?!

ჩემს წინ ტირილისაგან თვალებშეშუპებული ლამაზი ქალბატონი ზის და უკვე გულგახსნილი თურქეთში „მოღვაწე“ ქართველ მეძავეებზე აგრძელებს თხრობას.

გულისყურით ვუსმენ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მახსენდება ასეთი გამონათქვამის სიმართლე: „თუ ლამაზი ქალის სახეზე ცრემლი არ გინახავს, ნუ იტყვი მშვენიერება მინახავსო“...

— აქ, არაფერი საშველი არ მქონდა და თურქეთში წავედი სამუშაოდ. რა მექნა, ჩემი ბიჭი დაიჭირეს, რადგან მალაზიიდან შარვალი მოიპარა. ნამდვილი ბანდიტები და მართლა ქურდები კი გარეთ, ქუჩაში დადიან. ვიფიქრე, წავალ და შვილს დავიხსნი-მეთქი.



ისედაც ყოველთვის მეცოდებოდა, მამა რომ არ ჰყავს...

იმ პერიოდში, როცა რიზეში ჩავედი, „ბაირამობის“ დღესასწაული იყო და კანონიც უფრო გამკაცრებული იყო. თუ დაგიჭერდნენ, პასპორტს გაგიფუჭებდნენ და უკან გამოგაძევებდნენ გამოუცდელი ქალისათვის საშინელებაა პირველად თურქულ სამყაროში მოხვედრა. რა სამსახური, რის სამსახური! ბევრი ოჯახის ქალიც სასტუმროში მუშაობს და სხეულს ჰყიდის... ქმრებს კიდევ ჰგონიათ, მალაზიაში ან სადმე კარგ ადგილას მუშაობს მისი ცოლი.

— **როგორ, თქვენ ამბობთ, რომ ყველა ასე იქცევა?**

— უმეტესობა, რადგან მე თვითონ რამდენიმე ხანს „კაფეტერიაში“ ვიმუშავე, სადაც დაახლოებით დღეში 6 დოლარს მიხდიდნენ. ეს თანხა კი ღამის გასათევად და საჭმელად მყოფნიდა მხოლოდ. მერე ანტალიაში წავედი ერთ ქურთ გოგოსთან ერთად. იქ ვიღაც ორი იქაური ქურთი მამაკაცი გავიცანით, მათ გვითხრეს, მაინც ჩვენები ხართ და სამსახურს ჩვენ გაშოვნინებთო. მერე სადღაც ბინაში დაგვტოვეს და წავიდნენ. გული ცუდს მეუბნებოდა და წამდაუწუმ ფანჯარაში ვიხედებოდი, ცისფერთვალება თურქის ბიჭი შორიდან რაღაცას მანიშნებდა, მერე მის პირის მოძრაობას დავაკვირდი და მკაფიოდ გავარჩიე სიტყვა — მაფია. ჩვენ გარედან ჩაკეტილები აღმოვჩნდით, მეორე სართულიდან როგორღაც ჩამოვბობღდით და დღესაც ეს ყველაფერი კინოში ნანახი ამბავი მგონია...

უკანმოუხედავად გავრბოდით, სადგურში გაჩერებასთან მივაღწიეთ, მაგრამ ეს ორი ქურთი და კიდევ სამი „მაფიოზა“ დაგვეწივნენ. მათ ჩვენზე ანიშნეს დანარჩენებს. ერთმანეთში კამათობდნენ. ოლიას ენა ესმოდა და სახეშეშლილმა მითხრა: „დავიღუპეთ, ჩვენ უკვე გაყიდულები ვართ, ამ კაცს ჩემი სიმაღლე არ მოსწონს და ამაზე ჩხუბობენო“.

ირგვლივ პოლიცია ტრიალებდა, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ. „ახალი პატრონი“ მოგვიახლოვდა და მკაცრად გვითხრა. რატომ წამოხვედით დაუკითხავად, ჩვენ სამსახურსაც გთავაზობთ და საცხოვრებელსაც. კანკალით მადლობა ვუთხარით, მაგრამ ჩვენ აღარ გვინდა აქ ყოფნა, სამშობლოში მივდივართ! — გამოვაცხადეთ უკვე მტკიცედ. სატანური სიცილით დამცინავად მკითხეს: „რომელ სამშობლოშიო?“ ეს იყო ისეთი შეურაცხყოფა, რასაც ვერ აგიხსნით. მე ვერ ვახსენე ჩემი საქართველო. ჩემსავით გაუბედურებული და დასაცინი... ძალით წაგვათრიეს, არავინ მოგვშველებია.

ახალ პატრონებს დაპატიმრებულივით, ჩაკეტილები ვყავდით. სტუმარი კაცები ყოველდღე მოჰყავდათ, გვაწამებდნენ, გვცემდნენ და მთელ ფულსაც თვითონ იჯიბავდნენ.

ერთხელაც, ვიღაცეები მოიყვანეს, ფული აიღეს და მარტო დაგვტოვეს. ახალმა ნაცნობებმა დალიეს, თავიდან თავაზიანად იქცეოდნენ, მერე კი, არ მინდა გახსენება... სიმაღლეზე ხელებით დამაბეს და მაწამებდნენ. ტკივილებისაგან გული წამივიდა, ხელები მომტყდა და ისე ვეკიდე. როცა გალეშილმა სტუმრებმა დაიძინეს, ოლიამ ერთს ფული ამოაცალა, მოახერხა და დაბალი ფანჯრიდან თითქმის გადამაგდო. ტაქსში გვარიანი თანხა გადავიხადეთ და ხოფაში წავედით.

იქ საავადმყოფოში ვიწექი, ვმკურნალობდი, არ მინდოდა შვილთან ცარიელი ჩამოვსულიყავი, მაგრამ... სულ მახსოვს თურქების დამცინავი ნათქვამი: „რომელ სამშობლოში?“ — და ჩემი პასუხის გაუცემლობა... ძალიან შემეცოდა მაშინ ჩვენი საქართველო...

— **ეხლაც არ გასცემდით პასუხს? თქვენ ხომ იქ აღარასოდეს წახვალთ და არც იმ სახით იმუშავებთ, როგორც სხვები?**

— ძალიან მინდა, რომ ჩვენი ქალები იქ აღარ იყვნენ, მაგრამ აქ არ არის სამსახური, რას ეტყვი — მე წამოვედი, შენც ნუ იზამ მაგასო?! — შეიძლება გიპასუხოს „შენ შნო არ გაქვსო“. რა არ მინახავს, აღარაფერი მიკვირს, არაფერი მიხარია, ხოფაში ერთ სასტუმროში 25 ჩვენი გოგო მუშაობს, უმეტესობა რაიონებიდანაა ჩასული. მთელი დღე გარეთ ვერ გამოდიან, რადგან კანონი ძალიან გამკაცრებულია და ეშინიათ პოლიციის... თუ დაიჭირეს, ძალათ შეურაცხყოფენ, მერე პასპორტებს უფუჭებენ და იქიდან აძევებენ.

კლიენტი ზოგს 50 დოლარს აძლევს, ზოგს უფრო მეტს. ისე, არის „ჩალიჩნოი ოტელები“, სადაც 100 დოლარსაც უხდიან ახალგაზრდა, ლამაზ ქალს.

— **ეს ქალები თუ არიან შემოწმებულები, როცა ფეხმძიმდებიან, ვინ ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე?**

— ქალები კი არიან შემოწმებულები, მაგრამ კლიენტი როგორი შეხვდება, არავინ იცის, სპეციალური ნემსებია და ამ ნემსებს თვითონ ქალები შოულობენ, რომ გაიკეთონ. ქალი მხოლოდ ოტელში ცხოვრობს, მის ჭამა-სმაზე და დაზღვევაზე პასუხს არავინ აგებს. ნამუშევარი თანხაც თითქმის ნახევრდება — მეპატრონესთან.

დასავლეთელი გოგო იყო ნინო, დედ-მამა არ ჰყავდა, ძალიან უჭირდა და „სამუშაოდ“ თურქეთში წამოსულა, სასტუმროში ვიღაც თურქისაგან დაფეხმძიმდა, მან მალე მიატოვა. ნინოს დიაბეტი ჰქონდა და ოთხი თვის ფეხმძიმე გარდაიცვალა. ბავშვი დროზე რომ მოეცილებინა, გადარჩებოდა, მაგრამ იქ აბორტი ძალიან ძვირი ღირს.

ხშირად ქართველი ქალები თურქებისაგან ფეხმძიმდებიან და აბორტის გასაკეთებლად საქართველოში მოდიან.

ერთმა ქმრიანმა ქალმა, ვიცი, რომ თურქის ბავშვი აქ გააჩინა და ბავშვი 400 ლარად საქართველოში გაყიდა, ოღონდ სწრაფად დაბრუნებულიყო „სამსახურში“ და ქმარს ეს ამბავი არ გაეგო!..

ოჯახს კი ჰგონია, ბავშვი ქართველისაა... ათასნაირი შემთხვევაა...

დილა-საღამოს ქართველი ქალები „ჩვენმა მთავრობამ, ჩვენი ცოდვით არ გაიხაროსო“, ასე იწყევლებიან თურქეთში.

— **ქალების გარდა, იქ ჩვენი კაცებიც მუშაობენ მშენებლობაზე. ისინიც თუ იწყევლებიან?**

— ისინი იგინებიან კიდეც და ისე იწყევლებიან... კაცის წყევლა ჩემს მტერს, ალბათ, გაგიგონიათ.

იაფად, ვირებივით მუშაობენ — მთელი დღე დიდი-დიდი 8 დოლარისათვის.

არ გაიხარონ, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვაგდო, სამსახური იყო, ყველაფერი. რა ვქნა, არაფერი მე არ მეხერხება, ისევ თურქეთში წავიდე?

— **აქ რომ ბორდელი იყოს, იმუშავებდი?**

— იქნებ სჯობდეს კიდეც, რომ იყოს, მაგრამ მე აქ არ ვიმუშავებდი... მაინც ქართველი ქალი ვარ, მრცხვენია, არადა, სხვა საქმეზეც ვერ ვიმუშავებ. „მაფიოზებთან“ შეხვედრის მერე, მარჯვენა ხელზე მოძრაობის უნარი დაკარგული მაქვს.

ნათქვამის დასამტკიცებლად ქალმა ხელები მაჩვენა და დიდრონი, ლამაზი თვალებიდან ცრემლები მოსწყდა.

**ძ. ჩ.**

# იქ, სადაც ხალას ნიჭს შუამავალი არ სჭირდება...

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე ნამდვილად დიდ და საჭირო საქმეს ემსახურება.





საქართველოში ძველთაგან ცნობილი ნათესაობა და ნაცნობობა აქ არ სჭრის. ნამდვილად ნიჭიერ ახალგაზრდას შუამავალი მეცნიერებასთან არ სჭირდება. მომავალი თაობა აქ იზრდება იმ რწმენით, რომ მხოლოდ საკუთარი ცოდნით გაიმარჯვებს!

14-15 მაისს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში ჩატარდა მოსწავლეთა 52-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია.

წლევანდელი კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 80 წლისთავს.

აღსანიშნავია, რომ 1945 წლიდან ეს ღონისძიება ტრადიციულად იმართება ყოველ გაზაფხულზე.

კონფერენცია ჩატარდა 4 ტურად. მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს ყველა რაიონის სკოლებიდან წარდგენილმა ნიჭიერმა ბავშვებმა. მოსწავლეებმა შესანიშნავად დაიცვეს თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი, რის გამოც პროფესორ-მასწავლებლების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ მოხვეული სტუმრები: აკადემიკოსი, ბატონი ევგენი ხარაძე, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, განათლების მინისტრის მოადგილე, ბატონი თამაზ ტატიშვილი, მწერალი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, რომლებიც ულოცავდნენ კონფერენციის მონაწილეებს გამარჯვებას.

მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სამინისტროს სიგელები, ასევე ჯილდოები.

ძვირფასი საჩუქრები და პრიზები დააწესეს მომავალი თაობის გულშემატკივარმა ფირმებმა. „ღია საზოგადოება საქართველომ“, რომელიც ზედიზედ 2-ჯერ მონაწილეობდა ამ შეკრების დაჯილდოება-დაფინანსების ცერემონიალზე, „ალმატიბისი“, „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯია“, მალაზია „ბარბი“, აფთიაქი „ზემელი“, ხოლო ჟიული შარტავას ფონდი წლების მანძილზე აქტიურად იღებს მონაწილეობას და სპონსორობას უწევს კონფერენციას.

რესპუბლიკურ სასახლეში მუშაობს 25 სხვადასხვა სექცია.

ღირსეულებმა დასკვნით ტურზე მიიღეს ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის წიგნები „ვეფხისტყაოსანი“ და „ძველი თბილისი“.

მონაწილენი ძირითადად მაღალი კლასის მოსწავლეები იყვნენ. ყველაზე პატარა მონაწილემ — მეოთხეკლასელმა სიღნაღელმა მოსწავლემ ფარნავაზ შაიშმელაშვილმა სამართლისმცოდნეობის სექციაში წარადგინა თემა „უფლება“.

განსაკუთრებით მადლიერების სიტყვები გვინდა მივუძღვნათ სასახლის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მეთოდურ კაბინეტს. მეთოდისტებმა შეძლეს ჩაეტარებინათ დიდი მუშაობა, ჩამოეყვანათ განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები ხულოს, ადიგენის და სხვა მაღალმთიანი რაიონებიდან.

* * *

16 მაისს, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ეზოში თავი მოეყარათ სტუმრებს — თბილისის სხვადასხვა სკოლებიდან წარგზავნილი მე-6 კლასის წარჩინებულ მოსწავლეებს უფასო ტესტირების გასავლელად.

ტესტირება მომზადებული იყო ქართულ ენაზე და მასში შედიოდა ექვსი სხვადასხვა ტესტი. იგი ჩატარდა ქართულში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში და ლოგიკურ აზროვნებაში. გამოცდის ხანგრძლივობა იყო 110 წუთი, პასუხი უნდა გაეცათ 90 საკითხზე.

მონაწილეთა შორის იყო ქალაქის 75-ე საშუალო სკოლაც. ახალგაზრდა მათემატიკის მასწავლებელმა მარიცა ყვავილაშვილმა გამარჯვების იმედით მიაცილა ტესტირებაზე წარჩინებული მოსწავლეები: დათო ბერუაშვილი, სალომე ჩხაიძე, სოფიკო მელაძე, დები თათია და თეა ჩხენკელები...



დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ფიზიკის პედაგოგმა ომარ ჩირიკმა მშვენიერი სასწავლო „ექსკურსია“ მოგვიწყო აქ მონაწილე ბავშვების ბედით დაინტერესებულ ჟურნალისტებს.

ბავშვები ხალისიანად ავსებდნენ რთულ ტესტებს და გაკვირვებულები უყურებდნენ „ყველა ენაზე“ მოსაუბრე თურქ პედაგოგებს და უხაროდათ ამ სახის შეჯიბრება, რადგან პირველ ადგილზე გასული მოსწავლე დაჯილდოვდება კომპიუტერით. მეორე ადგილზე გასული ველოსიპედით, მესამეზე — ვოლქმენით.

სკოლაც, რომელსაც ეყოლება ყველაზე მეტი გამარჯვებული ბავშვი ქულების საერთო რაოდენობით, მიიღებს კომპიუტერს.

მეხუთე წელია კოლეჯის დირექტორია ბატონი დურან სუნგური. პროფესიით ფილოლოგი, თურქულის სპეციალისტი. მისი მშობლიური ქალაქი — ანტალიაა, მუშაობდა თურქეთში, ქალაქ დენიზლში პედაგოგად. ამჟამად აქ მუშაობს და ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ჰყავს ქალ-ვაჟი.

მან საუბარში აღნიშნა, რომ წელს პირველად მოეწყო ამ სახის შეჯიბრება კოლეჯში. თურქული სასწავლო ფირმა „ჩაღლარი“ დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა მიიღოს და მისცეს საშუალება მათ გაიღრმავონ ცოდნა. კოლეჯში სწავლობენ ინგლისურ ენაზე. თურქულ ენას სწავლობენ მხოლოდ შერჩეული ბავშვები.

ყოველ წელს იცვლება სასწავლებელში საგადასახადო თანხა, რომელიც სხვადასხვა კლასში სხვადასხვაა. მაგალითად, მეექვსე კლასში 150 დოლარით განისაზღვრება სწავლების ფასი, ხოლო მაღალ კლასებში თანხა თანდათან მატულობს.

წარჩინებული მოსწავლეები 50% ფასდაკლებით იღებენ განათლებას.

FSA საპროგრამო გამოცდების წარმატებით ჩაბარება და ერთი წლით ამერიკის სკოლებში სწავლების უფლება მოიპოვეს კოლეჯის მოსწავლეებმა თათია კაპანაძემ, ოთარ შარიქაძემ, ნათია და ნინო ადამიებმა და ბექა თორიამ.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გამართულ რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციაზე მონაწილეთა შორის დემირელის სახელობის 12 მოსწავლეც გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა...

ზარი დაირეკა. გამოცდა დამთავრდა. ბავშვები რამდენიმე დღეში გაიგებენ, თუ ვის შეხვდება კომპიუტერი.

**ძეთი ჩადუნელი**

# პოლიტიკურ მეცნიერებათა საყურადღებო ლექსიკონი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და ფილოსოფიის კათედრამ მოამზადა და გამოსცა შოთა ჯაფარიძისა და თენგიზ მოისწრაფიშვილის მეტად საინტერესო ნაშრომი „პოლიტოლოგიის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც ქართულ ენაზე პირველი, ამასთან წარმატებითი ცდაა. ლექსიკონი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და პოლიტოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. ლექსიკონის რედაქტორია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბადრი ნაკაშიძე.



ლექსიკონის ერთ-ერთ ავტორს, ცნობილ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის გამგეს შოთა ჯაფარიძეს გამოქვეყნებული აქვს საქართველოს უახლესი ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 20-მდე მონოგრაფიული გამოკვლევაა.

სარეცენზიო ლექსიკონი შეიცავს და ამომწურავ განმარტებას იძლევა პოლიტოლოგიის 150-მდე ისეთ ტერმინებსა და კატეგორიებზე, როგორიცაა — „ავტოკრატია“, „ავტორიტარიზმი“, „ბონაპარტიზმი“, „კონფედერაცია“, „ოლიგარქია“, „პლუტოკრატია“, „პარადიგმი“, „პოლიტიკური სისტემა“, „პოლიტიკური კულტურა“, „პოლიტიკური ელიტა“, „უნიტარული“ და სხვა.

მასში აგრეთვე შეტანილია მსოფლიო მნიშვნელობის აღიარებული ისეთი პოლიტიკური დოკუმენტები, როგორიცაა — საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დამფუძნებელი კრების მიერ 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, 1776 წლის 4 ივლისს ამერიკის ცამეტი შეერთებული შტატის კონგრესის მიერ მიღებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ და სხვა.

ამასთან, ჩვენი აზრით, სასურველია ლექსიკონის მეორე გამოცემისას ავტორებმა შეიტანონ შემდეგი პოლიტიკური ტერმინები და კატეგორიები: „კონსერვატიზმი“, „ლეგიტიმურობა“, „ოხლოკრატია“, „პოლიარქია“, „პოპულიზმი“, „პოლიტიკური პროცესი“, „ხარიზმა“, „ელექტორატი“, „სამართლებრივი სახელმწიფო“, „სამოქალაქო საზოგადოება“, „ინტერესთა ჯგუფები“, „იმპიჩმენტი“, „ისტებლიშმენტი“, „პოლიტიკური პლურალიზმი“, „სოციალური სახელმწიფო“ და სხვა.

შოთა ჯაფარიძისა და თენგიზ მოისწრაფიშვილის ლექსიკონი შედგენილია საზღვარგარეთის მოწინავე და სამამულო პოლიტიკური აზრის გათვალისწინებით. იგი კარგი საჩუქარია საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

**შოთა თეთვაძე**
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი*

## სატირა

*ნიკოლოზ იოსებიძე*

### რა დროს დავა და ქიშპია!*

ცხოვრება ისე გაძვირდა
სიცოცხლე ისე გაძაღლდა,
რომ ხალხის დიდი ნაწილი
სასაფლაოზე "დასახლდა".
ქართველის საუბედუროდ,
ასრულდა რუსის ოცნება,
ცოცხალ და, დღეს ვინც სულდგმულობს,
ის ხალხიც დაიხოცება.
ქართულ მიწაზე იცხოვრებს
რუსი, სომეხი, თათარი,
არც სხვები ითაკილებენ,
სარბევად ყველა მზად არის.
ჩვენ ვლანძღოთ ერთმანეთი და
ვხოცოთ, შევმუსროთ, ვარბიოთ,
მაღალ ჰოსტებზე ვინ დავსვათ,
ის ვიფიქროთ და ვარჩიოთ.
ნუთუ სიცოცხლეს შვილების,
ძვლებს პაპების და მამების,
არჩიეთ თქვენი ჰოსტები
და მინისტრების სკამები!
რა დროს დავა და ქიშპია,
კაცები ხართ თუ ქალები,
ხალხო, რა ჭირმა დაგვისოთ
ეგ დასათხრელი თვალები!
სამარხებლოს თუ დავკარგავთ,
ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს,
საფლავიც ალარ გვეკუთვნის
საქართველოში ალარც ერთს!

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია თანაგრძნობას უცხადებს ელგუჯა ჩხაიძეს დედის

**ელენე რომანოზის ასული სტურუა-ჩხაიძის**

გარდაცვალების გამო.




თქვენი
საუკეთესო
არჩევანი

TURQUOISE
EAU DE
PARFÜM



**ექსპრეს აუდიტ სერვისი**

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*
*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



*გამოიწერეთ გაზეთი*

# „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

– მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
– გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
– დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
– ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
– აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
– რ.თაბუკაშვილის ქ. №12
– ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
– ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 5. კათალიკოსი; 6. გარემო; 7. „ლონდრე“; 9. რეზა; 10. კლუბი; 12. ასაკი; 14. „ვარძია“; 16. რეზინი; 17. ზაარი; 18. ექმი; 19. ინდიგო; 22. „ჟრემია“; 24. სირენა; 25. ინდირა; 26. ნერონი; 27. ტიარა; 28. იმანი.

**შვეულად:** 1. სახელი; 2. კატორღა; 3. ოკულარი; 4. ქსენია; 6. გულისნადები; 8. ერკონდიშენი; 11. ბურვილი; 13. სარდელი; 14. ვერძი; 15. აკინო; 20. ნიჟარა; 21. გრანდი; 23. აფიშა; 24. სერია.

## ჩაინვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა




1-3. ადამიანის, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების და სხვადასხვა სამხედრო ნაგებობათა დამცავი საშუალება; 2-5. მწვანილი სამზარეულოში, ძლიერი შარდმდენი საშუალება ხალხურ მედიცინაში; 4-7. იტალიელი ხალხის ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისა და თავისი ქვეყნის გაერთიანებისათვის; 6-9. იტალიელ კომუნისტთა ბელადი; 8-11. ქართული ღვინო; 10-13. უკანასკნელი მეფე რომანოვების დინასტიიდან; 12-15. ჭრელი იაფფასიანი სამკაულები (მეხუთე ასოს შემდეგ-დეფისი); 14-17. ალერსი, მოფერება; 16-19. აკაკი წერეთლის ლექსი; 18-20. ქალაქი ისრაელში (მესამე ასოს შემდეგ-დეფისი); 20-21. საქონლის საკვები ბალახი; 22-23. ძროხის ნაშიერი; 23-25. ორმაგი ანუ...; 24-27. საქონლის ღირებულება, ფულით გამოხატული; 26-29. ოქროს ან ვერცხლის ძაფი (ოქრომკედი); 28-30. ნაცვალსახელი; 31-33. სმენის განსავითარებელი ვოკალური ვარჯიში; 32-34. იტალიელი ფერმწერი (XIII-XIV საუკ); 34-35. ცალკე სადგომი სახლში; 36-37. ჭენება (მაგალითად, ცხენისა); 37-39. მღვდელი ნ. დუმბაძის რომანიდან; 38-40. გზის სიგრძის საზომი ერთეული (სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია).

## განცხადებები

იყიდება გორგასლის ქუჩაზე ბალნეოლოგიური კურორტის გვერდით მაღალჭერიანი ერთოთახიანი ბინა, პირველ სართულზე, ბინა ნაწილობრივ სარემონტოა. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიაკითხეთ მისამართზე: მატროსოვის 52/2 ტატეოსიანი ალა ან რომა. ფასი შეთანხმებით.

იყიდება სამხედრო კარავი 80 კაციანი (ფანჯრებით) ფასი 500 ლარი. ტელ: 93-18-41, 37-35-90

იყიდება 2-სართულიანი ბინა ნაძალადევის კომისარიატის უკან. მალაროს ქ. №26. ტელ: 66-35-45 ან 66-23-68. მამუკა ან ქეთინო

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, 8-სართულიანის მე-8 სართულზე კინო „საქართველოსთან“ ტელ: 61-71-46. ფასი შეთანხმებით.

ვმკურნალობ მუნს, ბუასილს, ფსორიაზს, სოკოვან დაავადებებს. ტელ: 34-54-14 იკითხეთ ბ-ნი კახა.

იყიდება 2,5 ბინა დაუმთავრებელი მიშენებით (44კვმ) ბახტრიონზე მეტრო „პოლიტექნიკურთან“ (მე-3 სართულზე). საწყისი ფასი 30000 დოლარი. ტელ: 39-26-39

იყიდება ან იცვლება 3 ბინა, 2-4 ოთახიანი, 1-2 ოთახიანი (დუპლექსი), კაპიტალური ავტოფარეხით ვაჟა ფშაველას მე-5 კვარტალში, მე-14, მე-15 სართულები. ფასი 60000 დოლარი ან იცვლება დიდ ევრორემონტიან მალაზიაზე. ტელ: 39-26-39

იყიდება იზოლირებული 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, მე-3 სართული, 31-ე ქარხანასთან. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-65-35

იყიდება 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა მე-8 სართულზე. მეტრო „წერეთელთან“. ტელ: 52-54-27

ვყიდი 90 ვატიან (8 ომიან) დინამიკებს 100 ლარი. ტელ: 39-39-92

ვყიდი სავარჯიშო ველოსიპედს (ველოტრენაჟორი) ფასი 40 ლარი და კრივის სავარჯიშო მსხალს. ფასი 30 ლარი. ტელ: 39-39-92

ვყიდი პიანინოს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 66-43-63 იკითხეთ მზია

ვასწავლი მუსიკას (ფორტეპიანო), რუსულს, ლიტერატურას, საერთო განვითარება. სპორტი არჩევით (ცურვა, ჩოგბურთი). ტელ: 37-35-90

1-თვეში შევასწავლი ქართულ მანქანაზე ბეჭდვას (ბრმა ბეჭდვის მეთოდით). ტელ: 77-19-54 მაია

ვასწავლი სასაუბრო ინგლისურს აუდიო მასალის გამოყენებით. მეცადინეობა ინდივიდუალურია. ფასი 45 ლარი თვეში. ტელ: 94-27-79

ვასწავლი ჭრა-კერვას და ტანსაცმლის მოდელირებას თანამედროვე მეთოდებით. სწავლების ხანგრძლივობა 4 თვე. ტელ: 98-34-65

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ნებისმიერ მსურველს უმაღლეს დონეზე მაღალეფექტური მეთოდებით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 67-31-88 ეთერი

ოჯახში ვაცხობთ სადღესასწაულო ნამცხვრებსა და ტორტებს ლამაზი გაფორმებით და თქვენი სურვილის გათვალისწინებითაც. ტელ: 72-15-28. გვერწმუნეთ, თქვესნ სტუმრებს დიდხანს ემახსოვრებათ მისი გემო.

იყიდება საგურამოსთან ბურიანში 2-სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით 600 კვმ. ტელ: 36-45-00 ფასი 4000 დოლარი

იყიდება 3-სართულიანი კაპიტალური აგარაკი 1500 კვ.მ ეზოთი სოფელ უჯარმასთან. ფასი 4000 ლარი. ტელ: 92-24-00 ან 73-01-70 თემური

ქირავდება მალაზიის ერთი სექცია, 8 კვმ, კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში. ფასი 135 დოლარი. ტელ: 39-26-39

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ტელეფონიან ბინას პირველ სართულზე, კოსტავას ქუჩაზე, შეიძლება ოფისისათვის. ტელ: 99-94-41

იცვლება მიწის ნაკვეთი საბურთალოზე ჯიქიას ქუჩაზე დამტკიცებული საცხოვრებელი სახლის პროექტით ახალ მსუბუქ ავტომობილზე. ტელ: 39-26-39

იყიდება დესაო, ლოგინის ჩასაწყობი ტახტი და კამოდი. ტელ: 96-46-56

იყიდება ავტომანქანა „მერსედესი“ 280 ე, აზერბაიჯანული ნომრით, ახალი საბურავებით. ფასი 150-0 დოლარი. ტელ: 79-90-17

ვყიდი სავარჯიშო ველოსიპედს (ველოტრენაჟორი) ფასი 40 ლარი და კრივის სავარჯიშო მსხალს. ფასი 30 ლარი. ტელ: 39-39-92

ვყიდი 90 ვატიან (8ომიან) დინამიკებს 100 ლარად. ტელ: 39-39-92

ვასწავლი ჭრა-კერვას და ტანსაცმლის მოდელირებას თანამედროვე მეთოდებით. სწავლების ხანგრძლივობა 4 თვე. ტელ: 98-34-65

1 თვეში შევასწავლი ქართულ მანქანაზე ბეჭდვას. ბრმა ბეჭდვის მეთოდით. ტელ: 77-19-54 მაია

ვასწავლი სასაუბრო ინგლისურს აუდიო მასალის გამოყენებით. მეცადინეობა ინდივიდუალურია. ფასი 45 ლარი თვეში. ტელ: 94-27-79

იყიდება კერძო ბინა საბურთალოზე (2სართულიანი), ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 32-99-61 საღამოს საათებში

იყიდება სამოსახლოდ მიწის ნაკვეთი ფართით 10000 კვმ დამტკიცებული საც. სახლი პროექტებით. ტელ: 39-26-39

იყიდება ან იცვლება 4-ოთახიანი ბინა ვაჟა ფშაველას მე-5 კვარტალში, მე-14 სართულზე, 1-სართულზე განთავსებულ 1 ან 2-ოთახიან ან მალაზიაზე. ტელ: 39-26-39

იყიდება კერძო ბინა საბურთალოზე (2-სართულიანი) ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 32-99-61 საღამოს საათებში

ვულოცავთ **თათია თამლიანს** დაბადების დღეს. გაზრდილიყავი ქვეყნის საამაყო შვილი. იხარე და გაგვახარე.
**შენი მამიკო და მისი მეგობრები**

**გიორგი გაბელაიას** ვულოცავთ დაბადების დღეს, გვეამაყოს შენით!
**ნუნუკა დეიდა**

**კლიმენტი ბერულავას** ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას, ნამდვილი ქართული ოჯახის შექმნას და ულევ სიხარულს.
**გოგი სორდია**


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444